ლიბერალი

№ 54
29 ნოემბერი - 5 დეკემბერი / 2010

ორი აზრი: დროულია თუ არა რუსეთისთვის გაწვდილი ხელი? გვ. 08
ფოტორეპორტაჟი: პოლიტიკური ნოემბერი გვ. 22
ბიზნესი მაკონტროლებელთა ლუპის ქვეშ გვ. 26
როგორ გაიყიდა „კავკასუსი“ გვ. 30
საქართველო ზედხედით: გზა გუგლმეფისკენ გვ. 33
განათლების საინფორმაციო პოლიტიკა გვ. 35
მედიაკრიტიკა: გამოირეცხეთ ტვინი „ჟიზნენი“ ისტორიებით გვ. 43
ჟამთააღმწერელი ვარდების რევოლუციის შესახებ გვ. 45
დავით ბუხრიკიძე: იზაბელი, ანუ დაბრუნების დრო გვ. 46

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528

საპასუხოს გაღატვიროთვა

დაბრუნება ევროპაში რუსეთის გავლით

გვ. 14

FM
ცნობი
98.0

ლიბერალი

№ 54 / 29 ნოემბერი - 5 დეკემბერი / 2010

„სახალხო კრების“ საპროტესტო აქციაზე 7 000-ზე მეტი ადამიანი მივიდა, 25 ნოემბერი 2010

ფოტო: თეთი ბარიშვილი

ნომერში:

02 რედაქტორის სვეტი
03 შემოსული წერილები
04 ლიბერალის ვებგვერდიდან
06 მოკლედ
08 **ორი აზრი**
მიხეილ საკაშვილი რუსეთთან ურთიერთობის განახლების ინიციატივით გამოდის. არის თუ არა ეს ინიციატივა დროული?
დავით დარჩიაშვილი VS ეროსი კინწარაშვილი
მსოფლიო
10 კონფლიქტი 38-ე პარალელზე
აშშ
12 „მოლაპარაკე თავებს“ შემოდგომაზე ითვლიან
მთავარი თემა
14 საკაშვილის გადატვირთვა
18 ჯადოქარი მიშა
ინტერვიუ
20 შეხვედრა „სტრატეგიული პაუზის“ შემდეგ
ალექსანდრე რონდელი
22 **პოლიტიკა**
24-25 ნოემბერი
26 **ეკონომიკა**
ბიზნესი მაკონტროლებელთა ლუპის ქვეშ
ინტერვიუ
28 თამაში რეიტინგებით
საზოგადოება
30 როგორ გაიყიდა „კავკასუსი“?
33 საქართველო ზედხედით
35 **თვალსაზრისი**
განათლების საინფორმაციო პოლიტიკა
სიმონ ჯანაშია
37 **თვალსაზრისი**
მზადება არჩევნებისთვის
არასდროსაა ადრე
მარკ მალენი
39 გზა შინისაკენ
სალომე ზურაბიშვილი
41 რით ჰგავს საკაშვილი ობამას?
გიორგი ცხადაია
43 **მედიაკრიტიკა**
გამოირეცხეთ ტვინი „ჟიზნენი“ ისტორიებით
45 **თვალსაზრისი**
ჟამთაალმწერელი ვარდების რევოლუციის შესახებ
ლაშა ბუღაძე
კულტურა
46 იზაბელი, ანუ დაბრუნების დრო
სპორტი
47 სკოტები გაიფიცნენ
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
48 მხოლოდ ერთი თბილისური დღე

გარეკანზე:

საკაშვილის გადატვირთვა
ფოტო: ვინსენტ კესლერი / Reuters

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

„გულწრფელად რომ გითხრათ, ჩვენ ვერ მოვისმინეთ ვერც ერთი არგუმენტი 10 %-ის გაუქმების სასარგებლოდ, თუმცა გავაგრძელოთ საუბარი“ – ეს იყო პასუხი, რომელსაც პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წარმომადგენლები, პავლე კუბლაშვილი და ჩიორა თაქთაქიშვილი დაუღალავად იმეორებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრაზე, რომელიც NDI-ის ინიციატივით გასულ კვირას შედგა. ამ დახურულ შეხვედრაზე უნდა განგვეხილა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში პარლამენტის მიერ შემოთავაზებული ცვლილებები, რომლებმაც მედიამფლობელების მესაკუთრეები გამჭვირვალე უნდა გახადონ.

იურიდიული კომიტეტი რეალურად მხოლოდ ერთ მუხლზე შეჩერდა – *„მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი არ შეიძლება იყოს... იურიდული პირი, რომლის წილის ან აქციების 10%-ზე მეტს პირდაპირ ან ირიბად... ფლობს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული პირი.“*

ორ საათიანი შეხვედრა სწორედ ამ 10%-ზე დავას დაეთმო, მაშინ როცა „საინიციატივო ჯგუფმა“ საკითხების მთელი ნუსხა მოამზადა. შეხვედრის მონაწილეებს ჰქონდათ არა ერთი არგუმენტი იმისა, რატომ უნდა გაუქმებულიყო 10 %-იანი ოფშორული მფლობელობაც, მაგრამ პარლამენტარები ჩვეული შეუვალობით გვპასუხობდნენ – „ჩვენ ვერ მოვისმინეთ ვერც ერთი არგუმენტი...“

ქართულ მედიასა და არასამთავრობო წრეებში გაჩნდა ერთი ჯადოსნური სიტყვა – „ადვოკატირება“, რაც ნიშნავს იმას, რომ ინტერესთა ჯგუფები თავად მუშაობენ პრობლემების გადაჭრაზე ხელისუფლებასთან დიალოგის გზით. ეს შეხვედრაც ამის მაგალითი იყო, თუმცა იმდენად უშედეგოდ გამოიყურებოდა ჩვენი ძალისხმევა საქართველოს პარლამენტის ვახტანგ გორგასლის დარბაზში, რომ ამ სიტყვამ ჩემთვის უცებ დაკარგა თავის ჯადოსნობა. თან გამახსენდა რამდენიმე სხვა საკითხიც, რომელზე საუბარი ხელისუფლებასთან ადრეც უშედეგოდ ვცადეთ. არადა, რა ალტერნატივა აქვს პროცესში ჩართულობას? არანაირი.

საქართველოში ახალი პოლიტიკური სეზონი დაიწყო, მაგრამ იმდენად არაარსებითად გამოიყურება ეს პროცესები, რომ ჯერჯერობით ვერ ძლევს სრულ ინდიფერენტულობას, რომელმაც თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ დაისადგურა. თუმცა, ეს შეიძლება კარგიც იყოს – იქნებ ყველამ ჩვენ-ჩვენ საქმეებს მივხედოთ? მაგრამ მათ, ვისაც პრობლემების გადაჭრისათვის ხელისუფლებასთან მოლაპარაკება ჭირდება – მძიმე დრო უდგას. ხელისუფლება ჯერ ისევ ცალ კარში თამაშობს და მათი „ღია კარი“ ჯერ მხოლოდ სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებს. რეალური შედეგის მისაღწევად სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაა საჭირო. „საზოგადოება“ კი ვერ გაძლიერდება, თუ ადამიანები არ გაძლიერდნენ და არ გამოიჩინეს გამბედაობა, დაიცვან თავის ინტერესები.

როცა მოსწავლეების საპროტესტო აქციების გამო 8 სკოლის დირექტორი გაათავისუფლეს, არ აღმოჩნდა არც ერთი მასწავლებელი თუ დირექტორი (ერთი გამონაკლისის გარდა), ვინც ამ მოსწავლეების უფლებებს დაიცავდა – გამოვიდოდა და ხმამაღლა იტყოდა, რა მოხდა სკოლაში. როცა ექიმების დაკავება დაიწყო, სამი კვირის განმავლობაში ვერ ვიპოვეთ ვერც ერთი ექიმი, ვინც საჯაროდ ისაუბრებდა ამ პროცესის ლეგიტიმურობასა თუ არალეგიტიმურობაზე. აღარაფერს ვამბობ ბიზნესმენებზე, რომლებიც არასოდეს არაფერს ამბობენ. ჩვენთვის ახლაღა გახდა შესაძლებელი დაგვწერა „კავკასუს ონლაინის“ გაყიდვასა და მისი მფლობელის, მამია სანადირაძის ლონდონში გადახვეწაზე.

ასე შორს ვერ გავფრინდებით! შიშით შეპყრობილებს და კონფორმიზმში ჩაძირულებს კიდევ დიდ ხანს და მრავალგზის მოგვიწევს მოსმენა – „ჩვენ ვერ მოვისმინეთ ვერც ერთი არგუმენტი...“

სამოქალაქო სიმამაცეს ალტერნატივა არა აქვს.

შორენა შავერდაშვილი

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდაშვილი** /აღმასრულებელი რედაქტორი **სოფო ჭაავა** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ბუკია** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ახალი ამბები **ნათია ახალაშვილი, ნანა საჯაია** / ვებგვერდის რედაქტორი **ნინო ჯაფიაშვილი**
ჟურნალისტები: მაია წიკლაური, ნინო გოგუა, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, ანიტა თვაური, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი
კონტრიბუცია: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, ლევან იზორია, ნანა საჯაია, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა, მილი კორსო, ლექსო ჩქარეული, ემილ სულეიმანოვი, ირაკლი კობახიძე, დიანა ჩაჩუა, გიორგი ლომსაძე, ქეთი ქანთარია
რედაქცია: ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **პაატა შამუგია** / კორექტორი **თამარ ღონღაძე**
გაგზავნა: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითიძე** / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი **ნათია რუსაძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია**
გამომცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სხვა გამოცემები: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
www.liberali.ge
ISSN 1987-7528

საარსებო მინიმუმის შესახებ

გვინდა ვუპასუხოთ ჟურნალ „ლიბერალის“ 15 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაზე „როგორ შევამციროთ სიღარიბე“, კერძოდ, ციტატაზე სადაც წერია: „იმისთვის, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონის ცვლილების ვექტორი ხელისუფლებისთვის სასურველი მიმართულებით მიემართა, სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა საარსებო მინიმუმი 2005 წლის აპრილის 154.1 ლარიდან 5 წლის თავზე, სურსათზე ფასების თითქმის 80 პროცენტიანი ზრდის ფონზე, 140 ლარზე დაიყვანა“.

განვმარტავთ, რომ 1. როცა კეთდება შედარებები, სასურველია შედარებები გაკეთდეს დღეს არსებული მეთოდოლოგიის გამოყენებით. 2005 წლის აპრილის 154.1 ლარი დათვლილი იყო ძველი მეთოდოლოგიით და სასურსათო კალათით. შესაბამისად, კალორიების რაოდენობა იყო უფრო ბევრი და კალათის ღირებულებაც გაცილებით მაღალი იყო. გამომდინარე იქიდან, რომ ეს იყო გარდამავალი პერიოდი, იმისთვის რომ არ დარღვეულიყო დინამიკა და მონაცემები ყოფილიყო შედარებითი, ხდებოდა ძველი კალათის საფუძველზე დათვლილი მონაცემების გამოქვეყნება. ხოლო, 2006 წლიდან სტატისტიკის დეპარტამენტი მთლიანად გადავიდა ახალ სასურსათო კალათაზე და მოხდა მონაცემების, მათ შორის წინა წლების მონაცემების დაკორექტირება. კერძოდ, მოხდა 2004 წლის იანვრიდან გამოქვეყნებული მონაცემების დაკორექტირება. 2. საარსებო მინიმუმის სასურსათო კალათა შედგება 40 დასახელების პროდუქტისგან, ხოლო სამომხმარებლო კალათა, რის საფუძველზეც ხორციელდება ინფლაციის დათვლა, მოიცავს 266 დასახელების საქონელსა და მომსახურებას. ამიტომ, აუცილებელი არ არის საარსებო მინიმუმი იგივე ოდენობით გაიზარდოს, რა ოდენობითაც იზრდება სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია), ან თუნდაც ცალკე აღებული სასურსათო საქონელი.

რაც შეეხება წინა წლების მონაცემების გადაანგარიშებას, ეს აუცილებელი იყო იმისთვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში საარსებო მინიმუმის ცვლილების დინამიკის დახასიათება. სწორედ ამან გამოიწვია ადრე გამოქვეყნებული მონაცემების გადასინჯვა 2006 წელს და არა ვინმეს შეცდომაში შეყვანის სურვილმა. ამიტომ, როცა ვაკეთებთ შედარებას, უნდა შედარდეს 95.3 ლარი

დღევანდელ 145.5 ლართან. შედეგად, შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 2010 წელს 2005 წელთან შედარებით კი არ შემცირდა, არამედ პირიქით გაიზარდა 52.7 პროცენტით.

თვით სტატიიდან ჩანს, რომ საარსებო მინიმუმის განსაზღვრა და მისი დათვლის მეთოდების შემუშავება საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმეა — გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი, მაგალითად, მოსახლეობის ცხოვრების წესი, მოხმარების სტრუქტურა, ფასების დონე და სხვა.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტატიაში ზოგიერთი პრობლემა მართებულად არის დასახული და მათ გადაჭრაზე სტატისტიკის ეროვნული სამსახურიც მუშაობს. დაახლოებით ერთი თვის წინ ჩვენ საგანგებო შეხვედრაც კი მოვაწყეთ ექსპერტებთან ამ საკითხების განხილვის მიზნით, მაგრამ ამ პრობლემების გადაჭრა მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოების ჩატარებას მოითხოვს. საარსებო მინიმუმის მეთოდოლოგიის სრულყოფის მიზნით, საქსტატმა საკუთარ ვებგვერდზე განათავსა გამოყენებული მეთოდოლოგია. აქვე გახსნილია სადისკუსიო ფორუმი და ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის იმ ექსპერტებსაც, რომლებიც ღიად აკრიტიკებენ საქსტატს, შეუძლიათ საკუთარი შენიშვნა თუ მოსაზრება იქვე გამოთქვან. ნებისმიერ მსურველს, ნებისმიერ დროს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია დღეს არსებულ ფასებზე, თვითონ დაითვალოს საარსებო მინიმუმი, რათა დარწმუნდეს რომ საქსტატში მონაცემების ხელოვნური ცვლილება არ ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკის დეპარტამენტს მუშაობის ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, საქსტატი დღესაც ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება. ზოგადად კრიტიკული დამოკიდებულება საქსტატის მიმართ გასაგებია და ხშირ შემთხვევაში მისაღებიცაა.

2003 წელს დამტკიცებული სასურსათო კალათა რომ გადახედვას და სრულყოფას საჭიროებს, ეს ბუნებრივია. გარდა ამისა, მეთოდოლოგიის სრულყოფის აუცილებლობას საქსტატიც აღიარებს. ჩვენ თავადაც კარგად გვესმის საარსებო მინიმუმის განსაზღვრაში სასურსათო კალათის და მინიმალური სამომხმარებლო კალათის სხვა კომპონენტების წონების გადასინჯვის აუცილებლობა, მით უმეტეს ბოლო წლებში ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ცვლილებების ფონზე. სწორედ ამ მიზნით საქსტატი აქტიურად მუშაობს არსებული მეთოდებისა და ინსტრუმენტების დახვეწის მიზნით.

სტატისტიკის ეროვნული სააგენტო

ამბოხი მამათა და დედათა...

ნინო ბექიშვილის ბლოგი

ფოტო: თემურ ბაირაღაშვილი

საპროტესტო აქცია რუსთაველის მოედანზე, 25 ნოემბერი 2010

ცოტა შორიდან უნდა მოვუარო: ქართველებს რომ მიტინგები ოდითგანვე გვიყვარდა, ამას პირველი ქართული ლიტერატურული ძეგლი „შუშანიკის წამებაც“ ადასტურებს. გარდა იმისა, რომ მოთხრობა ოჯახურ ძალადობას შეეხება, მან პირველი ქართული მიტინგის დარბევის სცენაც შემოგვინახა.

მაშინ, როცა შუშანიკი, „უხამური და თმაგარდატეეებული“ საპყრობილისკენ მიჰყავდათ, მის მხარდასაჭერად უამრავი ადამიანიც მოსულა: „და ვითარცა იხილა პიტიახშმან ამბოხი იგი და ტირილი დედათა და მამათაი, მოხუცებულთა და ყრმათაი, მხედრ მიმოსდევნიან და მეოტჰყოფენ მათ ყოველთა“ – ანუ, ვარსქენის მხედრებს, დღევანდელ ენაზე რომ ვთარგმნოთ, მიტინგი დაურბევიათ.

მაშინ, მეხუთე საუკუნეში ქართველები ქრისტესთვის წამებული დედოფლის მხარდასაჭერად იყვნენ შეკრებილი და არას დაგიდევდნენ, რომ პიტიახში მათ სასტიკად უსწორდებოდა. თუმცა, იაკობ ხუცესი არც იმას მალავს, რომ ერთი დიაკონი, რომელსაც დედოფლის გამხნევება უნდოდა, შეშინდა და გაიქცა. ჰქონდა თუ არა „ამბოხს“ ვარსქენის ტირანიის „დამთავრების“ მოთხოვნა, ეს ნაწარმოებიდან არ ჩანს, მაინც მეხუთე საუკუნეა ქრისტეს აქეთ. მაგრამ გულში, ალბათ, ფიქრობდნენ, ღმერთო, მოგვაშორე „მგელი იგიო“.

25 ნოემბერს საღამოს ტელევზორთან ვიჯექი და ვცდილობდი, გამეგო რა მოხდა რუსთაველზე. სიმართლე რომ ვთქვა, დაახლოებით ვიცოდი, რაც მოხდებოდა, პოლიტიკოსები რაზე ისაუბრებდნენ და გასაგებიც თითქოს დიდი არაფერი იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სამმა ქართულმა არხმა ვერაფერი მითხრა კონკრეტულად იმის შესახებ, რაც ყველაზე მეტად მაინტერესებდა.

არც „იმედმა“, არც „რუსთავი 2-მა“ და არც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა რუსთაველის გამზირზე შეკრებილი ხალხი შორი ხედით არ აჩვენა. კამერა ან რამდენიმე მომიტინგეს იღებდა ერთად, ან ლიდერებს – ფართო პლანით. არადა, ძალიან მინდოდა, გამეგო რამდენი ადამიანი შეიკრიბებოდა ბურჯანაძისა და ფორუმის დაძახილზე დღევანდელი ხელისუფლების „დასამთავრებლად“. კადრები მოგვიანებით ვნახე – ინტერნეტში ვიდეო დადეს და იქ. ხალხი იმაზე გაცილებით მეტი ყოფილა, მე რომ ვვარაუდობდი. ნამდვილად არ გამიხარდა ეს ამბავი, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

არც „იმედმა“, არც „რუსთავი 2-მა“ და არც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შეკრებილი ხალხი შორი ხედით არ აჩვენა. არადა, ძალიან მინდოდა, გამეგო რამდენი ადამიანი შეიკრიბებოდა ბურჯანაძისა და ფორუმის დაძახილზე ხელისუფლების „დასამთავრებლად“.

მერე ეს ყველაფერი დავით უსუფაშვილმა გააპროტესტა დავით პაიჭაძესთან „დიალოგში“ და იმის მაგივრად, რომ საკუთარ პოლიტიკურ ხედვებსა და მიზნებზე ესაუბრა, მისთვის დათმობილი 15 წუთი საზოგადოებრივი არხის კრიტიკას მოანდომა. კიდევ ერთხელ ვიფიქრე, რომ უსუფაშვილი ადეკვატური პოლიტიკოსია – მეც საშინლად გავბრაზდი იმაზე, რომ საზოგადოებრივმა არხმა ასე უხეიროდ გააშუქა გუშინდელი მიტინგი. დავით პაიჭაძეს პასუხს რატომ სთხოვდა, ცოტა კი გამიკვირდა, მაგრამ სხვანაირად ამ ეთერში მოხვედრის შანსი, ალბათ, არ ჰქონდა და იმაზე ისაუბრა, რაც იმ წუთას მისთვის (და ჩემთვისაც) მნიშვნელოვანი იყო. „ამ არხს არაფერი ეშველა!“ – თქვა მან.

მეც მგონია, რომ საზოგადოებრივს ჯადო აქვს გაკეთებული და არანაირი მცდელობა, არჩეული ბორდი და ბორდში ოპოზიციისა თუ დამოუკიდებელი ჟურნალისტების შეყვანა ამ ტელევიზიას არ ცვლის – საშინლად უღიმღამო, უფერულია და დაახლოებით იმავეს აკეთებს, ოღონდ ცოტა უფრო კულტურულად, რასაც ორი კერძო ნაციონალური არხი – სახელისუფლო პროპაგანდას ემსახურება. დათო პაიჭაძისა და ეკა კვესიტაძის პოლიტიკური გადაცემები საერთო სურათს ვერ ცვლის – მთავრდება გადაცემა და სულ უკმარისობის განცდა მრჩება – ძალიან ცოტა დროა იმისთვის, რომ ადამიანმა, ვისაც ინტერნეტსა და ე.წ. ოპოზიციურ არხებზე ხელი არ მიუწვდება, ადეკვატური და ინფორმირებული დასკვნები გააკეთოს.

ახლა იმაზე, თუ რატომ არ მომეწონა ის, რომ რუსთაველზე გუშინ ბევრი ხალხი მივიდა. ბესიკ ხარანაულს ერთგან უწერია, „პოეტს არაფრის გამოგონება არ სჭირდება, ირგვლივ იმდენი სუყველაფერიაო“.

წესით, ქართველ პოლიტიკოსებსაც არ უნდა სჭირდებოდეთ არაფრის გამოგონება, იმდენი პრობლემაა დღეს ჩვენში, მაგრამ მათი დიდი ნაწილი მაინც იგონებს. უფრო სწორედ, მუდმივად იხსენებს ადრე, ოცი წლის წინ გამონაგონს – „ქართველობას გვართმევენ, ქართულ ენას გვართმევენ, ეკლესიებს გვინგრევენ“ – ელექტორატის ნაწილზე ეს გამონაგონი მართლაც მოქმედებს – წინააღმდეგ შემთხვევაში 25 ნოემბერს რუსთაველზე ამდენი ადამიანი არ მივიდოდა. როგორც ჩანს, იოლია იმ ხალხით მანიპულირება, რომელსაც ჯერ კიდევ ახსოვს, რომ შეიძლება, გამონაგონი პრობლემებით იცხოვროს, როგორც მაგალითად, საბჭოთა კავშირის დროს ცხოვრობდა და არარეალური მიზნების სწამააუქმეს;

5. საზოგადოებრივი ტრანსპორტი ძვირდება;

6. ბაგრატის ტაძარს ხელისუფლება მართლა ანადგურებს, თანაც ეკლესიის ხელდასხმით;

7. განათლების პოლიტიკა თავის მინისტრიანად შესაცვლელია;

8. ინვალიდობის მქონე პირებს არა აქვთ ელემენტარული პირობები;

9. სახელმწიფომ შეწყვიტა ბევრი სამედიცინო პროგრამის დაფინანსება;

10. რელიგიურ უმცირესობებს ქონების რესტიტუციასთან დაკავშირებით პრობლემები აქვთ;

11. და კიდევ უამრავი...

ესენი კი ამბობენ, დავამთავროთ საპაკშვილის პირსისხლიანი რეჟიმი, რადგან „ენას გვართმევენ, ინგლისურს გვტენიან, ეკლესიებს გვინგრევენო“.

ვითომ რა დაშავდებოდა, ის კადრები, რაც ინტერნეტში ვნახე, ნაციონალურ ტელეარხებს რომ გადაეღოთ და მთელი საქართველოსთვის ეჩვენებინათ? მე მგონია, არც არაფერი. მაგრამ ვიღაცებმა გუშინ სამივე ტელევიზიაში ერთნაირად იფიქრეს და მიტინგზე გამოსული ადამიანების რაოდენობის ჩვენებას მოერიდნენ. იყო თუ არა ეს ყველაფერი შეთანხმებული, ან ჰქონდათ თუ არა რაიმე ინსტრუქცია „ზემოდან“, არ ვიცი. ალბათ, ვერც გავიგებ.

ძალიან მიყვარს იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“. ბევრი მიზეზით, მათ შორის იმიტომაც, 15 საუკუნის შემდეგაც კი შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ ქართველებს მიტინგები ოდითგანვე გვხიბლავდა. მჯერა, იაკობ ხუცემა არ მოიტყუა, ყველაფერი, რაც იმ დღეს მოხდა, პატიოსნად აღწერა – გაქცეული დიაკვნის შესახებაც მოგვითხრო და მამათა და დედათა ამბოხის ამბავსაც მოგვიყვა.

ფოტო: ეთერ ბარიბაშვილი

წყალი და ტრანსპორტი ძვირდება

1 დეკემბრიდან თბილისში წყლის ტარიფი 75 თეთრით გაძვირდება და 2,40 ლარის ნაცვლად 3,15 ლარი გახდება. ახალი ფასი „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მოთხოვნით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების კომისიამ განსაზღვრა.
სემეკი-ს ეს გადაწყვეტილება ქალაქის მერს არ მოეწონა, რის შემდეგაც ის პრემიერ-მინისტრის თხოვნით გამართულ სპეციალურ სხდომას დაესწრო. სპეციალური კომისიის სხდომაზე უგულავას მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ძველი ტარიფი შენარჩუნდა იმ მოსახლეობისთვის, რომელთაც წყალი დღემდე გრაფიკით მიეწოდებათ. ქალაქის მერის თქმით, მომავალი წლის თბილისის ბიუჯეტში გათვალისწინებულია და 105 000 სოციალურად დაუცველ მოსახლეს წყლის ტარიფის ნახევარს კვლავ თბილისის მერია დაუფარავს.
უგულავა ირწმუნება, რომ წყლის ტარიფის რევიზია არ მოხდება და ის მომავალი 5 წლის განმავლობაში უცვლელად შენარჩუნდება. თუმცა, სხვას ამბობს სემეკი-ს თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი. მისი თქმით, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ კანონით აქვს უფლება კიდევ მოითხოვოს ტარიფის გაზრდა მომავალი 5 წლის მანძილზეც. გარდა ამისა, უგულავას განცხადებით, სოციალურად დაუცველი მოსახლეობა ისევ წყლის გადასახადის ნახევარს გადაიხდის, ხოლო დარჩენილ 50%-ს თბილისის მერია დაფარავს. ეს შეღავათი 105 000 სოციალურად დაუცველი ადამიანისთვის უკვე გათვალისწინებულია თბილისის 2011 წლის ბიუჯეტში.
ამ დღეებში განიხილავს დედაქალაქის საკრებულო მუნიციპალური ტრანსპორტის გაძვირების საკითხსაც. თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით, ყველა სახის მუნიციპალურ ტრანსპორტზე ფასი 10 თეთრით მოიმატებს და 50 თეთრი გახდება. მერიაში აცხადებენ, რომ ამ გადაწყვეტილებით, მგზავრობის საფასური არ გაძვირდება იმ პირებისთვის, რომლებიც შეღავათებით სარგებლობენ. ამასთან, სამგზავრო ბარათების გამოყენების დროს, მეორე გავლაზე ფასდაკლება კვლავ იმოქმედებს და 30 თეთრი იქნება.

H1N1 ვირუსის წინააღმდეგ საბრძოლველად ექიმები ემზადებიან

საქართველოში H1N1-ის შემთხვევა დაფიქსირდა. ვირუსი 26 წლის ქალბატონს აღმოაჩნდა. შემთხვევა ლაბორატორიულადაც დადასტურდა. ჯანდაცვის მინისტრის თქმით პანდემიის საშიშროება არ არსებობს, რის გამოც ვირუსის წინააღმდეგ ახალი სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობაც არ არის. მისივე თქმით, საჭიროების შემთხვევაში ქვეყანაში მედიკამენტების საჭირო მარაგი არსებობს.

ჯეტრინ ეშტონი საქართველოს ინიციატივას მიესალმება

საგარეო პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი კეტრინ ეშტონი საქართველოს ძალის გამოუყენებლობის ვალდებულებას მიესალმა, რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა ევროპარლამენტში გაახმოვანა. „მიმაჩნია, რომ ეს არის კონსტრუქციული ნაბიჯი და პოზიტიური წვლილი იმ ძალისხმევაში, რომელიც კონფლიქტის მშვიდობიანი და გრძელვადიანი მოგვარებისკენ არის მიმართული,“ – ნათქვამია ეშტონის განცხადებაში. ეშტონმა ასევე ისაუბრა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მნიშვნელობაზე, სადაც ძალის გამოუყენებლობის საკითხი დღის წესრიგის მთავარ თემას წარმოადგენს.

მედვედევის წინასაარჩევნო მანიფესტი

„რუსეთის პოლიტიკური სისტემა სტაგნაციას განიცდის“, ეს განცხადება რუსეთის პრეზიდენტმა სატელევიზიო მიმართვაში გააკეთა.
პრეზიდენტმა ასევე ისაუბრა სერიოზული ოპოზიციის არსებობის მნიშვნელობაზე: „სტაგნაცია დამღუპველია როგორც მმართველი პარტიისთვის, ასევე ოპოზიციისთვის. თუ ოპოზიციას სამართლიან ბრძოლაში გამარჯვების არანაირი შანსი არა აქვს, ის დეგრადირდება და მარგინალი ხდება. თუ მმართველ პარტიას დამარცხების შანსი არა აქვს, ის უბრალოდ იჟანგება და საბოლოოდ ისიც, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, დეგრადირდება“, – თქვა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ პოლიტიკურ სისტემაში უმცირესი სოციალური ჯგუფების ხმაც უნდა ისმოდეს. პოლიტიკური მიმომხილველების შეფასებით, მედვედევმა ამ გამოსვლით სერიოზული პოლიტიკური განაცხადი გააკეთა.

საქართველო ნომერსისტემის ეროვნულ სისტემაზე გადადის

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნულ სისტემაზე გადასვლის შესახებ მთავრობის დადგენილება ძალაში შედის.
ნუმერაციის ახალი სისტემით ქალაქების სატელეფონო კოდები იცვლება, ასევე მობილური ქსელის ოპერატორების ორნიშნა კოდებს დაემატება ერთი ციფრი 5, მაგალითად 899-ს ნაცვლად იქნება 599. კომუნიკაციების შესახებ კანონის შესაბამისად, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ოპერატორები და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლები ვალდებულნი არიან საკუთარი ხარჯებით უზრუნველყონ ნუმერაციის ეროვნულ სისტემაზე გადასვლა. ახალ სისტემაზე გადასვლა 2011 წლის დეკემბერში უნდა დასრულდეს.

136 ტოტალიზატორი 53 მილიონი ლარით დაჯარიმდა

საქართველოში რეგისტრირებული 136-ივე ტოტალიზატორი შემოსავლების სამსახურმა 53 მილიონი ლარით გადასახადების დამალვისთვის დაჯარიმა.
შემოსავლების სამსახურის მიხედვით, ტოტალიზატორების ერთობლივი შემოსავალი შემონმების პერიოდში 280 მლნ ლარზე მეტს შეადგენდა, მათ მიერ დეკლარირებული კი – 47 მლნ ლარს.
ტოტალიზატორებმა აღნიშნული თანხა 20 დღის განმავლობაში უნდა გადაიხადონ. გადაუხდელობის შემთხვევაში საქმე საგამოძიებო სამსახურს გადაეცემა და სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება.

ციფრები

84%
რუსეთის მოსახლეობისა მიიჩნევს, რომ პუტინს ქვეყანაში ყველაზე დიდი ძალაუფლება აქვს.

161
პატიმარი შეინყალეს გიორგობის დღესასწაულზე.

20
ინსტრუქტორს გაგზავნის საქართველო ავღანეთში ავღანური არმიის გადამზადებისთვის.

100
მილიონი ლარით დაფინანსებს ამერიკული ბანკი ქართველ მეწარმეებს.

სიტყვები

„პარტია, რომელიც ცდილობს, ხალხს არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლის ალტერნატივა დაანახოს, არაგულწრფელია“
ირაკლი ალასანია სახალხო კრების აქციებზე

„ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი ქვეყნის გეოგრაფია შევცვალოთ, მაგრამ რუსეთთან მოლაპარაკების საშუალება უნდა მოვძებნოთ“
პრეზიდენტი სააკაშვილი რუსეთთან ურთიერთობებზე ფრანგულ გაზეთ „ფიგაროსთან“ ინტერვიუში

„რუსეთ-ნატოს თანამშრომლობა საქართველოსაც წაადგება“
ნატოს გენერალური მდივანი ანდრეს ფოგ რასმუსენი ნატო-რუსეთის თანამშრომლობაზე

„წარმატებისთვის მეტი ხალხია საჭირო“
გუბაზ სანიკიძე აქციებში ხალხის მონაწილეობაზე

მომხრე
დავით დარჩიაშვილი
პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე

მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა ევროპარლამენტში, 23 ნოემბერი 2010

მიხეილ სააკაშვილი რუსეთთან ურთიერთობის განახლების ინისიატივით გამოდის. არის თუ არა ეს ინიციატივა დროული?

■ საქართველო ცალმხრივად იღებს ვალდებულებას საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე, არ გამოიყენოს ძალა დეოკუპაციისათვის და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ეს ინიციატივა, რომელიც პრეზიდენტმა ევროპარლამენტში გამოსვლისას გააჟღერა, დროული და გამართლებულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკულ-პოლიტიკური თვალსაზრისით.

■ სააკაშვილის განცხადება, რუსეთთან დიალოგის განახლების შესახებ, არის მხოლოდ პიარსვლა. მას ესმის, რომ ქვეყანა ღრმა კრიზისშია, საიდანაც გამოსვლა მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებით არის შესაძლებელი. თუმცა, მოსკოვი უკვე აღარასდროს წავა მასთან მოლაპარაკებებზე.

მოწინააღმდეგე
ეროსი კიწმარიშვილი
„ქართული პარტიის“ პოლიტიკური მდივანი

სააკაშვილის განცხადება, რუსეთთან დიალოგის განახლების შესახებ, არის მხოლოდ პიარსვლა. მას ესმის, რომ ქვეყანა ღრმა კრიზისშია, საიდანაც გამოსვლა მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებით არის შესაძლებელი.

თუმცა, მოსკოვი უკვე აღარასდროს წავა მასთან მოლაპარაკებებზე. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ სააკაშვილთან არაფერი აქვთ სალაპარაკო.

ვიცი, რომ მის დაპირებებს რუსეთში სერიოზულად უკვე აღარავინ უყურებს. ეს კარტი სააკაშვილმა მრავალჯერ გაათამაშა, მათ შორის, „გაწვდილი ხელის“ შესახებ გაკეთებული განცხადებების სახით. მსგავსი განცხადებები 2004 და 2008 წლებშიც გაკეთდა. ორივე შემთხვევაში, სააკაშვილმა არ შეასრულა თავისი დაპირებები. ამიტომ, რუსეთმა უარი თქვა საქართველოსთან თანამშრომლობაზე.

2008 წელს, როდესაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში დაძაბულობამ პიკს მიაღწია, დავინიშნე საქართველოს ელჩად რუსეთში. ჩვენ გვქონდა წინადადებების პაკეტი, რომლითაც შევძელით, მიგვეღწია ურთიერთგაგებისთვის. რუსეთთან საქართველოს დაახლოების საქმე კარგად მიდიოდა. სექტემბერში მზადდებოდა ისეთი სერიოზული გარღვევა, როგორიც არ მომხდარა ორი ქვეყნის ურთიერთობების უახლეს ისტორიაში – იგეგმებოდა საქართველოში რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტი. მაგრამ იმის მაგივრად, რომ განწყობილიყო დარეგულირების რთული, ხანგრძლივი, პროცესისთვის, სააკაშვილმა წამოიწყო გაუთვლელი სამხედრო ავანტიურა ცხინვალში.

აგვისტოში, სამხედრო კატასტროფის შემდეგ, სააკაშვილი იძულებული გახდა, ხელი მოეწერა სარკოზი-მედვედევის შეთანხმებაზე, რომელიც საქართველოსთვის კაპიტულანტური იყო – ის ავალდებულებს ქართულ მხარეს, სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას, რაც, ირიბად, ამ ტერიტორიების აღიარებას ნიშნავს.

სააკაშვილმა სტრასბურგში განაცხადა, რომ მზად არის წავიდეს დათმობაზე. სწორედ ამიტომ იყო დასავლური პოლიტიკა შედარებით კეთილგანწყობილი მისი გამოსვლის მიმართ. ასე რომ, სააკაშვილი, ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, უკვე მერამდენედ ვაჭრობს საქართველოს ინტერესებით.

შექმნილ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი არის ის, რომ სააკაშვილის რეჟიმის ალტერნატიული პოლიტიკური ძალა მოვიდეს ხელისუფლებაში.

მსოფლიო

ჩრდილოეთ კორეა

კონფლიქტი 38-ე პარალელზე

მსოფლიოს ყველაზე იზოლირებული და სახიფათო ქვეყანა მეზობელ სამხრეთ კორეას დაესხა თავს. კონფლიქტის გამწვავების ზუსტი მოტივის ძიება ფუჭი საქმიანობაა.

დიანა ჩაჩუა

27 წლის სეულელ პარკ იონ ჰის კარგად ახსოვს, 9 წლის წინ, ტელევიზორს მიჩერებულს როგორ გაუჩნდა იმედი, რომ ფხენიანში ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ლიდერებს შორის გამართული შეხვედრა კორეის ნახევარკუნძულზე ცივი ომის დასასრულის დასაწყისი იქნებოდა.

2010 წლის 23 ნოემბერს სეულში, მშობლების სახლში იმავე ტელევიზორის წინ იონ ჰიმ მშვიდობის იმედი სამუდამოდ დაკარგა. ჩრდილოეთ კორეის მხრიდან სამხრეთ კორეის მიმართულებით გასროლილმა ყუმბარებმა 1953 წლის შემდეგ ორ ქვეყანას შორის დამყარებული მყიფე სიმშვიდე დაარღვია.

ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის სამწლიანი ომის შემდეგ, 1953 წლის 27 ივლისს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა. ამ ომში 3 მილიონამდე სამხედრო და სამოქალაქო პირი დაიღუპა და ის ისტორიაში შევიდა, როგორც მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დაუნდობელი ომი. 1953 წელს შეიქმნა 4 მეტრი სიგანისა და 238 კილომეტრი სიგრძის ბუფერული ტერიტორია – კორეის მილიტარიზებული ზონა (KMZ). ამ ზონით, რომელიც ჩრდილოეთის 38-ე პარალელზე გადის, ჩრდილოეთსა და სამხრეთ კორეას შორის საზღვარი მოიხაზა.

KMZ მსოფლიოში ყველაზე მილიტარიზებული ზონაა. ორი ათასამდე ნაღმის, მაღალი ძაბვის ღობეების და ორმილიონამდე ჯარისკაცის წყალობით ორმოცდაათ წელზე მეტია, ორ კორეას შორის საზღვრის გადაკვეთა თვითმკვლელობის ტოლფასია. ზონის ქვეშ, მიწაში ოთხი გვირაბია, რომლითაც ჩრდილოელ სამხედროებს ერთ საათში მტრის ზურგში მოქცევა შეუძლიათ. ამ გვირაბებში ტანკებიც ეტევა.

სამხრეთ კორეელები ამ ზონაში სამუშაოდ თავის ყველაზე მაღალ, 174-სმ-ს გადაცილებულ სამხედროებს, ჩრდილოელები კი ყველაზე გამოკვებილ ჯარისკაცებს აგზავნიან.

ფოტო: KIM JUNG JUNG / REUTERS

საპროტესტო აქცია სეულში ჩრდილოეთ კორეის აგრესიის წინააღმდეგ, 24 ნოემბერი 2010

ჩრდილოეთ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერი კიმ ჩენ ირი

კიმ ჩენ ირის ქვეყანა დაზვერვისთვის ნამდვილი შავი ხვრელია.

გამოკვებილი კადრები კი ჩრდილოეთ კორეის არმიაში დიდი იშვიათობაა. შიმშილობამ დიდი ხანია, ქვეყნის თითქმის ყველა ოჯახში შეაღწია.

90-იან წლებში ჩრდილოეთ კორეაში შიმშილისგან 3 მილიონამდე ადამიანი დაიღუპა, რაც ქვეყნის მოსახლეობის 10 პროცენტი იყო.

შიმშილობის მიზეზი ჩრდილოეთ კორეის მთავრობის გადაწყვეტილებაა – ქვეყანა მსოფლიოსგან სრულ იზოლაციაში აცხოვროს.

ჩრდილოკორეელი შვიდი წლის ბიჭი თავის სამხრეთკორეელ თანატოლთან შედარებით 20 სანტიმეტრით დაბალია და 10 კილოგრამით ნაკლებს იწონის. სამაგიეროდ, ჩრდილოეთში ბავშვებს ინტენსიურად კვებავენ სიყვარულით, და ამ გრძნობის ერთადერთი ადრესატი ქვეყნის მმართველი, ჩრდილოეთ კორეის ლიდერი, იგივე მზე, იგივე მამა – კიმ ჩენ ირია.

შიმშილისგან მომაკვდავი ერის ლიდერზე მრავალი ლეგენდა არსებობს. ამბობენ, რომ მისთვის მირთმეული ბრინჯის თითოეული მარცვალი ჯერ სათითაოდ მოწმდება, რომ მას რეგულარულად სტუმრობენ შვედი ქერა პროსტიტუტები. ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად 69 წლის კიმი ქალწულთა სისხლის გადასხმას მიმართავს.

როგორც ამბობენ, მოშიმშილე ჩრდილოეთ კორეის ლიდერი ყოველწლიურად 750 ათას დოლარის ღირებულების ჰენესის ბრენდის კონიაკს ყიდულობს. (1993-1994 წლებში კიმი ამ კომპანიის უმსხვილესი კერძო შემსყიდველი იყო).

ყოველდღიურად ტელევიზიით კიმ ჩენ ირის პოლიტიკური ჩანახატები გადაიცემა. ის წერს წიგნებს, რომლებშიც ხალხს „მსოფლიოს შესახებ სიმართლეს“ მოუთხრობს. მან ორ წელიწადში ექვსი ოპერა დაწერა და ფხენიანში კოშკის დიზაინის შექმნისთვისაც მოიცალა.

კიმ ჩენ ირის მამას, ჩრდილოეთ კორეის პირველ ლიდერს კიმ ილ-სუნგს მადლიერმა კორეელებმა 500-მდე ქანდაკება მიუძღვნეს. კედელზე მისი სურათი ყველა ოჯახის სავალდებულო ატრიბუტია.

ჩრდილო-კორეაში ნამყოფი დასავლელი ჟურნალისტები ამბობენ, რომ იქ ბევრს ისიც კი სჯერა, რომ მსოფლიო კიმ ილ-სუნგის შექმნილია. არ არის ინტერნეტი, აკრძალულია მობილური ტელეფონები, ბევრმა არც ის იცის, რომ ადამიანი მთვარეზეა ნამყოფი.

თუმცა, როცა საქმე ჩრდილოეთ კორეას ეხება, დანამდვილებით არაფრის მტკიცება არ შეიძლება. ამ ქვეყნიდან ინფორმაცია თითქმის საერთოდ არ გამოდის. თავისუფალი ტურიზმი არ არსებობს, ჟურნალისტებს და ექსპერტებს მხოლოდ რეჟიმის წარმომადგენლის მახვილი მზერის ქვეშ თუ უშვებენ ქვეყანაში. მაშინაც, მათი მარშრუტი მკაცრადაა განსაზღვრული, და როგორც წესი, არ ცდება ფხენიანს – ჩრდილოეთ კორეის დედაქალაქს და ერთადერთ მეტნაკლებად ცივილიზებულ დასახლებას.

ჩრდილოეთ კორეის საჩვენებელ დედაქალაქში მხოლოდ მდიდრები და პარტიის ერთგული წევრების ოჯახები ცხოვრობენ. ქალაქის ქუჩებში ტანკები და მძღოლიანი მერსედესები დადიან. ფხენიანის 2 მილიონიანი მოსახლეობა საუკეთესო საკვებს და ჩინეთიდან იმპორტირებულ პროდუქციას რეგულარულად იღებს მაშინ, როცა ხორცი და თეთრი ბრინჯი ჩრდილოეთ კორეის 23 მილიონიანი მოსახლეობისთვის საოცნებოა. თუმცა, ყველაფერი მაინც ბუტაფორიაა – ელექტრომომარაგება არასტაბილურია, სანვავის სიმწირის გამო მანქანები ქუჩაში მხოლოდ მაშინ თუ დადის, როცა ქალაქს მნიშვნელოვანი უცხოური დელეგაცია ეწვევა.

კიმ ჩენ ირის ქვეყანა დაზვერვისთვის ნამდვილი შავი ხვრელია. არადა, მისი ყველაზე სახიფათო აკვიატებული იდეა – ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ ქვეყნად ქცევა თანდათან რეალობა ხდება. დაზვერვის ექსპერტები ცდილობენ გაარკვიონ, ეს ლიდერი „გიჟია, ბოროტია, თუ ორივე ერთად“.

„არა მგონია ის გიჟი იყოს“, – ამბობდა აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი 2000 წელს, კიმ ჩენ ირთან შეხვედრის შემდეგ. ოლბრაიტის თქმით, კიმმა მასზე კარგად ინფორმირებული დიქტატორის შთაბეჭდილება დატოვა.

თუმცა, ჩრდილოეთ კორეის ქმედებებში ლოგიკური მოტივის ძიებას აზრი მაინც არ აქვს. სამხრეთ კორეაში არასოდეს იციან, რა უტრიალებთ მათ ჩრდილოელ მეზობლებს თავში. „არასოდეს იცი, ზუსტად რას შეიძლება ელოდო მათგან“, – ამბობენ სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

დაზუსტებით არავინ იცის არც 23 ნოემბრის თავდასხმის მიზეზი. ჩრდილოეთ კორეამ დღის 2 საათსა და 34 წუთზე სამხრეთ კორეის კუნძულ იონპიონგს ყუმბარები დაუშინა. ცეცხლის შედეგად 4 სამხრეთ კორეელი დაიღუპა, დაიწვა რამდენიმე ათეული სახლი. მილიტარიზებულ ზონაში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. ჩრდილოეთიდან ცეცხლის გახსნას სამხრეთმა ცეცხლითვე უპასუხა.

ფხენიანის მოულოდნელი თავდასხმა კიმ ჩენ ირის ორად ორმა საერთაშორისო მოკავშირემ – ჩინეთმა და რუსეთმაც დაგმო.

საერთაშორისო მიმიმხილველების აზრით, კიმ ჩენ ირის ეს ბოლო ექსცენტრიული ნაბიჯი შესაძლოა ქვეყანაში ძალაუფლების გადაცემას უკავშირდებოდეს. ოქტომბრის დასაწყისში კიმმა თავისი ოფიციალური მემკვიდრე დაასახელა. 26 წლის კიმ იონგ უნს ლეგენდარული ბაბუისა და მამის მსგავსად, საკუთარი მითოლოგიის შექმნა მოუწევს. შესაძლოა, ის ამას სამხრეთ კორეასთან ომის და შემდეგ მისი მოგების ილუზიის შექმნით ცდილობს.

ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობა, რომელიც სრულ ინფორმაციულ ვაკუუმშია, საავარაუდოდ კიმების ვერსიაში ეჭვს ვერ შეიტანს. მათი უმრავლესობის საფიქრალი საკუთარი მედიის თავისუფლება და სამოქალაქო უფლებები მანამდე ვერ გახდება, სანამ ცხოვრების მთავარი მიზანი ერთი ულუფა ბრინჯის მოპოვებაა.

მსოფლიო

აშშ

"მოლაპარაკე თავებს" შემოდგომაზე ითვლიან

სარედაქციო სტანდარტების, თვითრეგულაციის, ჟურნალისტური პასუხისმგებლობის, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ.

სემ დევისი

„მე ვღელავ, როდესაც თვითმფრინავში ვხედავ მგზავრს მუსლიმური სამოსით", – ამ ფრაზამ 56 წლის ჟურნალისტისა და კონსერვატორი პოლიტიკური კომენტატორის, ჰუან უილიამსის 10 წლიანი კარიერა აშშ-ს ნაციონალურ საზოგადოებრივ რადიოში ერთ დღეში დაასრულა. ჰუანზე ნუ იდარდებთ. ტელეკომპანია „ფოქსმა" უკვე შესთავაზა 2 მილიონიანი კონტრაქტი. საზოგადოებრივ რადიოს თანაუგრძნეთ – მან შეიძლება, მილიონები დაკარგოს ფედერალური დაფინანსებიდან.

არჩევნებში გამარჯვებულმა რესპუბლიკელებმა, საზოგადოებრივი რადიომაუწყებლობისთვის დაფინანსების შესაკვეცად კონგრესში ფართომასშტაბიანი კამპანია წამოიწყეს. ამას პრეზიდენტის ფისკალური კომისიის რჩევაც დაემთხვა. კომისია ბიუჯეტის ხარჯების შესამცირებლად პრეზიდენტს საზოგადოებრივი მაუწყებლის სუბსიდირების შემცირებას ურჩევს. საკუთარ შტატში საზოგადებრივ რადიოს დაფინანსება 6 მილიონით უკვე შეუმცირა მისისიპის რესპუბლიკელმა გუბერნატორმა, ჰელი ბარბერმა. ფისკალური კონსერვატორი ბარბერისგან ბიუჯეტის შეკვეცა გასაკვირი არაა. სხვათა შორის, მას 2012 წელს პრეზიდენტის პოსტზე რესპუბლიკელების კანდიდატობასაც უწინასწარმეტყველებენ.

კიდევ ერთი მემარჯვენე გუბერნატორი, ვაიომინგის შტატიდან სინტია ლამისი ხელმოწერებს აგროვებს საზოგადებრივი რადიოს აღმასრულებელი დირექტორის ვივიან შილერის თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით. ერთ-ერთი ხელმომწერი, არიზონელი რესპუბლიკელი ტრენტ ფრენკი საზოგადოებრივ რადიოს ურჩევს, ფონდები არა გადასახადების გადამხდელთა ჯიბეებში, არამედ ფილანტროპ ჯორჯ სოროსთან მოიძიოს. სოროსმა ახლახან მაუწყებელს მილიონ 800 ათასი გადასცა საჩუქრად. ფრენკი ამბობს, რომ ამ საჩუქარმა საბოლოოდ გააქარწყლა

„სი-ენ-ენი" ჟურნალისტური ნეიტრალობის სტანდარტებს გაცილებით მკაცრად იცავს და ბოლო ორი წელია, მაყურებლებს ინტენსიურად კარგავს.

ისედაც არამყარი შეხედულებები საზოგადოებრივი მაუწყებლის ნეიტრალობასა და პროფესიონალიზმზე.

კონსერვატორები დიდი ხანია, ელოდნენ შესაფერის დროს. საზოგადოებრივ რადიოს ისინი ლიბერალების მიმართ მიკერძოებულობაში მუდმივად ადანაშაულებენ. უილიამსის სამსახურიდან გაშვებამ კი მათ ბრალდებებს და კონსერვატორებისა და ლიბერალების მედია ომებს ახალი ძალა შემატა.

ტელეკომპანია „ფოქსის" პრეზიდენტმა, როჯერ აილესმა რადიოს ხელმძღვანელობა ნაცისტებს შეადარა. „ეს მემარცხენე ნაციზმია. მათ არ სურთ განსხვავებული აზრისა და თვალთახედვის გაგონებაც კი. არ აწუხებთ, რომ გადასახადების გადამხდელთა ფულს ხარჯავენ საკუთარი ლიბერალური იდეების პროპაგანდისთვის", – თქვა აილესმა.

„ფოქსის" პრეზიდენტს მოგვიანებით ანტიდეფამაციური ლიგის წინაშე ბოდიშის მოხდა მოუწია სიტყვა „ნაცისტის" ხმარებისთვის, მაგრამ მას არ მოუხდია ბოდიში რადიოსთვის, რომელსაც 27 მილიონი მსმენელი ჰყავს და 166 მილიონიანი ბიუჯეტის 3-იდან (რადიოს მონაცემები) 25 პროცენტამდე (კონსერვატორი ექსპერტების შეფასებები) დაფინანსებას სხვადასხვა ფედერალური ფონდიდან იღებს.

განცხადებები, რის გამოც რადიომ კონტრაქტი შეუწყვიტა, ჰუან უილიამსმა არა საკუთარ რადიო შოუში, არამედ ტელეკომპანია „ფოქსზე", ბილ ორეილის გადაცემაში ოქტომბრის ბოლოს გააკეთა.

„მე არ ვარ ფანატიკოსი"– თქვა ულიამსმა, – „ბევრი დამიწერია სამოქალაქო უფლებების მოძრაობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ როდესაც თვითმფრინავში მუსლიმური სამოსით შემოსილ ადამიანს ვხედავ, ვნერვიულობ".

რადიოს ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ უილიამსმა სარედაქციო სტანდარტები დაარღვია და მისი, როგორც ახალი ამბების ანალიტიკოსის სანდოობა ეჭვქვეშ დააყენა. რადიოს გადაწყვეტილებას ყველა აკრიტიკებდა – მარცხნიდან და მარჯვნიდან – ვუპი გოლდბერგით დაწყებული, სარა პეილინით დამთავრებული.

ყველა აღიარებს, რომ უილიამსმა თქვა ის, რასაც ბევრი ამერიკელი ფიქრობს. აგვისტოში ჩატარებული კვლევის მიხედვით, (Pew Forum for Religion and Public Life), გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ისლამი უფრო მეტად განაპირობებს და უბიძგებს ძალადობისკენ, ვიდრე სხვა რელიგიები.

თავად უილიამსის აზრით, საზოგადოებრივმა რადიომ სიტყვის თავისუფლება პოლიტკორექტულობას შესწირა. რადიოს ხელმძღვანელობას მასთან პრობლემები დიდი ხანია, აქვს. 2007 წელს უილიამსს უარი უთხრეს, თეთრი სახლის მიერ შეთავაზებულ, პრეზიდენტ ბუშის ექსკლუზიური ინტერვიუს აღებაზე – რადიოს უნდოდა, თავად განესაზღვრა, ვინ იქნებოდა ჟურნალისტი და არ სურდა თეთრ სახლს ეკარნახა წესები.

„ენ-ბი-სი"-სა და „ფოქსისგან" განსხვავებით, რომლებიც არ მალავენ იდეოლოგიურ მიკერძოებას, შუაში მყოფი „სი-ენ-ენი" ჟურნალისტური ნეიტრალობის სტანდარტებს გაცილებით მკაცრად იცავს და ბოლო ორი წელია, მაყურებლებს ინტენსიურად კარგავს.

ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ამ არხზე ჟურნალისტი რიკ სანჩესი იყო, რომელსაც „სი-ენ-ენ ამერიკის" ნიუსრუმში, ზურგს უკან „პროდიუსერების ჯოჯოხეთსაც" უწოდებდნენ. რიკმა ექსტრავაგანტული კომენტარებით გაითქვა თავი.

თავის გადაცემაში მან თქვა, რომ ობამა „ბამბის მკრეფელი" პრეზიდენტია. „ბამბის კრეფა" ამერიკაში მძიმე შრომასთან ერთად, მონური, შავი შრომის გამომხატველი სამხრეთული ტერმინია. გამონათქვამის გამო ბოდიში სანჩესმა მაშინვე, რეკლამის შემდეგ, მოიხადა და ამ განცხადებას დიდი აურზაური არ მოჰყოლია.

მოგვიანებით, ერთ-ერთი სატელიტური რადიოს ეთერში სანჩესმა „კომედი ცენტრალის" წამყვანს, ჯონ სტიუარტს ფანატიკოსი უწოდა. სტიუარტი ვერ ეგუება ვერავის, ვინც „თეთრი ლიბერალური ისტებლიშმენტის" მოსაზრებებს არ ეთანხმება, თქვა სანჩესმა და დააყოლა, რომ ამერიკის მედიას, მათ შორის „სი-ენ-ენ"-ს ებრაული კლანები მართავენ და ამის გამო, არ ფიქრობს, რომ ებრაელები ჩაგრული უმცირესობაა.

ამ განცხადებიდან მეორე დღესვე სანჩესი ეთერიდან მოხსნეს, მადლობა გადაუხადეს არხზე გატარებული წლებისთვის და კონტრაქტი შეუწყვიტეს. ბოდიშის მოხდამ აღარ უშველა.

სანჩესს და უილიამსს „ემ-ეს-ენ-ბი-სი"-ს კომენტატორმა კეიტ ოლბერმანმა საკუთარ გადაცემაში ყეყეჩები და ჩლუნგები უწოდა. ეს მანამდე მოხდა, სანამ თავად მოხსნიდნენ ეთერიდან. თუ სანჩესი და უილიამსი იმის გამო დაისაჯნენ, რაც თქვეს, ოლბერმანის დასჯის მიზეზი მისი ქმედება, უფრო სწორად გამოხატვა გახდა.

ოლბერმანმა არჩევნების წინ დემოკრატი კანდიდატების სასარგებლოდ 7 200 დოლარის შემოწირულობა გაიღო. ჟურნალისტს გამოხატვის ეს თავისუფლება ზოგიერთი რედაქციის შიდა პოლიტიკით შეზღუდული აქვს.

ოლბერმანი ლიბერალური „ემ-ეს-ენ-ბი-სი-"ს ერთ-ერთი ვარსკვლავია, მილიონიანი აუდიტორიით. ის ეთერიდან ორ, ასევე პოპულარულ კოლეგასთან ერთად მოხსნეს საარჩევნო კონტრიბუციების გამო, თუმცა სასჯელი აქ გაცილებით მსუბუქი იყო: კონტრაქტი მათთვის არავის შეუწყვეტია. სატელევიზიო ეთერში ოლბერმანი ორი დღის შემდეგ დაბრუნდა.

მიუხედავად იმისა, რომ რედაქციების უმეტესობა კრძალავს ჟურნალისტების მიერ პოლიტიკური შემოწირულობების გაკეთებას, სხვადასხვა დათვლით, დაახლოებით 235-მა მედიამოღვაწემ ნახევარ მილიონამდე დოლარი შესწირა პარტიას ან კანდიდატებს, რომელსაც მხარს უჭერენ.

მთავარი თემა

ფოტო: სერგეი ჩარეზინი / REUTERS

მიხეილ სააკაშვილის და დმიტრი მედვედევის შეხვედრა სანკტ-პეტერბურგში, 6 ივნისი 2008

საქართველო და რუსეთი

საპასუხოს გაღატვიროთვა

სააკაშვილი ევროპაში დაბრუნებას რუსეთის გავლით ცდილობს.

სოფო ბუკია

კრემლში, წარმომადგენლობით დარბაზში ბროლის ჭაღები თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებს. ფოტოკამერების ჩხაკუნი არ ჩერდება. დარბაზში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი და მისი ქართველი კოლეგა მიხეილ სააკაშვილი შემოდიან. პრეზიდენტები ხელს ართმევენ ერთმანეთს, იღიმიან და ოდნავ უხერხულ სიტუაციას დიპლომატიური ხუმრობით ავსებენ. პრესას ერთი შეკითხვის უფლება აქვს. პრეზიდენტები მზად არიან, საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიაში ახალი ერის დაწყებაზე ისაუბრონ.

შესაძლოა თუ არა, რომ ეს სცენა უფრო ახლოს აღმოჩნდეს რეალობასთან, ვიდრე ტელეიმედის იმიტირებული სიუჟეტი, სადაც რუსეთი თავს ესხმის საქართველოს და მის პრეზიდენტს კლავს?

რატომაც არა, თუკი, სკეპტიკოსთა პროგნოზების მიუხედავად, ორწლიანი პაუზის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილს კვლავ მოუსმინეს საერთაშორისო ტრიბუნიდან, სადაც მას კარგა ხანია აღარ ეპატიჟებოდნენ. გასულ კვირას, სააკაშვილს კვლავ მიეცა შანსი საკუთარი ხელისუფლების წარმატებებზე, რეფორმებსა და გამარჯვებებზე ევროპის წინაშე ესაუბრა.

როგორც ჩანს, სააკაშვილის პოლიტიკურ კარიერაში მოულოდნელი არაფერია.

პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისების, სისხლისმღვრელი ომის, შიდა დაძაბულობისა და საერთაშორისო არენაზე პოზიციების მნიშვნელოვნად შესუსტების შემდეგ, სააკაშვილმა კიდევ ერთხელ მოახერხა სრულიად გამოუვალი მდგომარეობიდან თავის დაღწევა.

23 ნოემბერს ევროპარლამენტში მისი გამოსვლა კარგად გათვლილი იყო. მან ზუსტად ის თქვა, რისი მოსმენაც მისგან დიდი ხანია სურდა ევროპას: „ქალბატონებო და ბატონებო, მე მზად ვარ ღრმა და ყოვლისმომცველი დიალოგისთვის ჩემს რუს კოლეგასთან... ჩვენ გვჭირდება რუსეთთან პოლიტიკური დიალოგის დაწყება... ჩვენ ყველას გვინდა – პირადად მე, მსურს – რუსეთი იყოს პარტნიორი და არა მტერი“.

სააკაშვილმა განაცხადა, რომ „საქართველო არასოდეს გამოიყენებს ძალას, რათა უკუაგდოს რუსული ოკუპაცია და აღადგინოს კონტროლი ოკუპირებულ ტერიტორიებზე“.

ერთი დღით ადრე ფრანგულ გაზეთ „ფიგარო“-სთან ინტერვიუში პრეზიდენტმა მეტწილად ასევე რუსეთზე ისაუ-

ბრა: „ნებისმიერ ადგილზე, ყოველგვარ პირობის გარეშე და ნებისმიერ დონეზე. საჭიროა დიალოგის დაწყება“.

ევროპარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლა „ვარდების რევოლუციისა“ და მისი ხელისუფლებაში მოსვლის შვიდი წლის თავს დაემთხვა. ამ ხნის მანძილზე რუსეთი ყოველთვის იყო თემა, რომლითაც სააკაშვილი მუდმივად მანიპულირებდა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში.

დღესაც ასეა. სააკაშვილს ესმის, რომ რუსეთისთვის გაწვდილი ხელი, სავარაუდოდ, ჰაერში დარჩება, თუმცა სწორედ ეს უხერხული პოზა დააბრუნებს მას ევროპაში.

ბოლოს რუსეთზე სააკაშვილმა ნოემბრის დასაწყისში ისაუბრა, როცა რუსთავი 2-ის ეთერით ფილმი „ენვერი“ უჩვენეს. ქართველმა სამართალდამცავებმა რუსი ჯაშუშების ქსელი გამოავლინეს.

პრეზიდენტმა მაშინ თქვა, რომ „რუსეთის უფრო მეტად პროვოცირება შეუძლებელია, რადგან ყველაფერი რისი დაშავებაც კრემლს შეეძლო, უკვე დაგვიშავეს“.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთი და საქართველო მტრები არიან, რომელთა შორის გაწყვეტილია ყველა ურთიერთობა. თბილისისა და მოსკოვის ფორმალური დიალოგი მხოლოდ ჟენევაში მიმდინარეობს, ერთდროულად ევროკავშირის, ეუთოს და გაეროს მეთვალყურეობით.

რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი საქართველოს პრეზიდენტის გასამართლებას ითხოვს და მას პერსონა ნონ გრატად აცხადებს. 2010 წლის 5 აგვისტოს მედვედევმა კიდევ ერთხელ თქვა, რომ თბილისთან „ნორმალური ურთიერთობების“ აღდგენა შეუძლებელია, სანამ პრეზიდენტი სააკაშვილია. რუსეთში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევები ცხადყოფს, რომ ანტიქართულმა პროპაგანდამ, რომელიც ამ ქვეყნის ნაციონალურ არხებზე წლებია მიმდინარეობს, შედეგი გამოიღო – რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი მათი ქვეყნის ნომერ პირველ მტრად სწორედ საქართველოს მიიჩნევს.

ოფიციალური თბილისის პოზიცია ამ ორი წლის განმავლობაში ცალსახა იყო: ვიდრე არ იქნება მკაფიო ნიშნები იმისა, რომ რუსეთი მზად არის, დეოკუპაციის პროცესი დაიწყოს, თბილისს მოსკოვთან პირისპირ დიალოგი არ სურს.

ანტიმოსკოვური კამპანია თბილისშიც სრული სვლით მიდიოდა. ყველა, ვინც კრემლთან ურთიერთობის აწყობა სცადა, პროპაგანდამ სამშობლოს მოღალატედ და გამყიდველად გამოაცხადა.

მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა ევროპარლამენტში, 23 ნოემბერი 2010

„საქართველოშიც არიან პოლიტიკოსები, ვისაც ვიღაცის ჩექმების კოცნის მოთხოვნა აქვთ დღე და ღამე.“ – ეს სააკაშვილის სიტყვებია მათზე, ვინც რუსეთთან დაახლოებას ცდილობდა.

დღეს ნოღაიდელს, კიწმარიშვილს და ბურჯანაძეს რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის მონოპოლია სააკაშვილმა მოურიდებლად ჩამოართვა და ამის შესახებ საჭირო დროს და საჭირო ადგილას განაცხადა.

რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ მსოფლიო პოლიტიკური რუკა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ბარაკ ობამას სტრატეგია – რუსეთთან ურთიერთობების „გადატვირთვა“ მსოფლიო პოლიტიკურ ტენდენციად იქცა.

პოსტსაჭოთა სივრცის ფერადი რევოლუციების რომანტიზმი წარსულს ჩაბარდა. უკრაინაში დაბრუნდა ძალა, რომელიც ლოიალურია მოსკოვის მიმართ, ხოლო ლეხ კაჩინსკის დაღუპვის შემდეგ, პოლონეთისთვისაც კი რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება პრიორიტეტად იქცა.

რუსეთზე სამართლიანად განაწყენებული საქართველო, რომელიც ასევე პასუხისმგებელია 2008 წლის აგვისტოში განვითარებულ მოვლენებზე, საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილი აღმოჩნდა. საქართველოსთვის ბრძოლა ყველასთვის ზედმეტ ტვირთად იქცა. ბევრ სტრატეგიულ საკითხში რუსეთთან წარმატებული დიალოგის შემდეგ, ამერიკული მხარე იძულებული იყო ხაზგასმით აღენიშნა, რომ ერთადერთი საკითხი, რომელზეც შეთანხმება ვერ მოხერხდა, საქართველოა.

გასულს კვირას, ამ უხერხულობას ბოლო მოეღო.

როცა „ოკუპანტთან“ დიალოგის სურვილს თავად „დაჩაგრული“ ქვეყანა გამოთქვამს, კრემლთან მეგობრობის გზაზე მნიშვნელოვანი მორალური ბარიერი დასავლეთისთვის მოხსნილია.

ფრაზა „ოკუპირებული ტერიტორიები“, რომელიც საქართველოსთან დაკავშირებით დაწერილ საერთაშორისო დოკუმენტებში დამკვიდრდა ის დათმობაა, რომელიც აუცილებლად უნდა გაეღო საერთაშორისო თანამეგობრობას, რადგან საქართველოს დეოკუპაციის მისაღწევად სხვა უფრო კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა არ შეუძლია.

ერთი მხრივ, ეს ტერმინი, რომელიც კიდევ ერთხელ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, დასავლეთმა რუსეთის შემდგომი აგრესიის შეკავების იმედით გამოიყენა. „ოკუპანტის“ როლი მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს მოსკოვს კონფლიქტურ ზონებში არსებულ სიტუაციაზე.

მეორე მხრივ, კი ეს ნიშნავს, რომ დასავლეთი ამ ეტაპზე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების გაყინვის მომხრეა. დასავლეთს არავითარი ბერკეტი არ აქვს ზემოქმედება მოახდინოს რუსეთზე, რომელიც სარკოზი-მედვედევის დოკუმენტით აღებულ ვალდებულებებს არ ასრულებს.

სააკაშვილის ინიციატივა მოსკოვთან დიალოგის აღდგენის შესახებ, ისევე როგორც ჯაშუშური სკანდალი – „ენვერი“ რუსეთში მთავარი ამბების მიღმა დარჩა.

მოსკოვი საგარეო უწყების რიგითი განცხადებით შემოიფარგლა:

„პირველი შემთხვევა არ არის, როცა საქართველოს ხელმძღვანელებს ვერაგულად მიაქვთ უკან თავისი სიტყვები. ყველას გვახსოვს, მაგალითად, სააკაშვილის „მშვიდობისმოყვარე“ ტელემიმართვა 2008 წლის 7 აგვისტოს, სულ რაღაც რამოდენიმე საათით ადრე ცხინვალზე ღამის ბარბაროსულ თავდასხმამდე“.

ბოლო რამდენიმე თვეა ანტიქართული ისტერია რუსეთში, საქართველოს მიმართ სრულმა ინდიფერენტულობამ ჩაანაცვლა.

„მათ ახლა ახალი პოლიტიკა აქვთ – საქართველოს საერთოდ არ ახსენებენ, თითქოს არც არსებობს. კრემლში დიდი ხანია გადაწყვიტეს, გაყინონ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები და ამ თემაზე თითქმის აღარ ლაპარაკობენ,“ – ამბობს ბრიტანული ჟურნალ „ეკონომისტის“ მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელი არკადი ოსტროვსკი.

სააკაშვილის ცალმხრივ ინიციატივას ძალის გამოუყენებლობის შესახებ, თავშეკავებული რეაქცია მოჰყვა სოხუმიდანაც.

„ჩვენ სიფრთხილით ვეკიდებით იმას, რასაც ის (სააკაშვილი) ამბობს, რადგანაც დამოუკიდებლობის 18 წლის მანძილზე, საქართველოს არასდროს გამოუჩენია დადებითი ზრახვები აფხაზეთთან მიმართებაში“, – განაცხადა აფხაზეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა მაქსიმ ღვინჯიამ.

ევროპარლამენტში მიხეილ სააკაშვილის ეფექტური გამოსვლის მთავარი ადრესატი რუსეთი არც ყოფილა. არც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რადგან ასეთ შემთხვევაში, იგი ძალის გამოუყენებლობის პირობებას სხვა დროს და სხვა ადგილას დადებდა.

საქართველოს პრეზიდენტისთვის დღეს მიზანი რუსეთთან დიალოგი სულაც არ არის. ამ დიალოგისთვის მზაობის გამოხატვა მას უფრო დიდი მიზნის მისაღწევად დასჭირდა.

საქართველოს მმართველი ელიტისთვის დღეს მთავარი საფიქრალი 2012-2013 წლებია – დრო, როცა „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ უნდა გადაჭრას დილემა — როგორ გადასცეს ძალაუფლება ისე, რომ თან შეინარჩუნოს იგი.

ამ შინაგანი განახლებისთვის კი საერთაშორისო მხარდაჭერის აღდგენა მთავარია. რუსეთის ეგზისტენციალური საფრთხე ან ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების ილუზია მოძველებული და როგორც აღმოჩნდა, წამგებიანი პოლიტიკაა. ამერიკული ორგანიზაციის „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ მონაცემებით, რუსეთთან ურთიერთობების აღდგენას საქართველოში გამოკითხულთა 78 პროცენტი უჭერს მხარს.

> **■ საქართველოს მმართველი ელიტისთვის დღეს მთავარი საფიქრალი 2012-2013 წლებია – დრო, როცა „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ უნდა გადაჭრას დილემა – როგორ გადასცეს ძალაუფლება ისე, რომ თან შეინარჩუნოს იგი. ამ შინაგანი განახლებისთვის კი საერთაშორისო მხარდაჭერის აღდგენა მთავარია.**

საერთაშორისო პარტნიორების და შიდა ამომრჩევლის პოზიცია ამ საკითხში ერთმანეთს ემთხვევა — არც ერთს სურს „კონტრაქტის“ გაგრძელება პოლიტიკურ ლიდერთან, რომელსაც ყველაზე ახლო და ძლიერ მეზობელთან ურთიერთობის აწყობა არ შეუძლია.

დღეს სააკაშვილს საკმაოდ ხელსაყრელი პირობები აქვს იმისთვის, რომ გრძელვადიან გეგმებზე იფიქროს. ტოტალური მედიაკონტროლი და ძლიერი ადმინისტრაციული რესურსი მას ამის ფუფუნებას აძლევს.

ოპოზიცია, რომელმაც ვერა და ვერ ისწავლა პოლიტიკური პროცესების მართვა, ამ ფონზე ხელისუფლებისთვის ნამდვილი საჩუქარად შეიძლება იქცეს.

პროპაგანდის მანქანად ქცეული მედია, შელახული უფლებები, დაშინებული ბიზნეს-სექტორი, ელიტური კორუფცია – ბრალდებები სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ ბევრია. მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარია და მზარდი ინფლაციის ფონზე დღეს კიდევ უფრო მეტად უჭირს.

ამ ფონზეც კი, სააკაშვილმა შეძლო ისეთი ლიდერის იმიჯის შენარჩუნება, რომლის შემცვლელიც დღეს არავინაა.

მეორე საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე სააკაშვილის მთავარი საზრუნავი სწორედ ამ იმიჯის შენარჩუნება და გამყარება იქნება. და არა მარტო მოსახლეობაში, არამედ საკუთარი გუნდის შიგნითაც. აქ მისი პოზიციები მყარია – მმართველ ელიტაში შესაძლო გადაჯგუფებებს ის პირადად აკონტროლებს და ყველასთვის უპირობო ლიდერად რჩება.

სააკაშვილის მთავარი ამოცანა ახლა იმის გათვლაა, თუ რა უნდა მოხდეს მისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ. ყველა ნაბიჯი, რომელსაც ის ამ პერიოდში გადადგამს, ერთი მთავარი ფაზლის შემადგენელი ნაწილია, რომლის გამოსახულებას მთლიანობაში მხოლოდ 2013 წელს დავინახავთ.

ჯადოქარი მიშა

საფრანგეთში პრეზიდენტების მიერ საკუთარი წარუმატებლობების პრემიერ-მინისტრზე გადაბრალება წესად იქცა. თუმცა, ნიკოლა სარკოზიმ ეს ტრადიცია დაარღვია. მისი ამ საქციელის უკან პრაგმატული გათვლები იმალება.

ტომას დე ვალი, კარნეგის ფონდის უფროსი მკვლევარი

ილუსტრაცია: რუსლან აბრამი

რამდენიმე თვის შემდეგ ისევ ჩავედი საქართველოში და ქართული ცხოვრების ახალმა რეალობამ გამაოცა: სააკაშვილი ისევ დაბრუნებულა.

ორი წლის წინ, 2008 წლის აგვისტოში დამარცხების შემდეგ, თითქმის ყველა დღეებს ითვლიდა, სანამ პრეზიდენტი გადადგებოდა. დღეს კი ის კვლავ საქართველოს უდავო ლიდერია. გამოკითხვები ადასტურებს, რომ სააკაშვილს პოპულარობაში ვერავინ ეცილება. ოპოზიციის ლიდერები ჩრდილში მოექცნენ.

მოვლენების ამგვარად შემოტრიალებას რამდენიმე მიზეზი აქვს. ქართულმა ოპოზიციამ აჩვენა, რომ დაქსაქსული და მოუხეშავია – უკეთესად გამოსდის ყვირილი, ვიდრე მოსახლეობის პრობლემებზე ყურადღების გამახვილება. მათ ინიციატივა პრეზიდენტს და მმართველ პარტიას გადასცეს. ქართულ ოპოზიციას უწევს, შეეჭიდოს ყველა იმ პრობლემას, რომელიც პოსტ-საბჭოთა სივრცეში სტატუს კვოს წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფებისთვისაა დამახასიათებელი: ორგანიზაციული სტრუქტურისა და რეგიონული ოფისების არარსებობა, ნაციონალურ ტელეარხებზე შეზღუდული მისაწვდომობა და თანხების მოზიდვის სერიოზული პრობლემები, მათი პოტენციური დონორები საგადასახადო პოლიციას უფრთხიან. საქართველოს ყველაზე პერსპექტიული ოპოზიციური ლიდერი – ირაკლი ალასანია – ჯერაც დასაყრდენის ძიებაშია. მას ამ დრომდე ვერ მოუხერხებია, რომ ჭკვიანური პოლიტიკური თეორიები აქციოს პოპულარულ, სახალხო მუხტად.

სააკაშვილის კვლავ დაბრუნების მთავარი მიზეზი მაინც მისი განსაკუთრებული უნარია, ფლობდეს ქართული პოლიტიკური სივრცის ყველა სფეროს. ჩემთვის ცნობილ ყველა სხვა პოლიტიკოსთან შედარებით, სააკაშვილი ნამდვილი მაგია, რომელსაც

გამოსდის, იყოს ყველაფერი ყველასთვის. ის ხან ათათურქია (სახელმწიფოს სტრუქტურების მშენებელი), ხან ჯორჯ ბუშ უმცროსი (ნეოკონი), ხან ზვიად გამსახურდია (ნაციონალისტი) და ხანაც ვლადიმერ პუტინი (დაუნდობელი „ცენტრალიზატორი“). ის ბილ კლინტონსაც მაგონებს, ბუნებრივად კომუნიკაბელურ პოლიტიკოსს და ბორის ელცინსაც – პოლიტიკოსს, რომელმაც პოლიტიკური ჯგუფები ისე შეარიგა, როგორც ვერავინ მოახერხებდა.

მიშას (სააკაშვილს ყველაზე ხშირად სწორედ ასე უწოდებენ) შეუძლია, ერთდროულად იყოს სენატორ მაკკეინის და ბელარუსის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს მეგობარი. ის კვლავ სარგებლობს პოპულარობით რესპუბლიკური პარტიის წრეებში ვაშინგტონში და ამავე დროს, ირანთან უვიზო რეჟიმს ამყარებს. იგი ამაყობს მსოფლიო ბანკის სანაქებო სიაში მოხვედრით, რომლის მიხედვითაც საქართველოში ბიზნესის კეთება იოლია და ამავე დროს, ისეთ ეკონომიკას ქმნის, სადაც მონოპოლიები ჩვეულებრივი ამბავია.

სააკაშვილი საუბრობს „შვეიცარიის შენებაზე სინგაპურის ელემენტებით“ (დაბალი გადასახადები, მცირე სახელმწიფო), და ამავე დროს, დებს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას ევროკავშირთან, რომელიც მოითხოვს მასიური რეგულაციების შემოღებას და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას. ის საუბრობს ტრადიციულ ღირებულებებზე, ქართული კულტურის დაცვაზე და ამავე დროს, მტკვარზე ბრჭყვიალა ხიდს აგებს, რომელიც ძველი თბილისის ხედს აფუჭებს და რომელიც „ატლანტა, ჯორჯიას“ უფრო მოუხდებოდა, ვიდრე „თბილისი, ჯორჯიას“ .

თითქმის ყველა პოლიტიკურ დებატებში – ეკონომიკაზე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, ევროკავშირთან ურთიერთობებზე, სოციალურ პრობლემებზე – სააკაშვილი ახერხებს დაპირისპირების ორივე მხარეს იყოს. მას ისიც კი უთქვამს, დღეს ოპოზიციაში რომ ვიყო, მთავრობას უამრავ პრობლემას შევუქმნიდიო. ის ნამდვილად პოსტმოდერნული პრეზიდენტია.

ზოგმა შეიძლება თქვას, რომ ასეთი თვითნაბადი პოლიტიკოსის ქვეყნის სათავეში ყოფნამ საქართველოს სტაბილურობა მოუტანა. გარკვეულწილად, ის ყველა ტიპის ამომრჩეველს აძლევს იმას, რაც სჭირდება. თუმცა, ეს ყოვლისშემძლეობა, ადრე თუ გვიან, უნდა დასრულდეს და საქართველოში ჯერ კიდევ არ იციან, როგორ უნდა მოხდეს ეს. ნაცნობი შემთხვევაა: ლიდერმა შექმნა სისტემა, რომლის შეუცვლელი ცენტრი თავადაა და ის ვერ უძლებს ცდუნებას, რომ ეს მმართველობა უსასრულოდ არ გააგრძელოს. ერთი მხრივ, სააკაშვილს ძალაუფლების გარეშე ცხოვრება გაუჭირდება და მეორე მხრივ კი, ის ერთგვარი არბიტრია ხელისუფლების სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის. ამ დაჯგუფებებს დამაბალანსებელი ძალა იმისათვის სჭირდებათ, რომ სამოქალაქო ომში არ ჩაებან.

> **■ თითქმის ყველა პოლიტიკურ დებატებში – ეკონომიკაზე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, ევროკავშირთან ურთიერთობებზე, სოციალურ პრობლემებზე – სააკაშვილი ახერხებს დაპირისპირების ორივე მხარეს იყოს. მას ისიც კი უთქვამს, დღეს ოპოზიციაში რომ ვიყო, მთავრობას უამრავ პრობლემას შევუქმნიდიო. ის პოსტმოდერნული პრეზიდენტია.**

საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელიც ოქტომბერში მიიღეს, იმ მტკიცე საპრეზიდენტო სისტემას შლის, რომელიც სააკაშვილმა 2004 წელს შექმნა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი გახდა. ახალი კონსტიტუცია პრეზიდენტის ძალაუფლებას პრემიერ-მინისტრს გადასცემს, 2013 წელს, სწორედ მაშინ, როდესაც სააკაშვილის მეორე საპრეზიდენტო ვადა დასრულდება. ჯერჯერობით, როდესაც ეკითხებიან, სურს თუ არა პუტინივით მოიქცეს და პრემიერ-მინისტრი გახდეს, მიშა პირდაპირ პასუხს თავს არიდებს.

ქართველებს უყვართ იმის გამეორება, რომ საქართველოს არც ერთ პრეზიდენტს პოსტი არჩევნების გზით არ დაუტოვებია. ზვიად გამსახურდია ძალადობრივად ჩამოაგდეს, ედუარდ შევარდნაძე კი მშვიდობიანი „ვარდების რევოლუციით“. სააკაშვილი ღირსეულ მემკვიდრეობას დატოვებს, თუ მშვიდობიანად დაასრულებს მმართველობას და ძალაუფლების კონსტიტუციური წესით გადაცემას უზრუნველყოფს. მთავარია, ვინც ამ ძალაუფლებას ჩაიბარებს, თავად სააკაშვილი არ იყოს.

მმართველობის პოსტმოდერნული სტილი შეიძლება, მანამდე არც კი გაგრძელდეს. მომავალ 2011 წელს, ქართულ ეკონომიკას მძიმე გადაწყვეტილებების დროს დაუდგება. ამოიწურება 2008 წელს საქართველოსთვის დასავლეთის მიერ გამოყოფილი დახმარებების პაკეტი, ინვესტიციები კლებულობს და 2012 წელს დიდი ვალების გადახდის წელია. არჩევნებამდე საქართველოს სხვა ტიპის ლიდერობა სჭირდება – გრანდიოზული დაპირებების ნაცვლად თამამი რეალიზმი. ეს კი ჯადოქარი მიშას ძლიერი მხარე ნამდვილად არ არის.

შეხვედრა "სტრატეგიული პაუზის" შემდეგ

ინტერვიუ საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრის პრეზიდენტთან **ალექსანდრე რონდელთან**

საქართველოს ხელისუფლებამ დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებით უნდა შექმნას გარემო, როდესაც გარეშე ფაქტორები ქვეყნის ბედზე დიდ გავლენას ვეღარ მოახდენენ. თუმცა მანამდე საქართველო კვლავ შეერთებული შტატების სიგნალებზეა დამოკიდებული.

ბარაკ ობამას გაპრეზიდენტების პირველი დღიდან საქართველოში ელოდნენ ობამა-სააკაშვილის პირისპირ შეხვედრას. რამდენად ობიექტური იყო ეს მოლოდინი და რამდენად სწორია ის ფორმულირებები, რომელიც ჯორჯ ბუშის შემდეგ თანამშრომლობის შესუსტებას უკავშირდება?

ქართველებს მითებში ცხოვრება გვიყვარს და ჩავეფალით იმ მითში, რომ საქართველო და აშშ ორი თანაბარი მოკავშირეა, რომლებიც ერთმანეთისთვის თავს გადადებენ. ეს ასე არ არის.

საქართველოს და ამერიკის ურთიერთობა ძალზე ასიმეტრიულია. ერთ მხარეს მსოფლიოს სუპერ ძალა დგას, 14 ტრილიონი დოლარის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მქონე ქვეყანა, მეორე მხარეს კი პატარა სახელმწიფო, რომელსაც უსაფრთხოების პრობლემები აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი ბუში აშშ-ს საგარეო პრიორიტეტებში ხაზგასმით გამოყოფდა საქართველოს და პირადად პრეზიდენტ სააკაშვილს, ვნახეთ, რომ 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის დროს აშშ საქართველოს ვერ დაეხმარა.

შემდეგ შეერთებულ შტატებში აირჩიეს დემოკრატი ბარაკ ობამა, რომელსაც მრჩევლები აფრთხილებენ, რომ წინამორბედი ბუშის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში გადაჭარბებული იყო. ეს სიმართლეა

ბარაკ ობამას და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა, ლისაბონი, ნოემბერი 2010

– ჩვენ ნამდვილად გათამამებულები ვიყავით ბუშის ადმინისტრაციის დროს და რაც კიდევ უფრო საინტერესოა, ეს ნორმად მივიღეთ.

არჩევიდან ორი წლის შემდეგ ბარაკ ობამა მიხეილ სააკაშვილს ლისაბონში, ნატოს სამიტის ფრაგლებში შეხვდა. რას ნიშნავს საქართველოსთვის ეს შეხვედრა?

მსოფლიოს 200-მდე ლიდერიდან, გასული ორი წლის მანძილზე ობამა 20-მდე ლიდერს თუ შეხვდა. საქართველოს დელეგაციასთან შეხვედრას მან 45 წუთი დაუთმო. შემთხვევითი არ არის, რომ ეს შეხვედრა ნატოს სამიტზე შედგა, სადაც მედვედევიც იყო წარმოდგენილი. ეს ხომ არ ნიშნავს ამერიკის მხრიდან იმის დემონსტრირებას, რომ მართალია რუსეთს არ აღიზიანებენ და ელოლიავებიან, თუმცა მაინც საკუთარი ინტერესები აქვთ?!

შეერთებულ შტატებში გამოზომეს დრო და მათ დღის წესრიგში საქართველოს ჯერიც დადგა. ეს შეხვედრა გარკვეულწილად იმ კრიტიკული მოსაზრების გაჩენის გამოც შედგა, რომ აშშ ყველაზე ერთგული ქვეყნისადმი მხარდაჭერას ასუსტებდა.

ბოლო ორი წლის განმავლობაში აშშ-ს ფინანსური დახმარების ნაკადი არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდეც. მარტო 2008 წლის ომის შემდეგ 1 მილიარდი დოლარი გადმოირიცხა. თუმცა, ლიდერების შეხვედრა არ შედგა. როგორც ჩანს, პრეზიდენტი ობამა ცდილობდა, რუსეთის გაღიზიანების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს საკითხი წინ არ წამოწია.

საბედნიეროდ, საქართველოს აღმოაჩნდა მოთმინება, რომელსაც ასე გვთხოვდნენ. ამ სტრატეგიული პაუზის შემდეგ დადგა მომენტი, როდესაც ორ ქვეყანას შორის მოკავშირეობის და მეგობრობის გამხელა შეიძლებოდა. ვფიქრობ, ეს შეხვედრა არის აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პასუხი საქართველოს კონტრიბუციებზე – ჩვენს ტერიტორიაზე ტვირთების უზარმაზარი ნაკადი მოდის, ჩვენი ბატალიონი იბრძვის ავღანეთში. აშშ-თვის ეს სამხედრო კონტრიბუცია ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველო ამით მაგალითს აძლევს სხვებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დიდი ქვეყნები გარბიან ავღანეთიდან.

ობამასთან შეხვედრის შემდეგ რა შეიძლება შეიცვალოს საქართველოსთვის?

> ■ შეერთებულ შტატებში გამოზომეს დრო და მათ დღის წესრიგში საქართველოს ჯერიც დადგა. ეს შეხვედრა გარკვეულწილად იმ კრიტიკული მოსაზრების გაჩენის გამოც შედგა, რომ აშშ ყველაზე ერთგული ქვეყნისადმი მხარდაჭერას ასუსტებდა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ველოდოთ, რომ პოლიტიკურად უფრო დაცულები ვიქნებით. საქართველომ ყოველგვარი აგრესია დიპლომატიური გზებით უნდა შეაჩეროს. სხვაგვარად, ჩრდილოეთიდან წამოსულ აგრესიას ჩვენ ვერ გავუმკლავდებით.

აშშ-სთან კონტაქტის გააქტიურების ფონზე, რას შეიძლება ველოდოთ ნატო-საქართველოს ურთიერთობებში?

ნატოს სამიტზე ძალიან დადებითი შედეგები მივიღეთ: გვახსენეს ნატოს სტრატეგიულ კონცეფციაში, მოვხვდით სამიტის დეკლარაციაში, სადაც საქართველოს, უკრაინისგან განცალკევებით, რამდენიმე აბზაცი დაეთმო. ამით, უკრაინას და საქართველოს თავისი ადგილები მიუჩინეს. წარუმატებლობა იქნებოდა ჩვენი უკრაინის კონტექსტში დატოვება, რომელსაც ნატოში გაერთიანება არ სურს.

ამ დოკუმენტებში საქართველოს ხსენება დიდი დიპლომატიური ბრძოლის შედეგია, რადგან ამას ნატოს შიგნითაც კი ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. სამიტის წინა დღემდე ხდებოდა ამ დოკუმენტების რედაქტირება.

ეს ყველაფერი ამერიკის ინტერესებში რომ არ ყოფილიყო, სამიტზე მოვლენები ასე არ განვითარდებოდა და ჩვენც სხვაგვარ ფორმულირებებს მივიღებდით.

ბარაკ ობამას საპრეზიდენტო ვადის მეორე ნაწილში საქართველოს რა მოლოდინები აქვს?

იმის მიუხედავად, როგორი პრეზიდენტი ჰყავს ამერიკას, რა ხდება რუსეთში ან ევროპაში, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაა. საჭიროა დემოკრატიის უმაღლეს ხარისხში აყვანა და შენარჩუნება, რათა გარეშე ფაქტორები ასეთ დიდ გავლენას აღარ ახდენდნენ ჩვენს უსაფრთხოებასა და განვითარებაზე.

ჩვენი ხელისუფლება ხშირად ყოყმანობს დემოკრატიასა და უსაფრთხოებას შორის. არადა, აუცილებელია, ორივე ერთად განვითარდეს. ზოგჯერ, არადემოკრატიული მეთოდების ტაქტიკურად გამოყენება გამართლებულია, თუმცა ავტორიტარულმა ნაბიჯებმა არ უნდა გაგიტაცოს. ცუდია, სირცხვილია, როცა კეთილშობილური მიზნების მიღწევას არაკეთილშობილური გზით ცდილობ.

თუ ხელისუფლება ინსტუტუტების გაძლიერებას ვერ შეძლებს, ისიც და საქართველოც განწირულია.

ესაუბრა დიანა ჩაჩუა.

პოლიტიკა

ფოტორეპორტაჟი

24 ნოემბერი

„ქართული პარტიის“ მთავარ მიზნებად ლიდერებმა სილარიბის დაძლევა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რუსეთთან ურთიერთობების აღდგენა და ეკონომიკის მოდერნიზაციისათვის ინვესტიციების მოზიდვა დაასახელეს.

ფოტოალბომი ირაკლი ბაკურაძისაგან

დარბაზში, სადაც ყრილობა გაიმართა, ჟურნალისტები არ შეუშვეს. ლიდერების გამოსვლებს მედიის წარმომადგენლები ფილარმონიის ფოიეში დამონტაჟებული ეკრანიდან ადევნებდნენ თვალს. უშუალოდ დარბაზში მხოლოდ „ქართული პარტიის“ მიერ დაქირავებული ოპერატორები მუშაობდნენ.

„ქართული პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, პოლიციის მიერ ძებნილმა ირაკლი ოქრუაშვილმა პარტიის მხარდამჭერებს პარიზიდან, ვიდეოჩანაწერით მიმართა.

„ქართული პარტიის“ დამფუძნებელთა ყრილობაზე მისულ დელეგატებს სამოდელო სააგენტო „იმიჯ-ცენტრის“ თანამშრომლები არეგისტრირებდნენ. ახალგაზრდების განცხადებით, ისინი პარტიას ყრილობის ორგანიზებაში ეხმარებოდნენ.

ფოტორეპორტაჟი

25 ნოემბერი

■ აქციას რეგიონებიდან ჩამოსული ხალხიც შეუერთდა. „სახალხო კრების“ დასრულების შემდეგ ისინი პარლამენტის წინ ღია ცის ქვეშ დარჩნენ. მათი თქმით, კრების ორგანიზატორებმა მათ კვებაზე და თავშესაფარზე არ იზრუნეს.

■ „სახალხო კრების“ წარმომადგენლობით საბჭოში გაერთიანდნენ ნინო ბურჯანაძე, კობა დავითაშვილი, გუბაზ სანიკიძე, ირაკლი ბათიაშვილი, თემურ შაშიაშვილი, სახალხო საბჭოს წევრები. კრების ორგანიზატორები საქართველოს ყველა რეგიონში დაუმორჩილებლობის კომიტეტების შექმნას აპირებენ.

ფოტოები თეიმურ ბაირაშვილის

■ სააგენტო ფრანს-პრესის მონაცემებით, რუსთაველის გამზირზე „სახალხო კრებას“ 7 000-ზე მეტი ადამიანი დაესწრო. „ფიგარომ“ აქციას „2009 წლის შემდეგ ყველაზე ხალხმრავალი ოპოზიციური მანიფესტაცია” უწოდა. ქართულ საინფორმაციო გამოშვებებში აქცია გადაცემების ბოლოს, 30-ე წუთის შემდეგ მოხვდა. ამ სიუჟეტებში პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორია მაშინ უჩვენეს, როცა ის დაცარიელდა.

ბიზნესი

ბიზნესი მაპონტროლებელთა ღუპის ქვეშ

მსხვილი და მცირე მეწარმეების მიმართ სახელმწიფოს ხისტი საგადასახადო პოლიტიკა, შესაძლოა, ინვესტიციების შემცირების მიზეზი გახდეს.

მანანა ვარდიაშვილი

2010 წლის პირველ ნახევარში დაწყებული სავაჭრო ობიექტების დალუქვის ტენდენცია, წლის მეორე ნახევარში მეწარმეთა დაკავების პრაქტიკამ ჩაანაცვლა.

ბოლო დროს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ერთ დროს ხელისუფლებასთან ასოცირებული რამდენიმე მსხვილი ბიზნესმენი დააკავა.

მათ შორის პირველი გენო მალაზონია იყო. კომპანია „ენერჯი ინვესტის“ გენერალური დირექტორი და პრეზიდენტი უკანონო სამეწარმეო საქმიანობის, ფინანსური მაქინაციებისა და გადასახადებისთვის თავის არიდების ბრალდებით 2010 წლის 19 მაისს დააკავეს.

დასაჭერ მსხვილ ბიზნესმენთა სიაში რიგით მეორე კომპანია „მათე მოტორსის“ დამფუძნებელი გელა ბარკალაია აღმოჩნდა. ის საგადასახადო სამსახურის წარმომადგენელისთვის ქრთამის მიცემის ბრალდებით 12 ივნისს დააკავეს.

განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხის მითვისებასა და თაღლითობაში ედება ბრალი კომპანია „ელიტ-ელექტრონიქსის“ დამფუძნებელსა და ამჟამად კომპანია „ტექნობუმის“ მეპატრონე ანზორ ქოქოლაძეს, რომელიც სამართალდამცველებმა 4 აგვისტოს აიყვანეს.

ყველაზე დიდი ხმაური ებრაელ ბიზნესმენთა დაკავების ფაქტს მოჰყვა – რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი ბათუმში 14 ოქტომბერს დააპატიმრეს. გამოძიების მტკიცებით, მათ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ავთანდილ ხარაიძეს ქრთამის სახით 7 მილიონი დოლარი შესთავაზეს. საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა კიდევ ერთ ეჭვმიტანილზე, ბერძენ ბიზნესმენ იოანის კარდასოპულოსზე. ებრაელ ბიზნესმენთა დაკავების საქმეს განსაკუთრებულ ინტრიგას ის ფაქტი სძენს, რომ საქართველოს სახელმწიფომ, მარტში, ვაშინგტონში, ინვესტიციების სფეროში დავების მოსაგვარებელ საერთაშორისო ცენტრში, კომპანია „ტრამექსის“ მეპატრონეებთან – ფუქსთან და კარდასოპულოსთან ხუთწლიანი დავა წააგო და მათ სასარგებლოდ 98 მილიონი ამერიკული დოლარის გადახდა დაეკისრა.

მსხვილი ბიზნესმენების შემდეგ ჯერი მცირე და საშუალო ბიზნესზე მიდგა. 5 ოქტომბერს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით კონტრაბანდული ტვირთისა და ყალბი საბაჟო დოკუმენტაციის დამზადებისა და გამოყენების ბრალდებით გადამზიდავ კომპანია – შპს „ტრანსის“ მენეჯერსა და თანამშრომლებთან ერთად სავაჭრო ცენტრების – „კიდობანის“, „თერგისა“ და „პასაჟის“ 170-მდე მოვაჭრე დააკავეს. მოგვიანებით მათი ნაწილი 5 და 10-ათასიანი გირაოს გადახდის სანაცვლოდ გაათავისუფლეს, რვა ინდმეწარმეს კი ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს.

შპს „ტრანსის“ კონტრაბანდული სქემის გაშიფვრის შემდეგ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ლილოს ბაზრობაზე გადაინაცვლა. ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ბაზრობაზე საკონტროლო შესყიდვები განახორციელეს და იმ მოვაჭრეებს, რომლებმაც სასაქონლო ზედნადები ვერ წარმოადგინეს და ჩეკი არ გამოწერეს, სავაჭრო ობიექტები დაულუქეს და სოლიდური ჯარიმები გამოუწერეს.

მცირე მეწარმეებმა გადასახადების ადმინისტრირების გამკაცრება გააპროტესტეს: „ინდმეწარმედ დამარეგისტრირეს. ახლა შემოსავალ-გასავალის ზუსტი აღრიცხვისთვის ჟურნალი უნდა ვაწარმოო. ძალიან ხშირად გვამოწმებენ. ჟურნალში გაყიდული საქონლის ზომა ან ფერი რომ შეგვეშალოს, გვაჯარიმებენ. ხალხს გაურკვეველი ჯარიმები და სანქციები მოსდის. ზოგს ბინაც დაუყადაღეს. არ ვიცი, ღირს თუ არა ასეთ პირობებში მუშაობა. შიშისა და ნერვიულობისგან უკვე ნევროზი დამემართა. გადასახადების დამალვის მანია არ მჭირს. მაგრამ, ყველა გადასახადს თუ პატიოსნად გადავიხდი, გამოდის რომ ფაქტობრივად ბიუჯეტისთვის ვიმუშავებ და სახლში პურის ფულსაც ვეღარ წავიღებ“, – ამბობს ლილი ხაჩიკიანი, ლილოს ბაზრობის ერთ-ერთი მოვაჭრე.

პოლიტიკოსთა და ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ სავაჭრო ობიექტების დალუქვისა და მეწარმეთა დაკავება-დაჯარიმების გახშირებული ფაქტები არახელსაყრელ ბიზნესგარემოზე მიუთითებს.

„შპს „ტრანსთან“ დაკავშირებულ ინდმეწარმეებთან მიმართებაში სახელმწიფო მაკონტროლებელმა ორგანოებმა გადაჭარბებული ძალა გამოიყენეს. დანაშაული იყო, მაგრამ სახელმწიფოს კანონით განსაზღვრული ადეკვატური ზომები უნდა გაეტარებინა. კანონი გადამზიდავმა კომპანიამ დაარღვია და დანაშაულზე პასუხისმგებელიც ის უნდა ყოფილიყო. მცირე მეწარმეთა მხრიდან ჩადენილი დანაშაული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად კვალიფიცირდება, რაც სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველი არ არის. პრობლემა ის არის, რომ ასეთი რეგულაციები კანონმდებლობით სრულფასოვნად არ არის გაწერილი“, – ამბობს საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლევან კალანდაძე, – „ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლები კანონის მიხედვით მოქმედებენ – ზედნადების გამოწერას კანონი ითხოვს. სამწუხაროდ, კანონის ეს მოთხოვნა არ არის

ჩისხვებს მიღმა

საქართველოს ხელისუფლება ყველაზე მეტად მსოფლიო ბანკის კვლევაში – „ბიზნესის კეთება 2011“ დაკავებული მეთორმეტე ადგილით ამაყობს.

მსოფლიო ბანკის კვლევა 9 კრიტერიუმისგან შედგება. იმ კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც ახალი ბიზნესის დასაწყებად საჭირო დროს, პროცედურებს, ხარჯებსა და მინიმალურ საწესდებო კაპიტალს ეხება, საქართველოს 183 ქვეყანას შორის მერვე ადგილი უკავია. სამშენებლო ნებართვების ასაღებად საჭირო პროცედურების, დროის, ხარჯებისა და შემოწმებების მიხედვით მეშვიდე, ხოლო საკუთრების დარეგისტრირების – კომერციული უძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებული პროცედურების, დროისა და ხარჯების მიხედვით, მეორე.

ინვესტორთა დაცვის კატეგორიაში საქართველოს მე-20 პოზიცია უკავია, კრედიტის აღების კრიტერიუმში კი – მე-15. გადასახადების პარამეტრში (გადასახადების რაოდენობა, გადასახადების გადახდადაბრუნებისათვის საჭირო დრო) საქართველოს მდგომარეობა 61-ე ადგილითაა შეფასებული. რაც შეეხება საერთაშორისო ვაჭრობას, ექსპორტ-იმპორტისათვის საჭირო დოკუმენტაციის, დროისა და ხარჯების მიხედვით საქართველოს 35-ე ადგილი აქვს დაკავებული, კომერციული დავების მოსაგვარებლად საჭირო დროის, პროცედურებისა და ხარჯების მიხედვით კი 41-ე. „ბიზნესის კეთება 2011“-ის შეფასების ცხრა კრიტერიუმიდან ყველაზე დაბალი შეფასება საქართველომ „ბიზნესის დახურვის“ კატეგორიაში მიიღო და 183 ქვეყანას შორის 105-ე ადგილი დაიკავა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ მომზადებული „საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის რეიტინგში კი საქართველოს 139 ქვეყანას შორის 93–ე ადგილი უკავია. საკუთრების დაცვის კრიტერიუმით, 139 ქვეყანას შორის 120–ე ადგილზეა, ხოლო სასამართლოს თავისუფლების ხარისხით – 104–ე ადგილზე. ნაციონალური დაგროვების ინდექსით ჩვენს ქვეყანას 110–ე პოზიცია უკავია, ანტიმონოპოლიური რეგულირებით კი 135–ე. კვლევითი ინსტიტუტების ხარისხის მიხედვით საქართველოს მდგომარეობა 120–ე ადგილით შეფასდა. მაკროეკონომიკური გარემოს მიხედვით კი საქართველოს 130–ე ადგილი მიუჩინეს.

ეკონომიკა

თამაში ჰეიტინგებით

ინტერვიუ ბიზნესომბუდსმენსა და პრემიერ-მინისტრის მთავარ მრჩეველთან კერძო სექტორის ხელშეწყობის საკითხებში

გიორგი პერტაიასთან

„როგორ შეიძლება „მსოფლიო ბანკის“ „ბიზნესის კეთება 2011“-ის რეიტინგში მე-12 ადგილზე ვიყოთ და ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველ სხვა კვლევაში 49-ე ადგილს ვიკავებდეთ?“

ბიზნესომბუდსმენის თანამდებობაზე 5-თვიანი მუშაობის შემდეგ როგორ შეაფასებთ საქართველოს ბიზნეს გარემოს?

საქართველოს ბიზნეს გარემოს შეფასება უკვე გააკეთა „მსოფლიო ბანკის“ კვლევამ. „ბიზნესის კეთება 2011“-ის რეიტინგში საქართველოს მე-12 ადგილი უკავია. საქართველო გამორჩეულია ბოლო ხუთი წლის მანძილზე გატარებული რეფორმების ინტენსიური კურსით. „მსოფლიო ბანკის“ ეს ანგარიში ცხადყოფს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმები სწორი მიმართულებით ვითარდება.

„ბიზნესის კეთება 2011“-ის რეიტინგში არის კრიტერიუმები, რომლებშიც საქართველოს ტრადიციულად ცუდი მდგომარეობა აქვს, მაგალითად, გადასახადების გადახდა და ბიზნესის დახურვა. ქართული ბიზნეს გარემოს სისტემურ რისკებს შორის ექსპერტები კერძო საკუთრების და ინვესტორთა დაცვის დაბალ ხარისხს ასახელებენ. გარდა ამისა, არსებობს სხვა კვლევებიც, სადაც საქართველოს ბიზნეს გარემოს დახასიათება, რბილად რომ ვთქვათ, მთლად სახარბიელო არ არის.

კერძო საკუთრების უფლების დაცვის სფეროში და სასამართლო სისტემაში პრობლემები მართლაც გვაქვს. მაგრამ, ძალიან ბევრი კვლევა რეალობას არ ასახავს. როგორ შეიძლება „მსოფლიო ბანკის“ „ბიზნესის კეთება 2011“-ის რეიტინგში მე-12 ადგილზე ვიყოთ და ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველ სხვა კვლევაში 49-ე ადგილს ვიკავებდეთ?

გამოდის, რომ მხოლოდ ის რეიტინგი ასახავს რეალურ მდგომარეობას, სადაც

საქართველოს კარგი პოზიცია აქვს და რეალობისგან შორს არის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ მომზადებული „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში“, სადაც საქართველოს რეიტინგის ბოლო ადგილები უკავია?

ბევრი ასეთი კვლევის და რეიტინგის შედეგებს არ ვეთანხმები. თუმცა, პრობლემების არსებობას არავინ უარყოფს. ბიზნესომბუდსმენის აპარატში ცხელი ხაზის ამოქმედება ახალ საგადასახადო კოდექსზე მუშაობის პროცესს დაემთხვა. ცხელი ხაზის ამოქმედების შემდეგ ბიზნესსექტორში არსებული ბევრი პრობლემის იდენტიფიცირება მოვახერხეთ. როცა ახალი საგადასახადო კოდექსი ამოქმედდება, მდგომარეობა

ქართული ეკონომიკისთვის ძალიან ცუდია, როცა მცირე და საშუალო ბიზნესმენი ბიზნესს ხურავს. მაგრამ, ბიზნესი, რომელიც მხოლოდ კონტრაბანდისა და კანონის დარღვევის ხარჯზე არსებობს, რა თქმა უნდა, უნდა დაიხუროს.

კიდევ უფრო გაუმჯობესდება. ახლა ვმუშაობთ კანონქვემდებარე აქტებზე. კოდექსის ზოგად დებულებებს კანონქვემდებარე აქტები გაწერს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ბოლო 2 თვის განმავლობაში არაერთი მცირე მეწარმე დააკავა. ექსპერტთა და უფლებადამცველთა შეფასებით, სახელმწიფო მაკონტროლებელმა ორგანოებმა შპს „ტრანსთან“ დაკავშირებულ მეწარმეთა დაკავებისას არაპროპორციული ძალა გამოიყენეს. მოწმის სტატუსით დაბარებული ადამიანები დააკავეს და საპროცესო გარიგების სანაცვლოდ სოლიდური თანხებიც გადაახდევინეს. ბევრმა მათგანმა, შესაძლოა, ბიზნესის გაგრძელება ვეღარ შეძლოს. რით ახსნით მათ წინააღმდეგ ასეთი მკაცრი ზომების გატარების აუცილებლობას?

ოპერაციის ტექნიკურ მხარეზე ვერ ვისაუბრებ. დარწმუნებული ვარ, აუცილებლობა რომ არ ყოფილიყო, ეს ოპერაცია არ ჩატარდებოდა. მეწარმეთა დაკავება მთავრობის ინტერესში არ შედის. ქართული ეკონომიკისთვის ძალიან ცუდია, როცა მცირე და საშუალო ბიზნესმენი ბიზნესს ხურავს. მაგრამ, ბიზნესი, რომელიც მხოლოდ კონტრაბანდისა და კანონის დარღვევის ხარჯზე არსებობს, რა თქმა უნდა, უნდა დაიხუროს. მე ბიზნესის დამცველი ვარ და ჩემი ასეთი პოზიცია ალბათ, ბევრ ადამიანს გაუკვირდება. მაგრამ, მე არ ვარ ადვოკატი, რომ ვინმემ ფული გადამიხადოს და სამაგიეროდ მე ის ნებისმიერ საკითხში გავამართლო.

რამდენადაც ვიცი, დანაშაული ყველა დაკავებულმა აღიარა. ისინი კონტრაბანდული საქონლის შემოტანის სქემაში იყვნენ ჩართულნი. ყალბი მონაცემები შეჰქონდათ საბაჟო-სატვირთო დეკლარაციებში და სახელმწიფოს დიდი ოდენობით საბაჟო და საგადასახადო გადასახდელებს უმალავდნენ.

ახლა ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ მაკონტროლებელი ორგანოების ასეთი ქმედება ინვესტორებს დააფრთხობს. ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმები. კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროა იმისთვის, რომ ლეგალური ბიზნესი დავიცვათ. იმის გამო, რომ ამ ხალხს აღურიცხავი საქონელი შემოჰქონდა, გადასახადის პატიოსანი გადამხდელი ბიზნესმენები ზარალდებოდნენ. თბილისში უამრავი მაღაზია დაიხურა იმის გამო, რომ იაფ კონტრაბანდულ საქონელს ფასში კონკურენციას ვერ უწევდნენ. სამწუხაროდ, არავინ ითვლის იმას, არალეგალური ბიზნესის არსებობის გამო რამდენი ლეგალური ბიზნესი დაიხურა.

თქვენ, როგორც ბიზნესომბუდსმენი ქართველი და ებრაელი ბიზნესმენების დაკავების ფაქტებით არ დაინტერესდით?

როცა საქმე ეხება ქრთამის აღებამიცემას და თაღლითობას, აქ ბიზნესზე კი არა, სისხლის სამართლის დანაშაულზეა საუბარი. მე მხოლოდ ბიზნესთან დაკავშირებულ პრობლემებს ვიკვლევ. ამ შემთხვევაში პრობლემა საგადასახადო კოდექსს, ან ნებართვის გაცემა-არგაცემას არ ეხებოდა. შესაბამისად, ამ ბიზნესმენთა საქმეებით დაინტერესება სახალხო დამცველის ფუნქციებში გადადის.

ბევრ მეწარმეს სავაჭრო ობიექტი დაულუქეს. თუ მოგმართათ ვინმემ რეაგირებისთვის და რით დაეხმარეთ მათ?

მიუხედავად იმისა, რომ ცხელი ხაზი გვაქვს ჩართული და ანონიმურობასაც ვიცავთ, ჩემთვის არავის მოუმართავს. ალბათ, იმიტომ, რომ დანაშაული აქვთ ჩადენილი და ეს ძალიან კარგად იციან. **მეწარმეთა დიდი ნაწილი აცხადებს, რომ წინა წლებში შემოტანილ ბევრ საქონელზე ზედნადები არა აქვთ. რა გამოსავალს სთავაზობთ მათ?**

ამ თემაზე ვმუშაობთ. არ ვიცი, მთავრობა როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს. ფაქტია, რომ პრევენციული ღონისძიება აუცილებლად უნდა გატარდეს. არალეგალურ ბიზნესს საქმიანობის გაგრძელების საშუალებას ვერ მივცემთ.

საფრანგეთის ელჩმა ერიკ ფურნიემ თავის მიმართვაში ინვესტორებისადმი „საგადასახადო სამსახურების მოკირკიტე დამოკიდებულება“ გააკრიტიკა. არც ამ მოსაზრებას იზიარებთ?

„საგადასახადო სამსახურების მოკირკიტე დამოკიდებულება“ კომპლიმენტივით ჟღერს. საგადასახადო სამსახურის წარმომადგენელთა მოვალეობა სწორედ ის არის, რომ თავიანთ საქმეს კირკიტით მოეკიდონ.

ესაუბრა მანანა ვარდიაშვილი.

საზოგადოება

ინტერნეტ პროვაიდერი

ჰოგბოჰ გაიყიდა „კავკასუსი“?

„კავკასუს ონლაინის“ დამფუძნებელმა ქვეყანა დატოვა. მისი კომპანიის ახალი მფლობელებისთვის ყველა ის კარი გაიღო, რომელიც მამია სანადირაძისთვის დალუქული იყო.

ნანა საჯაია

ფოტო: ალბერტ ფაცაცია

„კავკასუს ონლაინის“ რებრენდინგის პომპეზური ცერემონია დამფუძნებლის გარეშე, 5 ნოემბერი 2010

„კავკასუს ონლაინმა“ 5 ნოემბერს რებრენდინგის პრეზენტაცია გამართა. ახალი სერვისების პრეზენტაციის პომპეზური ცერემონია „თბილისი ივენთ ჰოლში“ გაიმართა. პერფორმანსი სპეციალურად ამ საღამოსთვის ლონდონიდან ჩამოსულმა ჯგუფმა FTF-მა წარმოადგინა: სცენის ერთ კუთხეში მოწყობილი იყო საცხოვრებელი სახლის ოთახი იმის საჩვენებლად, რომ სახლში ყველას შეეძლება, ჰქონდეს სამი პროდუქტი ერთდროულად: ინტერნეტი, IP ტელევიზია და IP ტელეფონი.

IP (internet protocol) ტელევიზია და ტელეფონი გლობალურ ბაზარზეც სრულიად ახალი პროდუქტია, რომელიც უმაღლესი ხარისხის სატელევიზიო გამოსახულებისა და ხმის, განვლილი გადაცემების ნებისმიერ დროს ყურებისა და მრავალფეროვანი არხების მიღების საშუალებას აძლევს კლიენტს. მისი საქართველოში დანერგვის უფლება კი კონკურენტებთან და ქალაქის მთავრობასთან ორწლიანი ბრძოლის შემდეგ კომპანია „კავკასუსმა“ იმ ადამიანის გარეშე მოიპოვა, ვინც ამ პროექტის ლობირება „კავკასუსის“ სახელით თავიდან დაიწყო.

IP ტექნოლოგიის სიკეთეებზეც 5 ნოემბრის პრეზენტაციაზე „კავკასუსის“ შემქმნელის, მამია სანადირაძის ნაცვლად, კომპანიის ახალმა გენერალურმა დირექტორმა, გია ადეიშვილმა ილაპარაკა:

„მინისქვეშა ოპტიკური სადენი თითოეულ სახლთან მიდის. მომხმარებელი მიიღებს სწრაფ, ხარისხიან და სტაბილურ ინტერნეტს, ასევე IP ტელევიზიას მრავალფეროვანი ფუნქციებით და ისარგებლებენ IP ტელეფონით, რომელშიც ხმოვანი სიგნალის გადაცემა ციფრულად ხდება. მომხმარებელს მომსახურების მაქსიმალურ კომფორტს ვპირდებით“, – განუმარტა ადეიშვილმა საკუთარ კლიენტებს, რომლებიც უკვე წლებია, უკმაყოფილონი არიან, „კავკასუსის“ არასტაბილური ხარისხის მქონე ინტერნეტით.

გია ადეიშვილმა პრეზენტაციაზე ოპტიკური ინტერნეტის სადენი სიმბოლურად თბილისის მერთან ერთად შეაერთა.

თვალისმომჭრელი ილუმინაციებით განათებულ სცენაზე ქალაქის მერი და ინტერნეტბაზრის ყოფილი ლიდერი კომპანიის დირექტორი ორ მომხიბვლელ გოგონასთან ერთად ავიდნენ და განათებული კაბელი საზეიმოდ მაღლა ასწიეს.

გიგი უგულავამ „კავკასუსის“ ტრანსფორმაციას ისტორიული ნაბიჯი უწოდა, მისი თქმით, თანამედროვე ქალაქისთვის მთავარი სწრაფი და ხარისხიანი ინტერნეტია.

როდესაც განახლებული კომპანიის პომპეზური ზეიმი მიმდინარეობდა, „კავკასუსის“ დამფუძნებელი თბილისში არ იყო. სანადირაძე უკვე რამდენიმე თვეა, ოჯახთან ერთად, ლონდონში ცხოვრობს. მისი ბავშვობის მეგობრის და „კავკასიის ინტერნეტ მედია ჯგუფის“ ფინანსური დირექტორის, ბესო გაბუნიას თქმით კი, სანადირაძემ კომპანიის 50 პროცენტი პრობლემების გამო გაყიდა:

„ეტყობა, ამ ფირმის დანგრევას არჩია, გაეყიდა, სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა. ორ წელს გრძელდებოდა ბრძოლები, მიდიოდა ჩაჭრები, ყველაფერს ხომ აქვს თავი და ბოლო. 500 ადამიანი მუშაობს „კავკასუს ონლაინში“ და წარმოიდგინეთ, თითოეული მათგანი ყოველ დილას მოდიოდა სამსახურში ისე, რომ არ იცოდა, კიდევ იარსებებდა კომპანია თუ არა“.

სანადირაძეს პირველი პრობლემა კონკურენტ „გაერთიანებულ ტელეკომთან“ 2008 წელს შეექმნა. ამ დროისთვის „კავკასუსი“ უკვე ფლობდა ინტერნეტბაზრის 78 პროცენტს. „გაერთიანებულმა ტელეკომმა“ „კავკასუსს“ ჯერ 3 მილიონი ლარის გადახდა მოსთხოვა, მერე კი კომპანიის DSL სისტემის მომხმარებლები გათიშა.

მოგვიანებით საქმეში მერიის ზედამხედველობის სამსახურიც ჩაერთო, რომელმაც ქალაქის ცენტრალურ უბნებში მდებარე საცხოვრებელ კორპუსებში „ჯელინკის“ ქსელები ჩაჭრა.

საბოლოოდ „კავკასუსი“ და ზედამხედველობის სამსახური შეთანხმდნენ, რომ კომპანია კაბელებს მიწისქვეშა ინფრასტრუქტურაში ჩადებდა, თუმცა მიწისქვეშა საკომუნიკაციო არხებს თბილისში „გაერთიანებული ტელეკომი“, „ახალი ქსელები“ და „ახტელი“ ფლობდნენ, რომლებმაც კონკურენტ კომპანიას ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის გასაყვანად თავიანთი ინფრასტრუქტურის გამოყენების ნება არ მისცეს. ამიტომაც მომდევნო ერთი წლის განმავლობაში „ჯელინკის“ ქსელის გაფართოება შეუძლებელი გახდა. ამ პრობლემებს ისიც დაემატა, რომ „ჯელინკის“ ქსელებს ფარულად ჭრიდნენ, რისთვისაც „კავკასუსმა“ შინაგან საქმეთა სამინისტროსაც მიმართა, თუმცა საქმეები არ გახსნილა.

ამავე პერიოდში გაჩნდა ვარაუდი, რომ მამია სანადირაძის კომპანიას მთავრობა არასასურველი პოლიტიკური შეხედულებების გამო ავიწროებდა.

ბესო გაბუნია ამბობს, რომ ის „კავკასუსის“ ამჟამინდელ მფლობელებს არ იცნობს, კომპანიის შიგნით წილების გადანაწილების პროცესს კი ასე აღწერს:

„მოლაპარაკებების პროცესი დაახლოებით ნახევარ წელს გრძელდებოდა. ვიცი, რომ ხელშეკრულება ოფშორში გაფორმდა. 20 პროცენტის მფლობელია ერთ-ერთი ინგლისური საინვესტიციო კომპანია, 30 პროცენტი შეინარჩუნა მამიამ, დანარჩენი 50 პროცენტის მფლობელი კი, მე როგორც ვიცი, არის GMC ჯგუფი. ეს კომპანია თბილისში გაფორმებული ჩვეულებრივი შპს იყო. შემდეგ ყველა მხარემ ერთად ჩამოაყალიბა ოფშორული კომპანია „ინთერნეიშენალ ონლაინ ნეთვორქს“-ი და წილები მის შიგნით გაიყვეს“.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვითაც, „კავკასუსის“ 100 პროცენტიანი წილის მფლობელი 12 მარტიდან ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული კომპანია „ინთერნეიშენალ ონლაინ ნეთვორქსია“. ამასვე ადასტურებს „ნეთვორქსის“ მიერ დაქირავებული დირექტორი, გია ადეიშვილიც:

„ნეთვორქსში“ 50 პროცენტს „გროუს მასტერ ჰოლდინგზ“-ი ფლობს, 19.94 პროცენტს – „ნელგადო ლიმითედ“, ხოლო 30.06 პროცენტი ისევ მამია სანადირაძეს ეკუთვნის“, – ამბობს ადეიშვილი.

კომპანიის ყოფილი მფლობელი, სანადირაძე მედიასთან საუბარს ჯერჯერობით თავს არიდებს. ის არც სატელეფონო ზარებს პასუხობს და არც – ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილ წერილებს. ამ ფონზე „კავკასუსის“ ახალი რეალური მფლობელის შესახებ ინფორმაციის მოპოვება კიდევ უფრო რთულდება. ინგლისური სახელწოდებების მქონე კომპანიების უკან მდგარი პირების ანონიმურობას ოფშორული კანონმდებლობა დარაჯობს.

საგულისხმოა ისიც, რომ რაც ხანგრძლივი ბრძოლის მიუხედავად არ გამოსდიოდა სანადირაძის „კავკასუსს“, ახლა იოლად მოსაპოვებელი გახდა ინკოგნიტო „ინთერნეიშენალ ონლაინ ნეთვორქსისთვის“. მისი სახელით, კომპანიის ახალი დირექტორი, გია ადეიშვილი „კავკასუსის“ შეჩერებული პროექტების განხორციელებას იწყებს და გრძელვადიან სამომავლო გეგმებზე საუბრობს.

კითხვაზე, თუ როგორ მოახერხა ახალმა მენეჯმენტმა კონკურენტებთან და მთავრობასთან პრობლემების მოგვარება, ბესო გაბუნია პასუხობს, რომ ამჟამინდელმა მფლობელებმა ნებართვა მერიისგან აიღეს: „ეტყობა მათ მერიასთან საერთო ენა გამონახეს“. მისი თქმით, „კავკასუსის“ პრობლემები წილების გადანაწილებით მოგვარდა: „ადეიშვილი არის დაქირავებული დირექტორი, ადეიშვილს არანაირი წილი არა აქვს“.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვითაც, „კავკასუსის“ 100 პროცენტიანი წილის მფლობელი 12 მარტიდან ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული კომპანია „ინთერნეიშენალ ონლაინ ნეთვორქსია“.



ფოტო: ალბერ ფალიანი

Google-ის რუკაზე საქართველო, მეზობელი ქვეყნებისგან განსხვავებით, აუთვისებელ, ყამირ მიწას ჰგავს



ზაფხულში არასამთავრობო ორგანიზაცია OMC-ის მოხალისეებმა საქართველოს დეტალური, ინტერაქტიული რუკა შეადგინეს

საქართველო ზედხედით

საქართველოს ნაცვლად არსებული სიცარიელე ინტერნეტ რუკებში 2011 წლიდან შეივსება. ეს პრესტიჟის საქმედ იქცა სახელმწიფოსთვის, რომელიც ყველაზე დიდ ფსონს ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკური განვითარებისთვის ტურიზმზე დებს.

ნინო გოგუა

მცირე ექსპერიმენტს გთავაზობთ: ვებ-მისამართზე http://maps.google.com, რომელზეც მსოფლიოს ყველაზე მივარდნილი ადგილებიც კია დატანილი, ძიების გრაფაში ჩაწეროთ სიტყვა „თბილისი“ და წარმოივიდგინოთ, რომ გვსურს, ქალაქ თბილისში ერთი კონკრეტული მონაკვეთის, მაგალითად რუსთაველის გამზირის რუკაზე დათვალიერება.

Google-ი სიტყვა „თბილისზე“ რამდენიმე ვარიანტს შემოგვთავაზებს, მაგალითად, ნიუ იორკში, ჩიკაგოში თუ ლონდონში გახსნილ რესტორნებს სახელწოდებით „თბილისი“. შემოგვთავაზებს, ამ რესტორნების ზუსტ მისამართებს, ფოტოებსა და მარშრუტებს იქ მოსახვედრად. საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან კი სულ ორიოდე პუნქტი ექნება მონიშული – თბილისის საერთაშორისო აეროპორტი და „მერიოტის“ სასტუმროები. დანარჩენი თბილისის ნაცვლად Google-ის რუკაზე ღია ნაცრისფერ ფონზე გავლებული და გზის აღმნიშვნელი რამდენიმე წრფის გარდა, არაფერი დაგხვდებათ – არც ბანკები და სავაჭრო ცენტრები, არც სახელმწიფო ობიექტები, უნივერსიტეტები, საავადყოფოები, რესტორნები და ღამის კლუბები, არც ტრანსპორტის მარშრუტები და არც ახლად გაყვანილი გზატკეცილები.

თითქოს, მთელ მსოფლიოში ასე ფართოდ გამოყენებადი და პოპულარული საძიებო სისტემისთვის – http://maps.google.com/ – საქართველო თურქეთს, რუსეთსა და შავ ზღვას შორის მოქცეული ყამირი მიწა იყოს და სხვა არაფერი.

არადა, ამ ვებგვერდს მსოფლიოში მილიონობით მომხმარებელი დღეში რამდენჯერმე იყენებს – მივარდნილ სოფელსა თუ დიდ მეგაპოლისში გზის გასაგნებად, იმ ტრანსპორტის ნომრის გასაგებად, რომელიც სასურველ პუნქტამდე მიდის, ანდა „ა“ წერტილიდან „ბ“ წერტილამდე უბრალოდ მანძილის გამოსათვლელად.

მას შემდეგ რაც კოსმოსური ნავიგაციის სატელიტური სისტემა GPS მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის გახდა ხელმისაწვდომი, მოგზაურობა შეუდარებლად გაიოლდა. Google-ი კი ლიდერი გზამკვლევი გახდა, როგორც რიგითი ტურისტებისთვის, ისე ბიზნესმენებისთვის, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში ნოყიერ საინვესტიციო „მიწებს“ ეძებენ.

„საქართველო რუკაზე დატანილი არასოდეს გვქონია, იმის გამო, რომ არ გვაკმაყოფილებს იმ რუკების ხარისხი, რასაც ამ ქვეყანაზე ვფლობთ. მიუხედავად ამისა, გაზრდილი ინტერესის გამო, გადავწყვიტეთ რუკაზე მაინც დავიტანოთ ის არასრული მონაცემები, რაც გვაქვს“ – წერია Google-ის ოფიციალურ საიტზე.

საქართველოს ნაცვლად არსებული სიცარიელე ინტერნეტ რუკებში 2011 წლიდან შეივსება. პროექტს ეკონომიკის განვითარების სამინისტრო კურირებს. ეს პრესტიჟის საქმედ იქცა სახელმწიფოსთვის, რომელიც ყველაზე დიდ ფსონს ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკის განვითარებისთვის ტურიზმზე დებს.

„რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავხდეთ მსოფლიო რუკის ნაწილი“ – განაცხადა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კალიფორნიაში, Google-ის ოფისის სტუმრობისას. „სირცხვილია, როცა ქვეყანა საერთაშორისო მონაცემებში არ შედის“.

რუკების შედგენაზე საქართველოში ტრადიციულად რამდენიმე სახელმწიფო უწყება და ინსტიტუტია პასუხისმგებელი. თუმცა, უკვე წლებია, თუ არ ჩავთვლით კერძო ინიციატივებს, სახელმწიფოს ქვეყნის რუკების განახლება-განვითარებაზე არ უზრუნია.

„რუკები, რითაც ვხელმძღვანელობთ, ძირითადად, საბჭოთა კავშირის დრო-

საა შექმნილი, ან კერძო კომპანიებისგან ვყიდულობთ. რაიმე ჯგუფი, რომელიც რუკების შექმნასა და შემდეგ მის გადამოწმებაზე იქნება პასუხისმგებელი, სამინისტროში არ არსებობს“, – ამბობს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახურის უფროსი, ირაკლი ლეჟავა და დასძენს, რომ რუკები კონკრეტულად მის უწყებას გარემოს ცვლილებების, ბუნებრივი საფარის, კერძო საკუთრების გამოჩენა-გაქრობის აღწერაში ეხმარება.

mapspot.ge – ეს მისამართი კი ქართულ ინტერნეტ გვერდებს შორის ცოტა ხნის წინ გამოჩნდა. ის ვებსივრცეში პირველი გეოგრაფიული საძიებო სისტემაა, რომელზეც საქართველო მთლიანად არის დატანილი და რომელზეც ქუჩების გარდა, დაწესებულებების ძებნაც კი შეიძლება. „წლის ბოლომდე სოფლების მოძებნაც შეგეძლებათ და საქართველოს სხვა ქალაქებში – ქუჩებისაც“, – გვარწმუნებენ არასამთავრობო ორგანიზაცია Open Map Caucasus-ის (OMC) წევრები.

ორგანიზაცია, რომელიც საერთაშორისო გრანტებისა და 800-მდე მოხალისე ქართველის დახმარებით, სრულიად დამოუკიდებლად ადგენს საქართველოს დეტალურ, ინტერაქტიულ რუკებს, საკუთარ მონაცემებს საჯარო რეესტრსა და ეკონომიკის განვითარების სამინისტროს გაუზიარებს, ერთად თავმოყრილ, შესწორებულ რუკებს კი საქართველო შემდეგ Google-ს გაუგზავნის.

„რეესტრის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ დეტალურად ვიცით, სად რა ობიექტია და როდიდან. გვაქვს ინფორმაცია ქუჩების და ორგანიზაციების შესახებაც, რომლის მოძიება და დამუშავება არასამთავრობო სექტორისთვის უფრო რთული იქნებოდა“, – ამბობს საჯარო რეესტრის თანამშრომელი ვოვა ჩხაიძე.

OMC-ჯგუფის წევრების თქმით, სწორედ რეესტრმა მიაწოდა მათ საქართველოში არსებული შენობების გეოგრაფიული კოორდინატები, შენობებზე დეტალური ინფორმაცია კი უკვე OMC-მ დამოუკიდებლად მოიპოვა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსგან მათ მიიღეს ინფორმაცია მდინარეთა ქსელებისა და ტბების მოხაზულობის შესახებ. ეს ყველაფერი შემდეგ დიდი ინტერაქტიული რუკის ნაწილი გახდა, რომელიც იანვრიდან სრული დატვირთვით იმუშავებს და ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება.

„Google-ის მიზანი საქართველოს მსგავს ქვეყნებში რუკების შექმნის თავისუფალი და უფასო პლატფორმის ორგანიზებაა, რომელშიც ნებისმიერ მოხალისეს შეუძლია საკუთარი ქალაქის თუ უბნის რუკაზე დატანაში წვლილი შეიტანოს. ზუსტად ასეთი მიზანი აქვს არასამთავრობო ორგანიზაცია OMC-ისაც იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს მიერ შედგენილი რუკები აბსოლუტურად უფასოა და ყველას შეუძლია მისი გამოყენება, არა მხოლოდ Google-ს“, – ამბობს OMC-ის დირექტორი და ამერიკული ორგანიზაცია JumpStart International-ის წარმომადგენელი ჯეფ ჰააკი, ქართველ კოლეგებს OMC-იდან რუკების თავისუფალი რესურსის შექმნაში ეხმარება.

ინტერაქტიულ რუკაზე მუშაობა 800-მდე რიგითი ქართველისთვის სახალისო გამოცდილებად იქცა. „რუკაზე მუშაობა ბარისახოდან დავიწყეთ და სულ ოთხი სოფლის რუკა შევადგინეთ. მთლიანობაში პირაქეთა ხევსურეთის რუკები ორ კვირაში იყო მზად“, – წერს OMC-ის ბლოგზე პროექტის მონაწილე ბერდია არაბული.

ხშირად მოხალისეები საჰაერო ბურთებს იყენებდნენ დეტალური აერო ფოტოების შესაქმნელად

GPS-ით ხელში, მანქანით გადაადგილებისას ან ფეხით სიარულისას იგივე გაკეთეს ზუგდიდის, ქუთაისის, რაჭის და სვანეთის მკვიდრებმაც. ხშირად იმ ტერიტორიებზე, რომლებისთვისაც Google-ის სატელიტური ფოტოებიც კი არ არსებობს, ან ცუდი ხარისხისაა, მოხალისეები საჰაერო ბურთებს იყენებდნენ დეტალური აერო ფოტოების შესაქმნელად.

„ჩვენი მოხალისეები რამდენიმე თვის განმავლობაში, საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში ინიშნავდნენ ყველა გზას, მაღაზიას, მუნიციპალურ თუ კერძო შენობებს. შემდეგ ოფისში ჩვენთან ერთად ამუშავებდნენ ამ მასალას. შედეგად დღეს, როცა ეს პროექტი უკვე დასრულებულია, საქართველოს 90 პროცენტის დეტალური რუკა გვაქვს, კონფლიქტური რეგიონების გარდა“, – აცხადებს OMC-ის პროექტების მენეჯერი სოფო ბაგაური.

პირველადი რუკების შედგენა პროექტის მნიშვნელოვანი, მაგრამ საწყისი ნაწილია. საჭიროა მისი მუდმივი კონტროლი და შესწორება. შემდეგ უკვე Google-ის ყველა უპირატესობის გამოყენებაზე ფიქრიც შეიძლება. მაგალითად, საქართველოს დატანა Google-ის ქუჩების რუკაზე (Google street view), რომელზეც Google-ის მონაცემთა ბაზაში არსებული, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მდებარე ქუჩის ვიდეოგამოსახულების ნახვაა შესაძლებელი.

ეს უკვე შესაძლებელია იმ ადამიანებისთვის, ვინც კონკრეტულ ქუჩას ეძებს მაგალითად, ერევანში. Google-ის ამ სერვისის გამოყენებით ნებისმიერ ტურისტს ძირძველი ერევნელის დახმარების გარეშე შეუძლია, ინტერნეტში ნახოს, სად შეიძლება დალიოს გემრიელი ყავა, საითაა კინოთეატრი, მუზეუმი, ან წიგნების მაღაზია.

სომხეთი ერთ–ერთია იმ ქვეყნებს შორის, რომლის დეტალური ტოპოგრაფიული რუკები მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდანაა ხელმისაწვდომი, თანაც – აბსოლუტურად უფასოდ.

OMC-ისა და საჯარო რეესტრის თანამშრომლობის წარმატებით დასრულების შემდეგ ეს უკვე შესაძლებელი იქნება საქართველოსთვისაც.

განათლების საინფორმაციო პოლიტიკა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციული პოლიტიკა სისტემის განვითარებას ხელს უფრო უშლის, ვიდრე ეხმარება.

სიმონ ჯანაშია



განათლების სფეროში გადაწყვეტილებას მრავალი მხარე იღებს: სახელმწიფო, მშობელი, მოსწავლე, სკოლებსა და უმაღლესებში მომუშავე ადამიანები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოებრივი გაერთიანებები. რაც უფრო ხელმისაწვდომია ინფორმაცია და რაც უფრო ნაკლები ბიუროკრატიული ბარიერია ინფორმაციის მომწოდებელსა და მომხმარებელს შორის, მით უფრო მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილების მიღება, რაიმე ინსტიტუციის ან ნაბიჯის შეფასება უფრო მეტად არგუმენტირებულად მოხდება.

სისტემის შესახებ მეტი ცოდნა განათლების სფეროში ახალი ინიციატივების გაჩენას უწყობს ხელს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახალ ინფორმაციას ყოველდღიურად აწვდის დაინტერესებულ საზოგადოებას თავისი ოფიციალური საიტისა და მედიის საშუალებით. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ამ სამინისტროს ინფორმაციული პოლიტიკა სისტემის განვითარებას ხელს უფრო უშლის, ვიდრე ეხმარება.

განათლების სფეროში მომუშავე ინსტიტუციებსა და პიროვნებებს, ახალი რეგულაციებისა და ინიციატივების შესახებ ცოდნის გარდა ხშირად სხვა სახის ინფორმაცია სჭირდებათ. თუ თქვენ საგანმანათლებლო დაწესებულებას ხელმძღვანელობთ, საკუთარი საქმიანობის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია, რომ იცნობდეთ იმ კონტექსტს, რომელშიც მოღვაწეობა გიწევთ.

დავუშვათ, რომ თქვენ სკოლის დირექტორი ხართ და თქვენი სასწავლებლიდან მეცხრე კლასის ბოლოს მოსწავლეების 10 პროცენტი თავს ანებებს სწავლას. თავისთავად ეს რაოდენობა არაფერს გეუბნებათ. თუმცა, თუ გეცოდინებათ, რომ ქვეყნის მასშტაბით გაცილებით ნაკლები მოსწავლე ანებებს თავს სწავლას ამ საფეხურზე, შესაძლოა, თქვენს სკოლაში არსებული ვითარება უკვე გარკვეული ორიენტირის გათვალისწინებით შეფასდეს.

როდესაც საზოგადოება საკუთარი ფინანსური სახსრების ნაწილს სახელმწიფოს ანდობს, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ანგარიშვალდებული იყოს მისი დამფინანსებლის წინაშე. როდესაც რაიმე ახალი პროგრამა ან ნაბიჯი ინერგება, ცხადია, რომ აუცილებლად უნდა გვქონდეს იმის საკმარისი დასაბუთება, თუ რა ტიპის, მასშტაბის, სირთულის პრობლემის გადაჭრა მოხდება ამ ქმედებით. ასევე გვაინტერესებს პროგრამის მეთოდოლოგია, მიმდინარეობა. ბოლოს კი სახელმწიფოსგან ველით ანგარიშს, რომელიც აგვიხსნის

იმას, თუ რამდენად წარმატებულია ის.

განათლების სისტემის მართვის ან შინაარსის თვალსაზრისით გაუმჯობესებისთვის საჭირო ცოდნის დიდი ნაწილი აკადემიურ სფეროში იქმნება. ტარდება კვლევები, რომლებიც პრობლემურ კითხვებზე პასუხებს გვთავაზობს. ეს კვლევები ხშირად მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, სკოლის დირექციასთან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან მჭიდრო თანამშრომლობას საჭიროებს. კვლევის წარმოებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მისი დაგეგმვა სისტემის შესახებ არსებულ ცოდნაზე დაფუძნებით მოხდეს.

იმისთვის, რომ საზოგადოებას განათლების სფეროში არსებული პრობლემების მოგვარებაში ჩართვა შეეძლოს, მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ უტყუარი ინფორმაცია სისტემაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. მედიის როლი ამ თვალსაზრისით გადამწყვეტია. მასობრივი საინფორმაციო საშუალებები თუ ინდივიდების მიერ გავრცელებული ინფორმაცია გვეხმარება იმის ცოდნაში, თუ რა ელის ჩვენს შვილებს, რა

ყველაფერი, რაც დიმიტრი შაშკინის მინისტრობამდე იყო გამოცემული და საზოგადოებისთვისაც ხელმისაწვდომი, საიტიდან გაქრა.

გველის თავად, რა ვითარებაა დღეს განათლების სისტემაში.

საქართველოში სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ბოლო წლებში არათუ იზრდება, არამედ მცირდება. ამავე დროს მცირდება ახალი ინიციატივების შესახებ კონცეპტუალური დოკუმენტების ან საკანონმდებლო პროექტების საჯაროდ წარმოდგენის შემთხვევები. შეიზღუდა განათლების სისტემაში მომუშავე ადამიანთა შესაძლებლობა, რომ იურთიერთონ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან და მედიასთან.

2010 წლის დასაწყისში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური საიტი შეიცვალა. საიტზე ვეღარ ნახავთ სტატისტიკურ ინფორმაციას სკოლების რაოდენობის, რეგიონალური განაწილების, სწავლების ენის, მოსწავლეების რაოდენობისა და სქესის მიხედვით.

საიტიდან ასევე მოიხსნა 2004-09 წლებში გამოცემული კვლევის ანგარიშები, სამინისტროს წლიური ანგარიშები, სტრატეგიული დოკუმენტები, კონცეფციები, საერთაშორისო ექსპერტების მიერ განათლების სისტემის შეფასების დოკუმენტები.

ყველაფერი, რაც დიმიტრი შაშკინის მინისტრობამდე იყო გამოცემული და საზოგადოებისთვისაც ხელმისაწვდომი, საიტიდან გაქრა.

ამავე წელს სხვადასხვა ცენტრის საიტიდან მოიხსნა წინა წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი კვლევების ანგარიშები. მაგალითად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის საიტზე აღარ არის ხელმისაწვდომი კვლევა მასწავლებლების თვალსაზრისით სისტემის საჭიროებებისა და მიწოდების შესახებ.

სამაგიეროდ, საიტზე პუბლიკაციების ნაწილში ქვეყნდება ინტერვიუები განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან, მათ შორის ისეთიც, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მსგავსი მითითების გაცემის კომპეტენცია არ აქვს. სკოლის დირექტორები კი სკოლის გარეშე პირებთან ურთიერთობაზე თავად არიან კანონით პასუხისმგებლები.

სამინისტროს მიერ ინფორმაციაზე კონტროლი მხოლოდ მედიაზე არ ვრცელდება. სკოლები და რესურს-ცენტრები მკვლევარებს ან სკოლებთან თანამშრომლობით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს ცენტრალიზებულად გაცემული ნებართვის აუცილებლობაზე მიუთითებენ. ასეთი ნებართვა მოთხოვეს სკოლის დირექტორებმა ჩემს ერთ სტუდენტს. ის კვლევას ატარებს თბილისის სკოლებში ფრანგული ენის სწავლასთან დაკავშირებით. ამისთვის ფრანგულის მასწავლებლებთან ინტერვიუების აღება ჭირდება. დირექტორების გარკვეული ნაწილი მას სამინისტროს გაცემულ დოკუმენტს თხოვს. რის საფუძველზე უნდა გასცეს ეს ნებართვა სამინისტრომ, როდესაც კანონის მიხედვით მას ამის კომპეტენცია არ გააჩნია?

ასევე პრობლემურია ის, რომ მნიშვნელოვანი ახალი ინიციატივების შესახებ ინფორმაცია უმეტესად ბრიფინგებზე და ტელეინტერვიუებზე ცხადდება. პრაქტიკულად არც ერთ ახალ გადაწყვეტილებაზე არ გვინახავს სამინისტროს მიერ საჯარო სამსჯავროზე გამოტანილი კონცეფციის დოკუმენტი, რომელზეც შევძლებდით მსჯელობას და რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა დასკვნების გაკეთება.

ამგვარი მიდგომა ართულებს საზოგადოების ჩართვის შესაძლებლობას განათლების სფეროში. ასევე რთულდება სკოლებისთვის გარესამყაროსთან თავისუფლად ურთიერთობა. განათლების სფეროთი დაინტერესებული საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები სულ უფრო მეტ სიძნელეებს აწყდებიან სკოლებთან ურთიერთობისას. სკოლის დირექტორებსა და მასწავლებლებს უჭირთ საკუთარი პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის სხვებისთვის გაზიარება. ამგვარი შეზღუდვების დაწესება კი მხოლოდ სისტემის საზიანო შეიძლება იყოს, რადგან ამცირებს სახელმწიფოსა და სკოლების ანგარიშვალდებულებას, საზოგადოების ჩართულობის ხარისხსა და განათლების სფეროში ახალი ცოდნის შექმნის შესაძლებლობას.

მზადება აირჩევნებისთვის აასდროსაა ადრე

საქართველოს უახლეს ისტორიაში, უკვე მერამდენედ, მმართველი პარტია ოპოზიციასთან მოლაპარაკებებს იწყებს. თემა – საარჩევნო კანონის ცვლილებაა. ექნება კი ამას რაიმე მნიშვნელობა?

მარკ მალენი

პირველი მნიშვნელოვანი კითხვა – ვინ ჩაერთვება ამ დისკუსიაში? სხვადასხვა ოპოზიციური სუბიექტები, დიდით დაწყებული, ყველაზე წვრილი ჯგუფების ჩათვლით, ერთმანეთთან ურთიერთობების გარკვევის დინამიურ ფაზაში არიან. ეს ის არის, რაც მათ გამოსდით და რაც ძალიან უყვართ. ასეთი სამი ჯგუფი არსებობს: ოპოზიცია, რომელიც მმართველ პარტიას კომფორტს უქმნის, ოპოზიცია, რომელიც მმართველ პარტიას არ მოსწონს, მაგრამ რომელიც მაინც მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესში და ბოლოს, ჯგუფები, რომლებიც საერთოდ ემიჯნებიან სისტემას. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენ ადამიანს წარმოადგენს ოპოზიციის ეს უკანასკნელი დაჯგუფება, თუ ის საარჩევნო კანონზე დისკუსიებს გამოაკლდება, მოლაპარაკების მაგიდასთან ხალხი მნიშვნელოვნად მცირდება, თუმცა მეორე მხრივ, პროცესი მარტივდება.

მმართველი პარტია ამაზე ბევრს არ ინაღვლებს და მოლაპარაკების მაგიდასთან იმ პარტიებთან დარჩება, ვინც მონაწილეობას დათანხმდება. ახლა ხელისუფლებისთვის მშვენიერი დროა არჩევნებზე სამსჯელოდ. მათი რეიტინგი მაღალია, არჩევნებამდე კი ჯერ კიდევ ორი წელია დარჩენილი. ნებისმიერი დისკუსია საარჩევნო სისტემების, კანონებისა და პროცედურების შესახებ არჩევნებამდე ერთ წელზე უფრო ახლოს როგორც წესი, დროის ფუჭი ფლანგვაა, ან უარეს შემთხვევაში, სერიოზული საფრთხე დემოკრატიისთვის.

მიზეზი, რის გამოც ადრე გამართული ყველა მსგავსი მოლაპარაკება ჩაიშალა, გაწერილი გრაფიკისა და დღის წესრიგის არარსებობა იყო. ეს მოლაპარაკებები დაახლოებით ისე წარიმართებოდა ხოლმე, როგორც ახლახან კონსტიტუციაზე გამართული დისკუსიები. მმართველი პარტია კრებს გუნდს, რომელიც ჯდება და მთელი წლის განმავლობაში ერთმანეთში ლაპარაკობს. შემდეგ მთავრობა იმას აკეთებს, რაც თავად სურს, თანაც რამდენიმე კვირაში, ყოველგვარი გაწერილი განრიგისა და დღის წესრიგის გარეშე, და ყველა აქეთ-იქით დარბის იმის გასარკვევად, რომელი პროექტი მიიღეს ბოლოს და ბოლოს. ისე არ გაიგოთ, თითქოს საქართველოს არასოდეს ჰქონია კარგი საარჩევნო კანონები. თუმცა, არასოდეს ჰქონია ამ კანონის შესახებ წარმატებული დისკუსიები. მოქმედ მმართველ პარტიებს ყოველთვის არეულობა შეჰქონდათ პროცესში, რომ კონსენსუსი არ დაეშვა. თუმცა, ხანდახან ხელისუფლება მაინც იღებდა შედარებით ნორმალურ კანონს.

ამ პროცესში ბევრი მნიშვნელოვანი დეტალის დამუშავებაა საჭირო. პირველ რიგში, მალე უნდა შევთანხმდეთ დღის წესრიგსა და განრიგზე: „ამა და ამ დღემდე განვიხილავთ ამომრჩევლების რეგისტრაციის საკითხს, ამა და ამ დღემდე განვიხილავთ საარჩევნო კომისიების შემადგენლობას“ და ა.შ. ეს

ლიბერალი

სპეციალური შეთავაზება

მხოლოდ 2010 წლის 31 დეკემბრამდე
შეგიძლიათ გამოიწეროთ
ჟურნალი „ლიბერალი“
თითქმის ნახევარ ფასად!

წლიური ხელმოწერა
მხოლოდ 55 ლარი!

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით,
გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“
და მიიღეთ თქვენი ჟურნალი
ყოველ ორშაბათს
თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოსაწერად
დაგვიკავშირდით ტელეფონზე:
(899) 48 62 41
ან მოგვაწოდეთ თქვენი
საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტით: info@liberali.ge

საკითხები ისე უნდა განიხილებოდეს, რომ მოცემულ მომენტში ყველას ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა, თუ როდის არის შეხვედრა და რაზე იქნება საუბარი. თუ ეს პროცესი სტრუქტურად ასეთ სახეს მიიღებს, მაშინ დიდია ალბათობა, რომ მთავრობა დაუშვებს ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილის პარლამენტში შესვლას. პარლამენტის 80 %-იანი კონტროლის პირობებში, ამაზე საუბარი ძალიან აქტუალურია.

ჯერ კიდევ არ არის ნათელი, თუ რამდენად შეეხება დისკუსია საარჩევნო ოლქების სტრუქტურას. ამჟამად საქართველოს აქვს სისტემა, რომელსაც პირობითად უწოდებენ „გამარჯვებულს მიაქვს ყველაფერი“. ეს გულისხმობს, რომ თითო რაიონს პარლამენტის თითო წევრი ჰყავს. ამ სისტემის მუშაობამ აჩვენა, რომ უპირატესობა ხელისუფლების მხარეს გადადის და მაჟორიტარების უმრავლესობას სწორედ ის აკონტროლებს. ამას გარდა, აღნიშნულ სისტემას კიდევ ბევრი პრობლემა აქვს. ერთ-ერთი ის არის, რომ მრავალრიცხოვანი და მცირერიცხოვანი რაიონების მოსახლეობა თანაბარი რაოდენობის პარლამენტარებს ირჩევს.

მთავრობისთვის ამ სისტემის კიდევ ერთი უპირატესობა მარტივი პოლიტიკური უმრავლესობაა. ყველა შემთხვევაში, თუ მაჟორიტარი დეპუტატები თავს შეიწუხებენ და პარლამენტში გამოჩნდებიან, მმართველი პარტიის სასარგებლოდ აძლევენ ხმას. დისკუსია იმის შესახებ, თუ რამდენად სამართლიანად იყვნენ ისინი არჩეული, ალბათ, დიდხანს გაგრძელდება, მაგრამ ფაქტი ერთია, რომ პარლამენტში გულდასაწყვეტად მცირე ოპოზიციაა. თუ მთავრობა არ მისცემს საშუალებას, რომ ოპოზიციის წევრები მაჟორიტარებად აირჩიონ და პროპორციულ არჩევნებშიც საკმაო ხმებს აიღებს, ახალი პარლამენტიც ისეთივე ერთგვაროვანი იქნება, როგორც ახლანდელი. ჩვენ კი ყველაზე მეტად გვჭირდება მეტი ოპოზიციის წევრი პარლამენტში, რომლებსაც ექნება წარმატებული წინასაარჩევნო კამპანია და გაიმარჯვებენ.

საუკეთესო გზა ამის მისაღწევად რამდენიმე-დეპუტატიანი ოლქების შემოღებაა. ეს ძველი იდეაა, რომლის შესახებაც მსჯელობა არა მარტო საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს. ვატყობ, რომ გაერთიანებული სამეფო მალე სწორედ ამ მიმართულებით წავა. საქართველოსთვის ეს ნიშნავს, რომ თითოეული საარჩევნო ოლქი მაჟორიტარების გარკვეულ რაოდენობას აირჩევს, ერთიდან დაახლოებით ათამდე. ამ შემთხვევაში, სხვადასხვა ჯგუფებს მიეცემათ პროცესში ჩართვის საშუალება. დღევანდელ მაჟორიტარულ სისტემაში, ოპოზიციურ პარტიებს იმის მცირე მოტივაცია აქვთ, რომ რაიონების დონეზე კანდიდატები მოიძიონ..

ჰოდა, თუ გაინტერესებთ ამ მოლაპარაკებებიდან რამე გამოვა თუ არა, სამ რამეს დააკვირდით: პირველი, გააგრძელებს თუ არა ხელისუფლება მოლაპარაკებებს მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ოპოზიციური პარტია პროცესს გამოაკლდება; მეორე, შეხედეთ, არის თუ არა პროცედურები გაწერილი და დროის განრიგი გამოცხადებული. და ბოლოს, დააკვირდით დაუშვებს თუ არა მმართველი პარტია რამდენიმე დეპუტატიანი ოლქების შესახებ დისკუსიას.

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ

მმართველი პარტია კრებს გუნდს, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ერთმანეთში ლაპარაკობს. შემდეგ მთავრობა იმას აკეთებს, რაც თავად სურს, თანაც რამდენიმე კვირაში, და ყველა აქეთ-იქით დარბის იმის გასარკვევად, რომელი პროექტი მიიღეს ბოლოს და ბოლოს.

გზა შინისაკენ

ოპოზიცია არჩევნის წინაშე დგას. მან უნდა აირჩიოს, რისი სწამს.

სალომე ზურაბიშვილი, „საქართველოს გზის“ ლიდერი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი

ოპოზიციამ უნდა აღიაროს, რომ მმართველი რეჟიმი მიექანება ტოტალიტარიზმისკენ. მართალია, ის შენიღბულია ახალი ფორმით, ახალი ენერგიით, ვითომ-ლიბერალიზმით და ვითომ-დასავლეთიზმით, მაგრამ მაინც ტოტალიტარულია, რადგან ძალაუფლების მქონე ერთი გუნდი ყველაფერს განკარგავს და მისი ძალისხმევის გარეშე არც ერთი სფერო არ არსებობს. ამ შემთხვევაში, მასთან ნებისმიერი თანამშრომლობა მიუღებელია – მორალურად და პოლიტიკურად.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ოპოზიციისთვის ეს ყველაფერი პოლიტიკური თამაში გამოდის და მას ეს რეჟიმი მხოლოდ იმიტომ არ მოსწონს, რომ თავად სურს მისი ადგილის დაკავება – იქ დაჯდომა, სადაც დღეს ძალაუფლება მოკალათებულა.

ჩვენ, ოპოზიციამ, არჩევანი ამ ორს შორის თუ არ გავაკეთეთ, სულ გაუგებრობასა და ყოყმანში ვიქნებით, გარიგებასა და გადატრიალებას შორის, მუდმივად გადაუწყვეტელ მდგომარეობაში.

სალომე ზურაბიშვილი საპროტექსტო აქციაზე, იპოდრომი, 20 ოქტომბერი 2005

ფოტო ლევან გალაბერიძისა / REUTERS

არა – გარიგებას!

ეს იყო მთავარი მოწოდება იმ 114 დღის განმავლობაში, როცა ჩვენ ერთად – და ზოგჯერ მარტო – ვიდექით პარლამენტის წინ. გარიგება ძალიან მაცდურია, რადგან მას ყოველთვის შეიძლება გამართლება მოუძებნო: „მე თუ არა, სხვა იქნებოდა!“ „უარესი იქნებოდა, სხვა რომ ყოფილიყო!“, „თუ

რამეში გვეთანხმებიან, ხომ უნდა გამოვიყენოთ!“

სისუსტის თუ გაურკვევლობის ჟამს ასეთი აზრები ყველას მოგვსვლია ამპარტავნობისგან («მე შევძლებ იმას, რაც სხვამ ვერ მოახერხა») ან სიბრიყვისაგან!

თავის მოტყუებაა იმის ფიქრი, რომ ამ რეჟიმთან თანამშრომლობა შესაძლებელია. მას ხომ საქმე, ქვეყანა, ხალხის ბედი, ქვეყნის ინტერესი, მოსახლეობის კეთილდღეობა საერთოდ არ აინტერესებს. მას ამოძრავებს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ინტერესი და ერთი მიზანი: ძალაუფლების შენარჩუნება. მმართველი ძალა ამ მიზანს უმორჩილებს ყველაფერ დანარჩენს. მათი ლოგიკით, ომიც «საჭირო» იყო: ომმა ბევრი სარგებელი მოუტანა ხელისუფლებას და დაზიანდა მხოლოდ ქვეყანა.

ომმა ხელისუფლებას დაკარგული ლეგიტიმურობა დაუბრუნა. როგორც კი რუსეთიდან გაისმა პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა, ამას ყველა აღუდგა წინ: მოსახლეობა, ოპოზიცია, უცხოელი პარტნიორები. «რუსეთმა არ უნდა გადაწყვიტოს, ვინ უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი!» – ისმოდა ყველგან. დავითის და გოლიათის მითოლოგიამ თავისი გავლენა იქონია – დიდ რუსეთთან პატარა საქართველოს ომის შემდეგ ხელისუფლებას საერთაშორისო დაფინანსება ერთი-ათად გაეზარდა. ეს დაფინანსება მთლიანად ლტოლვილებზე და რეკონსტრუქციაზე უნდა ყოფილიყო დახარჯული, მაგრამ სად წავიდა ამერიკული ერთი მილიარდი და ევროპული ორნახევარი, ძნელი სათქმელია.

ქვეყანამ კი მიიღო უზარმაზარი დარტყმა: ადამიანური მსხვერპლი, ტერიტორიების დაკარგვა, ნგრევა, საერთო უნდობლობა მომავლის მიმართ. ომის შედეგად დამკვიდრდა ნიჰილიზმი, რითაც სარგებლობს ხელისუფლება თავისი მიზნების მისაღწევად.

ამიტომ, არ შეიძლება მათთან არც გარიგება, არც შეთანხმება. მით უფრო არ შეიძლება მათთან ფარული მოლაპარაკებების ჩატარება. ყველაფერი რაც ფარული და დამალულია, ხელისუფლებას აძლევს მანიპულირების, დისკრეტიდაციის საშუალებას.

არა – გადატრიალებას!

გადატრიალება არ არის ის, რაც მოხდა 2003 წლის 23 ნოემბერს. ის იყო გარიგებული შეთქმულება, სადაც ყველა მხარე თავის როლს თამაშობდა და კარგადაც.

გადატრიალებას სჭირდება ორგანიზაცია, საიდუმლო გარემო, შეიარაღებული ძალები (როგორც მინიმუმ, ხალხის დასაცავად) ქვეყნის გარედან მხარდაჭერა, შიგნით – მაღალი შეგნება ხალხში და წამყვან წრეებში, სწორი წარმოდგენა, თუ რას ნიშნავს გადატრიალება და რა შეიძლება მოიტანოს ამან. ეს განსაკუთრებით საშიშია, როცა რუსული ჯარი თბილისიდან 40 კილომეტრში დგას.

ქვეყანაში გრძელდება უკანონო დაჭერები, დასმენები, მედიის კონტროლი, კლანების გაძლიერება, ქვეყნის ძარცვა და განადგურება. მაგრამ ეს ორი გზა – გარიგება და გადატრიალება – დღესაც არ მიმაჩნია გამოსავლად. ერთი – მიდის დაღუპვისაკენ, როგორც მორალური განადგურება («თორთლაძეობა»), მეორე კი – წმინდა წყლის ავანტიურიზმია.

ნუთუ ეს ნიშნავს, რომ უნდა გავჩერდეთ? ვისაც შეუძლია, ქვეყანა უნდა დატოვოს და ვისაც არა, აქვე ჩაკვდეს?

ეს არ არის ჩემი მოწოდება. ვფიქრობ, ჩვენშივე უნდა მოვნახოთ გამოსავალი. უნდა გამოვიდეთ იმ დამპალი მდგომარეობიდან, რომელიც ძირავს ქვეყანას.

ქალები მზად არიან, შვილების მომავალი გაყიდონ და მონაწილეობა მიიღონ არჩევნების გაყალბებაში; ტყუილი, სიყალბე გახშირდა; ფულის გულისთვის ადამიანები ერთმანეთს ივიწყებენ – ქვეყანა გადაიქცა «შავ ხვრელად», რომელსაც ყველაზე კარგად მმართველი რეჟიმი ერგება.

ჩვენი მთავარი პოლიტიკური ამოცანა სწორედ პიროვნებების გაძლიერება უნდა იყოს. რეჟიმთან ბრძოლა ძლიერ ადამიანებს მოითხოვს.

მასა მათ ხელშია. ადვილია, შეაშინო, მოისყიდო და მანიპულაციები ჩაუტარო მასას, მაგრამ თავისუფალ პიროვნებას ვერაფერს უხერხებენ. გამარჯვება მხოლოდ პიროვნებებს შეუძლიათ. ხელისუფლებას ასეთი პიროვნებების სასტიკად ეშინია.

პიროვნება უნდა გადავარჩინოთ და გავაძლიეროთ. ეს არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ, როცა ესენი წავლენ (და ნამდვილად წავლენ!) მათზე უარესნი არ მოვიდნენ და არ გააგრძელონ ამ ქვეყნის ნგრევა და დაქუცმაცება.

ჩვენი მთავარი პოლიტიკური ამოცანა სწორედ პიროვნებების გაძლიერება უნდა იყოს. რეჟიმთან ბრძოლა ძლიერ ადამიანებს მოითხოვს.

პიროვნული გაძლიერების გზა არ გამორიცხავს დემონსტრაციას და პროტესტს, რადგანაც ხელისუფლება სხვა ადგილს პროტესტის გამოხატვისათვის არ ტოვებს.

ეს ბრძოლა უფრო ადვილია, ვიდრე წარმოგვიდგენია. მთავარია დაწყება და აღარდათმობა, ცდუნების აცილება თავიდან, და ერთ სწორ და პრინციპულ გზაზე სიარული.

ჩვენი გზა უნდა იყოს თავისუფლების გზა, პიროვნების გზა, ჭეშმარიტი გზა.

ამიტომ, დავბრუნდები! დავბრუნდები აუცილებლად – მხოლოდ მაშინ, როცა მეცოდინება, რომ ჩემი ქმედებით არსებულ ვითარებაზე გავლენისა და ზემოქმედების საშუალება მექნება.

რით ჰგავს საკაშვილი ობამას?

თუ საგარეო პოლიტიკურ რიტორიკას გვერდზე გადავდებთ, სააკაშვილს ობამასთან უფრო მეტი საერთო აქვს, ვიდრე მაკკეინთან.

გიორგი ცხადაია

მინისტრი კობა სუბელიანი საკუთარ მანქანასთან ერთად

საქართველოში ამერიკული პოლიტიკის განხილვის დროს ერთ უცნაურ და ოდნავ სასაცილო ტენდენციას ვამჩნევ: ყველა, ვინც სააკაშვილს უჭერს მხარს, პარალელურად რესპუბლიკელი სენატორის – ჯონ მაკკეინის „ფანია“ და რესპუბლიკური პარტიის მგზნებარე მხარდამჭერი.

სინამდვილეში, სააკაშვილის პოლიტიკას დიდი არაფერი აქვს საერთო რესპუბლიკური პარტიის საშინაო პოლიტიკასთან და ბუში-სააკაშვილის ერთ სიბრტყეში განხილვაც ცოტა არაადეკვატურია.

დავიწყოთ ყველაზე ადრეული ხანიდან: „ვარდების რევოლუციის“ და საერთოდ, ფერადი რევოლუციების ერთ-ერთი ავტორი და მთავარი დამფინანსებელი უნგრელი მილიარდერი ჯორჯ სოროსი იყო. საქართველოში გადმოიღეს ის ძირითადი მოდელი, რითიც სერბეთში მილოშევიჩის ავტორიტარულ რეჟიმთან მებრძოლი დემოკრატიული ჯგუფები ხელმძღვანელობდნენ და ა.შ.

ამ ისტორიის გაგრძელებას აზრი არ აქვს – მკითხველის უმრავლესობამ ის ისედაც იცის. უბრალოდ, ერთ მთავარ მომენტს მინდა, ხაზი გავუსვა: სოროსის ფონდიც და „ვარდების რევოლუციების“ აქტიური მხარდამჭერი „ნაციონალურ დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI) დემოკრატიულ პარტიასთან ასოცირებული ჯგუფებია. დემოკრატიის გავრცელების იდეებითაც მაშინ სწორედ ამერიკელი დემოკრატები გამოდიოდნენ. რესპუბლიკელები კი საქმეში მოგვიანებით ჩაერთვნენ, როდესაც ჯორჯ ბუშ უმცროსს რეგიონში „დემოკრატიის შუქურის“ როლის შემსრულებელი დასჭირდა.

ქართული მოდელი ბუშის „დემოკრატიის გავრცელების“ პროექტის სანიმუშო მაგალითად იქცა (გაიხსენეთ უკრაინა და ყირგიზეთი), რომელიც საბოლოოდ დემოკრატიის ტრადიციის არმქონე სხვა ევრაზიულ და აღმოსავლურ ქვეყნებზეც უნდა გავრცელებულიყო. ბუშის საპრეზიდენტო ვადა ამოიწურა, პროექტი ჩაიშალა, პრიორიტეტების შეცვლის დროც დადგა...

2008 წლის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების წინ მსოფლიოს აზრის გასაგებად, ამერიკელებმა სხვადასხვა ქვეყანაში გამოკითხვა ჩაატარეს. საქართველო იმ ორ ქვეყანას შორის აღმოჩნდა, ვინც გამოკითხვების მიხედვით მხარს არა ობამას, არამედ მაკკეინს უჭერდა. ამის ძირითადი მიზეზი საქართველოს საგარეო პოლიტიკა იყო. რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური პროგრამა და სააკაშვილის კონფრონტაცია რუსეთთან უბრალოდ ერთმანეთს დაემთხვა.

მაკკეინის „ფანკლუბიც“ სწორედ ამ დროიდან მოდის. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა სწორედ მაშინ განაცხადა – „მე მაკკეინის ფანი ვარ“ და თავის ელიტურ ავტომანქანას ელიტური სანომრე ნიშანი – MC-CAIN მიამაგრა.

სუბელიანს რომ თავი დავანებოთ, მაკკეინის ფანია თითქმის ყველა მეტნაკლებად დეკლარირებული „მიშისტი“ – სააკაშვილის მხარდამჭერი ინტელექტუალებით დაწყებული, უბრალო მოქალაქეებით დამთავრებული. ამიტომ იყო, რომ ბუშის ქუჩის წინააღმდეგ მოწყობილი აქცია ძალაუფლებაში მყოფმა ჯგუფებმა ლამის პირად შეურაცხყოფად აღიქვეს. ობამას არჩევა კი რამდენიმე ფორუმელმა და ფეისბუქელმა ხელისუფლების მხარდამჭერმა თითქმის მსოფლიო აღსასრულად გამოაცხადა. ასეთი

■ რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური პროგრამა და სააკაშვილის კონფრონტაცია რუსეთთან უბრალოდ ერთმანეთს დაემთხვა. მაკკეინის „ფანკლუბიც“ სწორედ ამ დროიდან მოდის. მინისტრმა კობა სუბელიანმა სწორედ მაშინ თავის ელიტურ ავტომანქანას ელიტური სანომრე ნიშანი – MCCAIN მიამაგრა.

რეაქციები მარტივი საგარეო პოლიტიკური ლოგიკით იყო ნაკარნახევი: „რუსეთის მიმართ ნაკლებად აგრესიული ტონი უჭირავს?! მაშასადამე, ობამა კოლაბორაციონისტია!“

სინამდვილეში, ზემოთ აღნიშნული „მიშისტი“ ინტელიგენცია რომ ამერიკაში ცხოვრობდეს, დიდი ალბათობით ისინი სწორედ ობამას მხარდამჭერები იქნებოდნენ და არა მაკკეინის. აი, რატომ: სააკაშვილმა საქართველოში გააკეთა დაახლოებით ის, რაც ობამამ ამერიკაში.

თუ ადრე უმაღლესი განათლების სისტემა კორუფციასა და ნათესავ-ახლობლობაზე იყო დაფუძნებული, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ცოდნასა და განათლებაზე ორიენტირებული სისტემის დანერგვა დაიწყო (ერთიანი ეროვნული გამოცდები ამის კარგი მაგალითია). შედეგად, „ინტელიგენციის“ ის ნაწილი, რომელიც წინა კორუფციულ სისტემაში განსაკუთრებული პრივილეგიებით არ გამოირჩეოდა, წინა პლანზე გამოვიდა. სიმდიდრესა და გავლენაზე დაფუძნებული სისტემა დაიშალა. შედეგად სოციალური მობილობის გაცილებით უფრო ფართო შესაძლებლობა წარმოიშვა, ვიდრე აქამდე იყო.

ტრადიციულად, სააკაშვილს თვალში არ მოსდიოდა არც „ბიზნეს“ ელიტებიც, რომლებიც ძირითადად დედაქალაქის ცენტრალური უბნების ამომრჩევლებს შეადგენენ. სააკაშვილის ერთ-ერთი მთავარი თანამოაზრე და იდეოლოგი, გიგა ბოკერია არასდროს მალავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას საზოგადოების ამ პრივილეგირებული და შეძლებული ფენის მიმართ (რესპუბლიკური პარტიის წევრმა დავით ზურაბიშვილმა ერთხელ ფეისბუქზე აღნიშნა, სააკაშვილი ისე უყურებს ბიზნესს, როგორც ლენინი ბურჟუაზიასო). მათ ნაცვლად, საკი ძველი ელიტები კვლავ ცდილობენ გავლენის დაბრუნებას (გაჩეჩილაძე-ახალი მემარჯვენეები, პოპულარული „ქართული აკადემია“).

ერთი სიტყვით, სააკაშვილმა მოახდინა ნაკლებად პრივილეგირებულების დაწინაურება, ისევე, როგორც აფროამერიკელმა ბარაკ ობამამ. აქედან გამომდინარე, ფრაზა „მაკკეინის მეგობარი“ სააკაშვილზე ბევრს არაფერს გვეუბნება.

ძირითადი იდეა, რაც სააკაშვილსა და მაკკეინს ერთმანეთთან აკავშირებდათ, რუსეთის მიმართ კონფრონტაციული და „ცივი ომის“ დროინდელი მიდგომაა. ამერიკის ამჟამინდელი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ჩამოწერა რომ დავიწყოთ, ასეთ სურათს მივიღებთ: ახლო და შუა აღმოსავლეთი, ჩინეთი და აღმოსავლეთ აზია, მექსიკა და ლათინოამერიკა, ევროკავშირი და ბოლოს რუსეთი. რუსეთი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ამერიკას იგი სჭირდება სამ მთავარ საკითხზე შესათანხმებლად: ირანის ბირთვული პროგრამა, ბირთვული იარაღის შემცირების ინიციატივა და ცენტრალური აზიის, კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკური და გეოპოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. რუსეთის პრობლემა იმ ყველა სხვა პრობლემას შორის ყველაზე ადვილად გადასაჭრელია, რადგან ამერიკას ამ შემთხვევაში ძლიერი პარტნიორი ჰყავს ევროკავშირის სახით. რუსეთის პრობლემის გადაჭრის გზა ევროკავშირზე გადის და ამაში ყველაზე მეტად ნატოს ბუქარესტის სამიტის შემდეგ დარწმუნდნენ.

ამ ფონზე, არაპრაგმატული იყო როგორც მაკკეინის, ისე სააკაშვილის რუსეთთან ურთიერთობის ფორმა და სრულიად გაუმართლებელი – ომის წამოწყება. სააკაშვილისა და მაკკეინის ერთერთი მსგავსება მათი ნაციონალისტური რიტორიკაცაა. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ სააკაშვილის გამოსვლებში პერიოდულად ისმის რესპუბლიკელებისთვის დამახასიათებელი მემარჯვენე ლიბერტარიანული თეორიის ელემენტებიც, თუმცა პრაქტიკაში მსგავსი ინიციატივები იშვიათად ამოქმედებულა.

გამოდის, რომ თუ საგარეო პოლიტიკურ რიტორიკას გვერდზე გადავდებთ, სააკაშვილს ობამასთან უფრო მეტი საერთო აქვს, ვიდრე მაკკეინთან. ობამას მიმართ მისი მხარდამჭერების განსაკუთრებული უარყოფითი დამოკიდებულება კი მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ „ყველა პოლიტიკა ლოკალურია“ და ამომრჩეველს გლობალური მასშტაბებით აზროვნება არ უყვარს.

გამოიხესხეთ ტვინი "ჟიზნენი" ისტორიებით

ისევ უკან, ისევ საბჭოთა კავშირში.

ნინია კაკაბაძე

90-იან წლების დასაწყისში ომიანობის დროს, ფალიაშვილის ქუჩაზე ერთადერთი ვიდეოთეკა იყო. ის ვიდეოთეკა, ძნელბედობის ჟამს, პრაქტიკულად ერთადერთი სინათლე იყო ჩვენი სახლების ტელევიზორში. ვიდეოთეკის VHS კასეტებზე ფილმები ქართულად ასე იყო დახარისხებული: „ბოევიკი“, „ჟიზნენი“, „უჟასი“ და ა.შ. ერთადერთი ტელესეზეერიონი მძვინვარებდა. ყოველ დღე ვრცელდებოდა ინფორმაცია ოჯახის, საძმაკაცოს თუ კრიმინალური ბანდის ჩაცხრილული წევრების შესახებ. ჩვენ კი „ჟიზნენი“ ფილმებით თავს ჩვენი სახლის ტელეეკრანებთან ვირთობდით და ასე გავურბოდით მძიმე რეალობას.

ახლა გადახედეთ ქართულ ნაციონალურ ტელეარხებს. უკანასკნელი რესპონდენტი ახლა თავად გვესალმება ყოველდღე, პირველ საათზე ტელეკომპანია „მზის“ სტუდიიდან.

ვინ თქვა, რომ „ჟიზნენი“ თემებზე, მხოლოდ ქალები უნდა საუბრობდნენ?! ბატონი გია, რომელიც ცოტა ხნის წინ მაიასთან ყვებოდა ისტორიას, როგორ მიირთვა თაყვანისმცემლის მიერ, ჯადოქრულად დამზადებული ვირის ტვინი

რიალის, „უბრალოდ მარიას“ და ფალიაშვილის ქუჩის ვიდეოთეკის კასეტების ამარა დარჩენილებს შუქის მოსვლის მოლოდინს ეს საამური წუთები თუ საათები გვივსებდა.

მახსოვს, დავინტერესდი და გავიგე, რომ კინოს მოყვარულების მიერ გახსნილ ვიდეოთეკაში, ყველაზე პოპულარული, მოთხოვნადი ჟანრი „ჟიზნენი“ იყო. ეს იყო 20 წლის წინ. მაშინ თბილისის ქუჩებში, შემდეგ აფხაზეთში ომი და პერიოდის ქართულ ტელევიზიაში ყოველდღიურად იზრდება „ჟიზნენი“ გადაცემების რაოდენობა. ჩემს მეხსიერებაში პირველად იყო მაია, შემდეგ ნინო და მისი მშვენიერი ცხოვრება, მას მოჰყვა ნანუკა. გაჩნდნენ ქალბატონი ვაშლები, ვაშლებს მოჰყვნენ ქალები „იმედზე“ და ბოლოს მამაკაცებმაც შეგვივსეს სიცარიელე და „ფსიქოლოგი“ გია ჯავჯანიძეც გამოგვეცხადა. მაიას, ნანუკას, ვაშლების, ქალების და სხვათა საყვარელი

■ თუკი ნანუკა ჟორჟოლიანი დღეს ჯაბა ქარსელაძისგან აღიარებას მიიღებს, ხვალ მასზე ილაპარაკებს მთელი საქართველო და დაიწყება მაიას მიერ სტუდიაში მიყვანილი ვირები (ნამდვილი, ცხოველი ვირები!).

(თუ ჩლიქები, ზუსტად აღარ მახსოვს) დღეს თავად სვამს კითხვებს. სხვათაშორის, დანაკლისის გრძნობა დამრჩა, რადგან ისტორია არ დაასრულა და ვერ გავიგეთ, რა ეფექტი მოახდინა მირთმეულმა ვირის ტვინმა (ჩლიქმა) – ბოლოს და ბოლოს, შეუყვარდა ის გოგონა თუ არა?! ბატონი გია ჯაჯანიძე ფსიქოლოგია და წიგნის ავტორიც. რამდენადაც ვიცი, ფსიქოლოგია ტელევიზიაში, სატელევიზიო ურთიერთობებით და დაკვირვებით ისწავლა.

ყოველთვის მამხიარულებს რესპოდენტის ქვეშ მიწერილი ტიტრი. ჩემს ტოპ სამეულშია: 1. საეკლესიო დღესასწაულზე გამოკითხულთა ქვეშ მიწერილი: ციური ნათაძე – „მრევლი“, 2. ნებისმიერი რესპონდენტის ქვეშ მიწერილი „ექსპერტი“ და 3. „გიორგი ჯაჯანიძე – ფსიქოლოგი“.

თუკი ცოტა ხნის წინ, სულ ახლო წარსულში, სატელევიზიო ბაზარზე პოლიტიკური ტოკ-შოუების კონკურენცია იყო, დღეს კონკურენცია მხოლოდ გასართობ გადაცემებს შორის არის. ფსიქოლოგი გია ჯაჯანიძე, რომელიც ბოლოს შემოუერთდა მაიას, ნანუკას, ვაშლებს თუ იმედის ქალებს, განსხვავებული კოსტიუმებით, ვარცხნილობებით ჩნდება ეკრანზე და ამით იპყრობს ჩვენს, „ჟიზნენი“ ისტორიებით დაინტერესებულთა ყურადღებას.

ისინი ყველანი, განურჩევლად ყველანი, უშუალოები არიან! აი, როგორც საკუთარი სახლის სამზარეულოში, სხედან და ჭორაობენ. „გოგო, შენ რისი გეშინია?“ ერთ-ერთი გადაცემის თემა სწორედ შიში იყო. ბექა ელბაქიძე ჰიჩკოკის ციტატებს იშველიებდა, მესამე წამყვანმა – მაკა შალიკაშვილმა გვამცნო: თანამედროვე ფსიქოლოგია ამბობს, ადამიანის შიშები ბავშვობაში ყალიბდებაო. ევრიკა! კიდევ კარგი ეს გადაცემები გაჩნდა სატელევიზიო ეთერში, თორემ ვინ გაიგებდა, რომ ბავშვობაში ყალიბდება მომავალი.

გადაცემაში „მზესუმზირა“ ძირითადად „სერიოზულ“ თემებზე საუბრობენ. მზესუმზირებს ფსიქოლოგ გია ჯაჯანიძის გავლენა ეტყობა. სტუმრებიც ძალიან სტერეოტიპულია, მაგრამ ფსიქოლოგიური. შიშებზე უშიშარი ინგა გრიგოლია და ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე საუბრობენ, ძლიერი ქალი – დოდო გუგეშაშვილია... „ქალბატონო დოდო, როცა მიდიხარ ომში და იცი, რომ უნდა მოკლა. ძნელია ფსიქოლოგიურად?“ – ეკითხება გია ჯაჯანიძე დოდო გუგეშაშვილს. ვგრძნობ ახალ წიგნს გვიმზადებს ბატონი გია. თუკი აქამდე გამოსული წიგნი „off the record“ ჩაწერილი მოსაზრებებისა თუ ამბების საფუძველზე დაიწერა, ეს უკანასკნელი „on the record“ იქნება. ვიდრე ახალი წიგნი იწერება, პირდაპირ ეთერში ისევ მიდის მხედრიონის და „ბატონი ჯაბას“ იდეალიზირება, მითოლოგიზება – ძლიერი ქალი დოდო გუგეშაშვილი ჩვეულ ამპლუაშია. „როდის იტირა დოდო გუგეშაშვილმა?“ – აინტერესებს ფსიქოლოგს.

ერთი სიტყვით, რომ არა ბევრი მავნებლობა, რომელიც ამ გასართობ „ჟიზნენი“ გადაცემებს მოჰყვება, პრობლემა არ იქნებოდა. როგორც საბჭოთა ეპოქაში სოცრეალისტური ჟანრის, პროპაგანდისტული გადაცემების თუ ფილმების საჭიროება იყო, ასეა დღესაც. საქართველოში, სადაც ჯერ არც ფუნდამენტური ღირებულებების სისტემა შექმნილა, არც ვექტორი აგვირჩევია და არც სახელმწიფო შეგვიქმნია – ყურადღების გადატანისთვის, ტვინის გამორეცხვისთვის და დაჩლუნგებისთვის ამგვარი გადაცემების არსებობა აუცილებელია. მით უმეტეს, რომ სხვა შინაარსისა თუ ფორმის გადაცემები პრაქტიკულად გაქრა ეთერიდან.

საქმე ისაა, რომ ტვინის სარეცხ ტელეფხვნილს თან ახლავს მძაფრი მავნებლობა. ერთი მაგალითი უკანასკნელი კვირის ქრონიკიდან:

ნანუკა ჟორჟოლიანი გადაცემაში სტუმრად იბარებს ჯაბა ქარსელაძეს. ჯაბა გადაცემის ჩაწერიდან 5 საათში მონაკოში მიემგზავრება, სადაც სწავლობს. მაგრამ ვიდრე წავა, საქართველოს მოსახლეობამ ნანუკას დახმარებით უნდა გაიგოს, მოისმინოს აღიარებითი ჩვენება რომ ის ჰომოსექსუალია. „მომიყევი პირადი ცხოვრების შესახებ. მე გავიგე ამბავი, სახელს ვერ დავასახელებ, რომ შენ გიყვარდა მამაკაცი“. ამის შემდეგ ძალიან დიდხანს გადაცემის წამყვანი დაჟინებით ითხოვს ქარსელაძისგან აღიარებას.

პირდაპირ ვთქვათ, ეს არის ძალადობა ადამიანზე. ადამიანის პირადი ცხოვრება, არის პირადი და მასზე საუბრობენ ნებაყოფლობით. „ჟიზნენი“ გადაცემების ავტორებსა და წამყვანებს არ ესნავლებათ, რომ დღეს ინტიმურ საკითხებზე ნებაყოფლობით მოლაპარაკეთა დეფიციტი ნამდვილად არ არის. მაგრამ ამ გადაცემების კონკურენცია იმაში გამოიხატება, რომ თუკი ნანუკა ჟორჟოლიანი დღეს ჯაბა ქარსელაძისგან აღიარებას მიიღებს, ხვალ მასზე ილაპარაკებს მთელი საქართველო და დაავიწყდება მაიას მიერ სტუდიაში მიყვანილი ვირები (ნამდვილი, ცხოველი ვირები!).

„ისეთი რეპორტაჟი უნდა გააკეთო, რომ ხვალ ყველამ მასზე ილაპარაკოს“ – ასე მითხრეს „რუსთავი 2“-ზე, როდესაც სამუშაოდ მივედი. ალბათ, ამ და კიდევ რამდენიმე სლოგანი-მოწოდების გამო შევიძულე ტელევიზია. ქართულ სატელევიზიო ბაზარზე, „ჟიზნენი“ გადაცემები მეორე დღეს სალაპარაკოს მავნებლობის ხარჯზე ქმნის, რადგან სხვაგვარად განსხვავებული თემების თუ რესპონდენტების მოძიება ყოველდღიურად, რამდენიმე არხზე შეზღუდული რესურსის მქონე საქართველოში რთულია. როგორც არ უნდა ვეცადოთ, „ჟიზნენი“ თემები მაინც „ჟიზნის“ მსგავსია.

ამასობაში საზოგადოებრივი არხის გარდა, სხვა ნაციონალურ არხებზე მთლიანად გაქრა პოლიტიკური, სოციალური, საზოგადოებრივი ტოკ-შოუები, გადაცემები. ჩვენ გვითხრეს – აღარ არის საჭირო „მძიმე“ თემებით დაინტერესება, ნახეთ „ჟიზნენი“ გადაცემები და „სერიოზული“ თემები! თქვენ მათ ვაშლები, მზესუმზირები, იმედის ქალები, მაია, ნანუკა, ნინო.... გიამბობენ! გამოირეცხეთ ტვინი სისულელეებისგან, გაიგეთ ნამდვილი ცხოვრების ნამდვილი ისტორიები და შედეგად, მიიღეთ ზარი სტუდიაში: „გავგიჟდი, მოხიბლული ვარ ქალბატონი დოდოთი. მებრძოლი, გმირი ქალბატონი და რა ლამაზი და ქალურია!“

ევმთაალმნეხელი ვარდების რევოლუციის შესახებ

(ამონარიდები ისტორიის
სახელმძღვანელოდან – ნაწილი I)

ლაშა ბუღაძე, მწერალი

„...გიორგობის თვე იდგა. ღმერთმან უწყვეტელი თქეში წვიმა მოუვლინა ქალაქსა ამას ტფილისს. სრული თვეული ზე აწვიმდათ შარასა მდგომთა დემონსტრანტთა. დასავლეთის ქარიც დია ღონივრად ბერავდა და უდრეკ მომიტინღეთ მუნ თავს ზეით წაეფარნათ პარკუჭნი გძელნი ცელოფანისანნი. ოხრავდა ერი: „რაი არს ესე? ლამისაა ბაყაყების წვიმაც წამოვიდეს! გრძნეულმა პრეზიდენტმა ედაარდმა ხომ არ შეულოცა ბუნებას?“ მიზეზი კი შარასა ამას მწყრალად დგომისა იყვნეს შემდეგი: ხმაი იგი ყოველი ამომრჩეველი სულისა იქმნა ყალბად და საპარლამენტო კარავში ედაარდის მხლებლებმა იპყრნეს ალაგები. ოდენ ედაარდი რომ ყოფილიყო, კიდევ ჰაი, თმენით აღიტანდა განრისხებული იგი მოქალაქე, მაგრამ სკვითთა ფარულმა ღენერალმა და ბათუმის ფაშა ასლან-ბეიმაც რომ მრავლად მიითვისა მკვდართა სულთა ხმანი, ეს კი უკვე ველარ დაითმინა ხალხმა და შარაზე გასვლით დაიჭირნა დაკარგული ხმაი: არა გინდოდა სამართალი დემოხრატიითა, მაშ მუნ მიტინღოთ მიიღეო ესე!...“

„...გამოჩნდა კაცი იგი მხნე, ტანადი და მსწრაფლ მარბენალი, სახელდებული მიქაელ სააკასშვილად. გადანადგამი ნაბიჯი მისი იყავნ სამი წყრთის სიმსხოისა და თუკი სხვა ოთხ ბიჯს ანდომებდა მიზნად მისვლას, კაცი ესე მიქაელ ერთ განლივ ბიჯში ახერხებდა იგავეს. მიქაელ იყავნ მაღალ-მაღალი, ვითარ ფუნიკულორის ბორცვი, თმაქოჩრიანი მრისხანების ჟამს და ხმამკვახე დემონსტრაციაზე. გვერდივ ეყენა წარჩინებული ქალ-ვაჟი: სპიკერმოსილი ნინო (ინტელიღენტთა მფარველი) და ბრძენკაცი ზურაბ. თუმცკი თქეშით შელუმპულმან მიტინღმან საწყისშივე განარჩია თვისი ერისთავი და ერთის სახელის ძახილს მოჰყვა: „მიქაელ! მიქაელ!“ მაგრამ მაინც არარა მოჰყვა ამ გარჯას: მოხუცი ედაარდ ფეხს არ იცვლიდა თვისი ციხესიმაგრიდან. ასლან-ბეიმ კი ერთგული მხლებლები შეჰყარა რუსთველის შარაზე და ნაზირ-ვეზირებით სამსე მარშრუტკეულიც ბლომად წარმოგზავნა დედაქალაქისკენ. აქა გაჩნდა წესი იგი მიტინგზე კაცის ოქრო-ვერცხლით შეტყუებისა და მერმეთ ამ გარიგებათა ოპოზიციურ ტელევიზიაში მხილებისა – მუნ შეფარული კამერით გადანაღებულთა...“

„ვარდების რევოლუცია“, ნოემბერი 2003

„...სხვადასხვაგვარ ყაიდის დამკვრელ-მუზიკოსები ახსოვს ამ რევოლიციას: ვარდთა მხარეს „წვიმის დამკვრელებად“ წოდებულნი მღეროდიეს (მერმეთ უმეტესად მიქაელ I-ის კარის მემუზიკე-მოხელეებად ქცეულნი), ედაარდ-ასლან ბეის მხარეს კი ეს ერთადერთი – ხორციელი, სახელად ხუჯაცე (მერმეთ სკვითთა მიერ საწყალობლად ანაღიარები). იყავნ ასევე სათნო სექტანტთა ჯგუფიც (სათაურად „კმარადღა“), რომელნიც მრავალგზის განილახენ კუალად რევოლუციისა მიმხრობელობისა გამო და ვინათაც მცირე გროშებს უხდიდა ებრაელი დიდვაჭარი საროზ სოროზელი. ამ საკრებულოს სულიერი მფარველი კი გახლდათ მათივე მიერ წმინდანად შენარაცხი ლევანიოს რამიშელი – მერმეთ „ყოველთა ამერიკელთა რესპუბლიკელთა გულშემატკივართა მფარველ წმინდა ლევან-წამებულად“ წოდებული...“

„...გრიპმა, ცხვირდენამ, ხველამ და მრავალმა ჭირმა იმძლავრა გიორგობის თვის მიწურულს. დაატყო მიქაელმა, რომ მეტის დათმენა შეუძლებელი იქნებოდა დემონსტრანტისათვის, ხოდა ჰკა ცაცი კარვის დია ღონიერ ბჭეს და შუა სხდომისას ცხადლივ შეუვარდა ტრიბუნასთან სოკოსებრ დარჭობილ ედაარდს. უჭყივლნა კიდეც დიდითა ხმითაისაითა: განვედ, გადადექო და საჩვენებელი თითით მიათითა გასასვლელისკენ. ედაარდმა ამაოდ უხმო უწმინდეს კათალიკოსს, შემეშველეო, მაგრამ აბა, კათალიკოსი რაღას უშველიდა (იმ დღეს არცკი გამოსულა თვისი კელიიდან), – ჩაჰბღუჯნეს დაცვის ჯეელებმა ხელნი და აგრე შებოჭილი განარიდეს იქაურობას. ხოლო მიქაელოსი ტრიბუნასთან აიჭრა და ედაარდის დანატოვარი ჩაი ისე შთანთქა, ვითარცა მისი სისხლი... სთქვა კიდეც: აწ მე დავლევ ამ ჩაისო, თუმცკი ეს სიტყვები ბევრს არ შეესმა.

ესე ჩაის სმით დასრულდა ედაარდის ოცდაათწლიანი მეფობა...“

„...თავად მიქაელოსმა კი სრულ ათს წელინადს იმეფა და შემდეგ, ქრისტეშობიდან 2013 წელსა, ღირსეულად განერიდა ხელმწიფეობას – ბერად შედგა და ბათომის ერთ მცირე ტაძარში დაეყუდა მლოცველად, სახელად კი თავად იწოდა „მამა მიხეილ დამშვიდებული“.

იზაბელი, ანუ დაბრუნების დრო

ბერლინის თეატრალურ ფესტივალზე „შპიელზეტეუროპა“ მთავარ მოვლენად იქცა იზაბელ იუპერის გამოჩენა ბლანშ დიუბუას როლში.

დავით ბუხრიკიძე, ბერლინი

იზაბელ იუპერი რეჟისორი კშიშტოფ ვარლიკოვსკის სპექტაკლში „ტრამვაი“

„ფესტივალჰაუზის“ დარბაზი ბერლინში, დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში, უკრავდა ტაშს ფრანგ კინოვარსკვლავს იზაბელ იუპერს, რომელმაც ბრწყინვალედ ითამაშა ბლანშ დიუბუას როლი პოლონელი რეჟისორის, კშიშტოფ ვარლიკოვსკის სპექტაკლში „ტრამვაი“ (ტენესი უილიამსის ცნობილი პიესის, „ტრამვაი, რომელსაც სურვილი ჰქვია“, მიხედვით). ფრანგი ვარსკვლავი თეატრალურ ამპლუაში უკვე მეორედ სტუმრობდა ბერლინს. ამ ქალაქს დღესაც კარგად ახსოვს 2007 წელს სახელოვანი რობერ ვილსონის მიერ დადგმული „კვარტეტი“ (ჰაინერ მიულერის პიესა), სადაც იუპერი ცბიერ, ჭკვიან და სექსუალური კომპლექსებით შეპყრობილ მარკიზა დე მერტეის თამაშობდა. და აი, ახალი, კიდევ ერთი შესანიშნავი თეატრალური როლი, რომელსაც გერმანულმა პრესამ უკვე დიდი შეფასება მისცა.

„ტრამვაი“ ინტერნაციონალური პროექტია, რომელიც 2010 წლის გაზაფხულზე განხორციელდა პარიზში, ცნობილ თეატრ „ოდეონში“, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია „საერთო ევროპული თეტარის“ სტატუსი აქვს და რომელიც ერთობ განებივრებულია ცნობილი თანამედროვე რეჟისორების სპექტაკლებით. ახალი თაობის პოლონელი რეჟისორი კშიშტოფ ვარლიკოვსკი 80-იან წლებში პარიზში, პიტერ ბრუკთან გადიოდა სტაჟირებას, მოგვიანებით ჯორჯო სტრელერის ასისტენტი გახდა. მისი რეჟისორული წარმატებანი, ძირითადად, კლასიკური პიესების ოდნავ მოხულიგნო და ავანგარდულ „მოთვინიერებას“ უკავშირდება.

ტენესი უილიამსის ყველაზე ცნობილი პიესა სცენაზე განლაგებული მოძრავი ვიდეოკამერებით, შუშის გიგანტური აბაზანით და კრისტიან დიორის კაბებით გამახსოვრდებათ, რომელსაც იზაბელ იუპერის ბლანშ დიუბუა 2 საათისა და 40 წუთის განმავლობაში ხუთჯერ იცვლის. მაგრამ ეს მხოლოდ მაცდური სარეკლამო-ვიზუალური შთაბეჭდილებაა, რომელსაც აქარწყლებს (ან იქნებ ამდიდრებს) თამამი რეჟისორული ინტერპრეტაცია და ფრანგულენოვანი კანადელი დრამატურგის, ვაშდი მოავადის ტექსტიც. ეს უკანასკნელი ფსიქოლოგიურად გახლეჩილ და დემორალიზებულ ბლანშის ბიოგრაფიას ერთგვარად ავსებს მარგარიტა გოტიეს, სალომესა და იოკასტეს ტექსტებითაც. ეს ოდნავ ხელოვნურია, მაგრამ ძალიან საინტერესო.

პატარა, გამხდარ და კაფანდარა იზაბელ იუპერს არაფერი აქვს საერთო ელია კაზანის ცნობილ ფილმში, ვივიენ ლის მიერ განხორციელებულ საბედისწერო და დრამატულ ბლანშთან. იუპერის თამაში განსაცვიფრებელი დამაჯერებლობით, ცოცხალი იუმორით, ბავშვური ჭირვეულობითა და ცინიზმამდე მისული უშუალობით გამოირჩევა. სწორედ ეს თავისუფლება განასხვავებს ბლანშს დანარჩენი პერსონაჟებისგან: ფიზიკურად უხეში და ემიგრანტის კომპლექსებით „დახუნძლული“ სტენლი კოვალსკისგან (ანჯეი ჩირა); ქმრისადმი მაზოხისტური ერთგულებით გამორჩეული სტელასგან (ფლორანს ტომასინი); მხოლოდ ფიზიკური ვნებებითა და ლუდის სმით დაკავებული მიჩისგან (იან კოლეტი)....

ბლანშის გზა არსაით მიდის და ეს მან ყველაზე კარგად იცის. სულისშემხუთველი ლუიზიანასა და ჯაზის ნაცვლად (რაც პიესის პირობაა) რეჟისორი თითქოს „მინის სამხეცეში“ გვამყოფებს და სცენის მთელ სიგრძეზე, გიგანტურ აბაზანას და ტუალეტს მთავარ, დამცინავ მეტაფორად აქცევს. და სწორედ აქ, ამ გამჭვირვალე „სამხეცეში“ ხდება ძალადობის აქტიც. ტუალეტის ქაღალდებით „შეკოჭილ“ ბლანშს აქედან წაიყვანენ საგიჟეთში, თუმცა ამას უკვე მხოლოდ მადამ იუპერის საყვარელი უტყვი და უგრძნობი კამერა აღბეჭდავს!

ის ნამდვილად დიდი მსახიობია, ის დაბრუნდა, ამჯერად – კინოდან თეატრში.

სპორტები გაიფიცნენ

გიო ახვლედიანი, ლონდონი

ჰოდა, შოტლანდიაში, სკოტების ქვეყანაში მსაჯები გაიფიცნენ.

იმ ფილმისა არ იყოს, მეშახტეების გაფიცვა გამიგია, სტუდენტების გაფიცვა გამიგია, მეტროს მუშაკების, სტიუარდესების, ფრანგების გაფიცვაც ხო გამიგია და გამიგია, ფეხბურთელების გაფიცვაც კი გამიგია, ბატონო, მაგრამ მსაჯების გაფიცვა და თანაც სკოტების, არ გამიგია.

ასე თქვი და, კი გაიფიცნენ. ჰოდა, სულ იოლად გაირკვა, თურმე უმსაჯოდ ფეხბურთი არ ითამაშება.

შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ მსწრაფლ უცხო ქვეყნების მსაჯებს ჩამოუარა, უქმეებზე თავი მოგვაქირავეთო. თვითონ კი გაფიცულ მსაჯებთან მოლაპარაკებებს შეუდგა. უცხოელებმა უარი მოახსენეს, განსაკუთრებით ისლანდიელებმა და ნორვეგიელებმა, ამათ კი მოგვიანებით ჰოლანდიელებიც შეუერთდნენ. მოკლედ, შტრეიკბრეხერობა არ გამოვიდა.

მსაჯთა ზოგადი უკმაყოფილება სკოტების ლიგებში ძველია. დავიღალეთ დაუფასებლობისგან, მუდმივი მუქარისგან და მწვრთნელთა და ფეხბურთელთაგან უპატივცემულობისაგანო.

მწვრთნელებს, ფეხბურთელებს და მაყურებლებს შეუძლიათ თქვან, დავიღალეთ მსაჯების შეცდომებისგანო, ოღონდაც მსაჯს ყველგან ეშლება, თუმცა ისეთი ვაი-უშველებელი არ მოსდის, როგორც შოტლანდიაში. დიდი მუქარის წერილები, მოცეკვავე კაცუნები და კვადრატული ასოები სულაც აღარ არის საჭირო. აგერ ტვიტერი და ფეისბუქი და მუქარაც იქ ეტევა და ათასი სხვა რამეც.

ამ გაფიცვის წამომწყები კი გახდა სელტიკ-დანდის თამაშის ერთი ეპიზოდი, როცა მსაჯმა დაგი მაკდონალდმა ჯერ დანიშნა პენალტი დანდის კარში, მერე კი თანამსაჯ სტივენ კრეივენთან ნათათბირების შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა და პენალტი აღარ დანიშნა.

ასეთი რამე ხშირად მომხდარა ფეხბურთში, ოღონდ კი სელტიკმა, რომელიც ერთი-ორ დიად კლუბთაგანია შოტლანდიაში, ეს ამბავი იმისთვის გამოიყენა, რომ ეჩვენებინა, წლეულს მსაჯები ცუდად გვექცევიანო და ამის დამადასტურებელი კადრებიც წარმოადგინა.

როგორც იტყვიან, რავა ყველას ჩემთან ეშლებაო.

თანაც გამოირკვა, რომ მაკდონალდმა სელტიკის აღშფოთებული მწვრთნელი ნილ ლენონი მოატყუა – გადაწყვეტილება ამიტომ და ამიტომ შევცვალეო. ანუ, თანამსაჯთან თავისი საუბრის შინაარსი დაუმალა. ამის ხელზე დახვევა იოლი იყო, თუმცა ფეხბურთის ასოციაციის კოლეგიამ მაკდონალდი ვერ გაამტყუნა, რახან პირადი საუბრების სხვისთვის თხრობა სულაც არ არის სავალდებულო, ოღონდაც სკანდალი გაძლიერდა, რახან შოტლანდიის ეროვნული პარტიის ლიდერმა პიტერ ვისჰარტმა კი სელტიკს მისცა მხარი, საჭიროა, ყველა კლუბს თანაბრად მოვექცეთო. შოტლანდიის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ძლიერი პარტიის ლიდერი ხელიდან არ გაუშვებდა თავისი ტოლერანტობის ჩვენებას: სელტიკი ხომ ირლანდიელ ემიგრანტთა დაარსებული, კათოლიკეთა ძველი კლუბია, რომელსაც საუკუნო წინააღმდეგობა აქვს გლაზგოსავე პროტესტანტულ რეინჯერსთან.

მთელს ამ ამბავში კი დაიჩაგრა თანამსაჯი კრეივენი, რომელიც თავისი ნებით დაეთხოვა მსაჯობას. როგორც ამბობენ, ფეხბურთის ასოციაციიდან დამამცირებელი მუქარების გამო.

ამბობენ, რომ მატყუარა მაკდონალდს მხარი დაუჭირა სკოტ მსაჯთა თავმჯდომარე ჰიუ დალასმა და გადადგომისგან გადაარჩინა.

თავის მხრივ, დალასიც ფეხბურთის ასოციაციის გამოძიების ქვეშა ყოფილა, რახან რომის პაპის ბრიტანეთში ჩამოსვლის დღეს უგვანო ანეკდოტი გაუვრცელებია იმეილის მეშვეობით პაპის და პედოფილურ სკანდალზე. სხვანი, ვისაც ეს ანეკდოტი უვრცელებია, სამსახურის გარეშე დარჩენილან, ჰოდა, დალასსაც იგივე ემუქრებოდა.

ჰოდა, გაიფიცა სკოტი მსაჯობა.

იქაურმა ტრეიდ იუნნებმა სრული მხარდაჭერა აღუთქვეს გაფიცულ მსაჯებს. ეს დიდი ამბავია, პროფკავშირი დუქანი სულაც არ არის, ქვეყნის პარალიზება შეუძლია, თუ გაჭირდა.

მოკლედ, ყველა გაფიცვას თავისი შიგნითა ამბავი აქვს.

და რას ითხოვენ სკოტი მსაჯები?

ნდობას და დაცვას.

არ არის იოლი შესასრულებელი.

მხოლოდ ეს თბილისური დღე

კახა თოლორდავა

ქუჩაში ერთი ნაცნობი შემხვდა და მითხრა, ესენი ქაჯები არიან, არაფერი გაეგებათო. მერე იმ ქაჯებიდან ერთ-ერთს გადავეყარე და იმან მითხრა, ეგენი არაადეკვატურები არიან, რაზე უნდა ველაპარაკოთო და დავიშალეთ. მერე ჟურნალ-გაზეთები ვიყიდე. სანამ რომელიმეს გადავშლიდი, მობილურზე დამირეკეს და მითხრეს, რა იყო გუშინ, ეს რა სისულელეები ილაპარაკა იმ იდიოტმაო! თან დაამატა, – შენც კარგი იდიოტი ხარ, მაგას რომ ეკამათებოდიო. ამასობაში, პირველი ჟურნალი გადავშალე, რომელშიც ერთი ვინმე ვიღაცებზე წერდა, ეგენი აზრზე არ არიან არაფრისო, მეორე სხვებს დასცინოდა, მესამე პირველზე ამბობდა, მაგას რაღაცები ეშლებაო, ხოლო მეათე კი მეთორმეტეზე იყო გაბრაზებული – ეგ როგორ იკადრაო!

თავი რომ ავწიე, ისევ გაზეთების კიოსკთან ვიდექი. მექანიკურად გამექცა თვალი კიოსკის შუშებზე აკრული გაზეთებისკენ. პირველ გვერდებზეც გამოტანილ სათაურებში ვიღაც პოლიტიკოსი მეორეს დედის სულს უტრიალებდა, ხოლო მესამე, ერთი არც თუ წარმატებული პოლიტიკოსი, ვიღაცაზე ამბობდა ეგ ადამიანებს აწამებდა და დრო რომ მოვა, ყველაფერს ვიტყვიო.

ისევ ჩემს ჟურნალ-გაზეთებს დავუბრუნდი და გადავშალე თუ არა შემდეგი ჟურნალი, პირველი, რასაც გადავაწყდი, სტატია იყო, რომელშიც ერთი დანარჩენებზე წერდა, ეგენი საერთოდ არაფრის გაგებაში არ არიანო, ხოლო დანარჩენებიდან ერთ-ერთი იმ ერთზე ამბობდა ღვარძლიანად, სასაცილო იქნება მაგას პასუხი რომ გავცე, მთელმა თბილისმა იცის, რომ იდიოტიაო.

ამასობაში, ტაქსი გავაჩერე. ტაქსისტს რადიო ჰქონდა ჩართული. რადიოში ვიღაც ქალბატონი წუწუნებდა – ჩემთვის არაფერი უკითხავთ, თორემ ასეთი სისულელეებს ნამდვილად არ ჩაიდენდნენ მაგ გათახსირებულებიო, ხოლო პირდაპირ ეთერში ჩართულმა მსმენელმა პირდაპირ პირში მიახალა იმ ქალბატონს, კიდევ კარგი, შენ არაფერს დაგეკითხნენ, თორემ კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში ჩავარდებოდა საქართველოო. სანამ ის ქალბატონი პირდაპირ ეთერში ჩართულ პირში მთქმელს პასუხს გასცემდა, ტაქსის მძღოლმა ვიღაცას შეუკურთხა, შენი დედაცო, მერე კი მომიბრუნდა და მითხრა, ტარების გაგებაში არ არიან ეგ ქაჯებიო. ამასობაში მასაც რაღაც შეეშალა და უკანა მანქანიდან ჯერ იყო და სიგნალით შეგვიკურთხეს, მერე კი გაგვისწრეს და ჩემს მძღოლს ბლაბლაბლა შე ჩემაო, – მიაძახეს. ამასობაში შეურაცხყოფილმა რადიოქალბატონმა უხილავ ბატონს მიაყარა, ვიცი, ვინც ხარ, შენით ნამდვილად არ დარეკავდი გარეკინებენ და შეეშვით პროვოკაციებს, მაინც არაფერი გამოგივათო.

მანქანიდან გადმოსული კიდევ ერთ ნაცნობს გადავეყარე. როგორ ხარ-მეთქი, შევეკითხე; როგორ უნდა ვიყო ამ სირების ხელშიო, – მიპასუხა. რას აკეთებ-მეთქი; რას უნდა ვაკეთებდე ამ ქაჯების ქვეყანაშიო. რას აპირებ-მეთქი; რაც არ უნდა დავაპირო, მაინც დამბლოკავენო და წავიდა.

იქ, სადაც მივდიოდი ბევრი ხალხი შეკრებილიყო. ჯერ სახლში შესული არ ვიყავი, შორიდან რომ მომესმა, რა სისულელეებს ლაპარაკობ, როცა აზრზე არ ხარ, რატომ ბაზრობო. მეორემ უპასუხა – აზრზე რომ არ ხარ, ასეთ კრეტინობებს იმიტომ ბლატაობო. ხომ მშვიდობაა-მეთქი, შევეკითხე იმას, ვინც კარი გამიღო. თუ ძმა ხარ, ორი საათია, ეს იდიოტები ერთმანეთში ჩხუბობენო. რა აჩხუბებთ-მეთქი. რა ვიცი, თვითონაც საიმში რომ არ არიან, ისეთ იდიოტობაზეო. ქურთუკის დასაკიდებლად გვერდით ოთახში გავედი. ტელევიზორი იყო იქ ჩართული. ეკრანზე, ვიღაც წვერიანი და ჰალსტუხიანი კაცი პირდაპირ თვალებში მიყურებდა და ვიღაცებზე მიმტკიცებდა, ეგენი ბოროტი სულები არიან, მაგათ ადრე თუ გვიან გავუსწორდებითო, შემდეგი გამომსვლელი კი თავის ოპონენტებს ნაძირლებს უწოდებდა. სანამ იქიდან გავიდოდი, ერთ ნაცნობს დავურეკე და ვუთხარი, ამა და ამ იდიოტს გადაეცი დროზე მომაწოდოს, რასაც დამპირდა-თქო. გვერდით ოთახში ისევ ჩხუბობდნენ. სამზარეულოში შესულს, პატარა სუფრა დამხვდა გაშლილი. თამადა სიყვარულის სადღეგრძელოს სვამდა. რომ მორჩა, დაამატა, ვისაც ჩვენი კარგი ეწყინოს, იმის დედაცო და გადაჰკრა.

FM 101.9 MYRADIO.GE
ქალაქი
თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი FM 105.5
გორი, ქარელი, ხაშური FM 103.0
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია FM 104.5
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი FM 101.0
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი FM 101.9



WWW.LIBERALI.GE